



ლიბერალი

№ 62 / 7 - 13 თებერვალი / 2011

ფასი 2 ლარი

მთავარი თემა: საქართველოს ინტერნეტიზაცია **33. 18**

პერსპექტიულია თუ არა საქართველოში ცხოვრება? **33. 06**

უმუშევრობით გადაღლილნი **33. 33**

სიჩუმის გორბობა - სად არიან დევნილები? **33. 40**

2011 წლის კომპიუტერული თაგავი **33. 42**



# ეპრილის სხედი ზამთარი

33. 8-17

ISSN 1987-7528



9 771987 752008



**FM**  
**სენტი**  
**98.0**







ფოტო: აგაპა ვაგუი / REUTERS

დემონსტრანტები ურტყამენ ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის გამოსახულებას, ალექსანდრია, 3 თებერვალი, 2011

**ნომერი:**

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 04 მოკლედ
- 06 **ორი აზრი**  
პერსპექტიულია თუ არა საქართველოში ცხოვრება?  
**ფოკუსი**
- 08 ეგვიპტის ცხელი ზამთარი  
**მთავარი თემა**
- 18 ინტერNETარება
- 26 **ინტერვიუ**  
„მე ვიცავ გადასახადის პატიოსან გადამხდელებს.“  
გიორგი პერტაია  
**ადამიანის უფლებები**
- 28 გამოსახლება  
სტანდარტების დარღვევით
- 29 **ვიდეომეთვალყურეობა**  
შსს-ს თვალის აფთიაქებში

**ურბანისტიკა**



- 30 ქაოსი ქუჩაში  
**საზოგადოება**
- 33 უმუშევრობით გადაღლილი  
**თვალსაზრისი**
- 36 ტუნისი, ეგვიპტე და საქართველო  
მარკ მალენი
- 38 რატომ სჭირდება რეფორმა ქართულ კონსერვატივზმს  
გიორგი ცხადაია

**მედიაკრიტიკა**

- 40 სიჩუმის ბოროტება - სად არიან დევნილები?  
**ტექნოლოგიები**
  - 42 2011 წლის სამი მთავარი კომპიუტერული თამაში  
**კულტურა**
- 
- 44 ჭრელი და მენტალური მანათობლები  
**სპორტი**
  - 47 ვისაც ვუყვარვარ ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
  - 48 Play me, I'm yours!

**გარეკანზე:**

ეგვიპტის ცხელი ზამთარი  
**ფოტო:** იანის ბეხრაკისი



უფრნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლა საზოგადოება-საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლა საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

## შეიძლება თუ არა დევნილების იკულაბითი გასახლების თავიდან აცილება, მაგრამ ღია მუხამ-აგრის მსგავსი ტიპების „ექსპერტებად“ მონათვლა როდის უნდა დასრულდეს? არ შეიძლება ყველა, ვისაც ამაზე პრეტენზია აქვს, ექსპერტად და კომპეტენტურად მიიჩნეოდეს ამა თუ იმ საკითხში.



მე კი მგონია, რომ შეიძლება დევნილების იკულაბითი გასახლების თავიდან აცილება, მაგრამ ღია მუხამ-აგრის მსგავსი ტიპების „ექსპერტებად“ მონათვლა როდის უნდა დასრულდეს? არ შეიძლება ყველა, ვისაც ამაზე პრეტენზია აქვს, ექსპერტად და კომპეტენტურად მიიჩნეოდეს ამა თუ იმ საკითხში.

სტუმარი

ნოდის არგუმენტი ემთხვევა ხელისუფლების პოზიციას. ისინი ამბობენ, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში იცავს კერძო საკუთრებას. მე მაქვს კითხვა, როდის აქედან იცავდა ეს ხელისუფლება კერძო საკუთრებას? რიყეზე რომ წაართვეს ხალხს ქონება, თუ თაბუკაშვილის ქუჩიდან ზუსტად ასეთი მეთოდებით რომ გამოყარეს ხალხი? ან როგორ ართმევენ ხალხს მიწის ნაკვეთებს ანაკლიაში... ყოფილად მიუღებელია ის, რაც გააკეთეს.

george

გამოსახლებას, პრინციპში არ ვეთანხმები, მაგრამ გარდაუვალი არის ეს პროცესი. სახელმწიფომ ხარჯვითი ნაწილის გაზრდის მაგივრად ამ ხალხზე უნდა იზრუნოს და არა შტატების და სამინისტროების ხარჯების გაზრდაზე. ბატონი „ექსპერტი“ ამ საკითხს რატომ არ აქცევს ყურადღებას?

მიხეილ კალანდაძე

## ფეხით მოსიარულეთა უფლებები

მე ვიცი, როგორ უნდა ვასწავლოთ მაგ მანქანის პატრონებს სწორი პარკირება და აი, ცოტა დათბეს და განვახორციელებ – სულ საღებავებს რომ დაუშენენ სახლების სახურავებიდან ბავშვები ტროტუარებზე გაჩერებულ მანქანებს, ნახონ მერე.

ნოზაძის ფანი

ფეხით მოსიარულეებისთვის ადგილი აღარ დარჩება მალე. იქნებ დაფიქრდეს ამაზე ხელისუფლება, მანქანებიდან რომ არ გადმოსულან და არ იციან, რა ხდება ქალაქში.

სტუმარი

ამ ქალაქში მარტო მანქნით მოსიარულეების უფლებებზე ფიქრობენ..ისიც ცენტრალურ უბნებში, ფეხით და ინვალიდის ეტლით მოსიარულეებმა რა ქნან?

სტუმარი

## პრაზიციანების გამოსვლა და ბანათობა

ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 3% კითხულობს წიგნებს, ძალიან გაუჭირდება „გარუჯულ ბიჭს“ იმის განხორციელება, რასაც ამბობს. სხვა საქმეა, თუ დაპირებებს განვიხილავთ, ამ შემთხვევაში ობამა უალტერნატივოა, უფრო ჭკვიანი ხალხი უნერს სიტყვით გამოსვლის ტექსტებს, ვიდრე ჩვენსას. ისე კი, გრძელვადიან პერსპექტივას რაც შეეხება: ჩვენ ტრანსჰუმანიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ, ამიტომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე ორიენტირის აღება ძალიან რაციონალურია.


სტუმარი

## როგორც საბჭოთა მასწავლებლები

ბავშვთა უფლებების დაცვა ნამდვილად სერიოზული პრობლემაა საქართველოში. ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვებს უმონყალოდ სცემენ, ლანძღავენ და თრგუნავენ საკუთარი მშობლები. რაც, საბოლოო ჯამში, ინვესტ ბავშვებში აგრესიას და ძალიან დაბალ თვითშეფასებას. ეს ყველაფერი კი იმით მთავრდება, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრი აგრესიული ადამიანია,, რომელთაც აგრესია სწორედ ასეთმა მოპყრობამ გამოუმუშავა.

თამუნა

## ასათიანის №10



ერთხელ შეხედავთ, შემფოთებას გამოხატავთ და ეგაა. ვინმე რა შუაშია, ავიღოთ და შევქნათ საქველმოქმედო ფონდი, ან ნომერი, რომელზეც გადაირიცხება თანხა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თავს არავინ შეინუხებს, ეს „ჯეოსტარი“, „ბრაუო“ ან მსგავსი უნიჭობა ხომ არაა, მხარი რომ დაუჭიროთ?!

Citizen X

## არაბულ საგაროში ღოთინოს პრინციპი ამოქმედდა

ეს რევოლუცია მოახდინეს მოქალაქეებმა. ეს არის შემთხვევა, როცა იდამიანები იდეის/იდეალის გარშემო შეიკრიბნენ. Facebook-მა და Twitter-მა კომუნიკაციის ფუნქცია შესასრულა.

სტუმარი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯავაძე / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე  
შპს რედაქცია: მია ნიკოლაური, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიშაკაძე, ნინო რობაკიძე, ნათია გულიაშვილი  
კონტრაქტორები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორდავა, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნინი, ნიკო ნერგაძე  
რედაქცია: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ღონღაძე  
ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია  
ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.  
გამოფის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
www.liberali.ge



# ხობოხს საბჭოთა მასნავლებები

ნინო ბექიშვილის ბლოგი

ერთი კლასელი მყავდა, ნანა, ძალიან ჩუმი და წყნარი. ისე დავამთავრეთ სკოლა, არ გაგვიგია მისი ხმა. არც დამეგობრებია ვინმეს. ნორმალურად სწავლობდა – ოღონდ ეგ იყო, ჩურჩულით ლაპარაკობდა, მისი მონაყოლი გაკვეთილი რომ გაეგონა, მასწავლებელი გვერდით დაუდგებოდა ხოლმე, ჩვენ კი ნამდვილად არ გვესმოდა, რას ამბობდა. არც ექსკუსიებზე დადიოდა და არც კლასის შეკრებებზე. რალაცნაირად დათრგუნული და შეშინებული იყო. თუკი რაიმე არ იცოდა, მერეც, რომ მოვიზარდეთ, დიდი, შავი თვალები აუწყლიანდებოდა ხოლმე. ახლა არც ვიცი, სადაა.

მოგვიანებით, წლების შემდეგ გავიგე ნანას სიჩუმის მიზეზი. თურმე საშინლად მკაცრი მამა ჰყოლია, რომელიც მუდმივად სცემდა, უყვიროდა, უკრძალავდა ურთიერთობებს, ტელეფონით საუბარს, ტელევიზორის ყურებას, ეზოში ჩასვლას და თამაშს. მაშინდა გავაცნობიერე, რომ ექვსი წლისა, როცა სკოლაში მოვიდა – უკვე სამუდამოდ დასახიჩრებული იყო. მაშინ, ალბათ, შეიძლებოდა მისი შველა, მაგრამ ამაზე არავის უზრუნია.

დღეს მიჭირს თქმა, იძიებდნენ თუ არა მასწავლებლები მისი უცნაური ქცევის მიზეზებს. მათ, საბჭოთა მასწავლებლებს, ევალბოდათ კლასში დისციპლინა დაეცვათ და ბავშვებისთვის ესწავლებინათ. ისიც არ ხმაურობდა და კარგად სწავლობდა. მეტს არაფერს თხოვდნენ და როგორც ახლა ვხვდები, არც არაფრით დაინტერესებულან. მარტო მშობელთა კრებებზე აღნიშნავდნენ, რომ ნანა ძალიან წესიერი და ჩუმი გოგონაა, ცოტა ზედმეტად ჩუმიც. ეგ იყო და ეგ. დედამისი თითქმის არ დადიოდა სკოლაში. მამა აკითხავდა ხოლმე. სად იყო დედა, არ ვიცი. შეიძლება, ქმარი საერთოდ არ უშვებდა შინიდან.

კლასელები ვცდილობდით გვემეგობრა, თამაშში აგვეყოლიებინა, მაგრამ არაფერი გამოგვიოდა. დასვენებებზე ისევე საკუთარ მერხთან რჩებოდა. ჩემი რამდენიმე მცდელობაც ასე წარუმატებლად დამთავრდა და შევეშვი. ახლა რომ ვიხსენებ, მაშინ გულშიც არ გამივლია, რომ მისი სიჩუმის მიზეზი შეიძლებოდა ოჯახში ძალადობა ყოფილიყო. ბავშვი რომ ხარ, სამყაროს მარტო შენი ჭრილიდან უყურებ და რაც შენს თავს არ ხდება, იმას სხვაზე ვერც წარმოიდგენ.

საინფორმაციოებმა საშინელი ფაქტი გადმოსცეს – რომელიც სოფელში დედამ ხუთი წლის შვილი ცემით მოკლა. „რუსთავი-2-ზე“ ვუყურე სიუჟეტს და ეგრევე ჩემი ჩუმი კლასელი გამახსენდა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ცოცხალია, ბავშვობაში ნამდვილად კლავდნენ და მშველელი არავინ იყო. „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტები სოფელში იყვნენ ჩასულები და რამდენიმე მეზობელთან ინტერვიუ ჩანერეს. საშინლად შეწუხებული, აღფრთოვებული მეზობლები ერთსა და იმავეს იმეორებდნენ – დედა ბავშვს გამუდმებით და დაუნდობლად სცემდა.



როგორც ჩანს, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ეს დანაშაულია, რომელიც კანონით ისჯება, რომ არსებობს მექანიზმი, რომელიც ბავშვებს მოძალადე მშობლებისგან იცავს, რომ ისინიც იზიარებენ პასუხისმგებლობას, რადგან დანაშაული დაფარეს, არ გაახმაურეს. მაგრამ მათ, უბრალო ქართველ ქალებს დანაშაული მარტო შვილის მოკვლა ჰგონიათ; ცემა კი – არავითარ შემთხვევაში, შვილი შენია და შეგიძლია, ცემო, ოღონდ ზედმეტი არ უნდა მოგივიდეს, არ უნდა მოკლა.

ოჯახში და ბავშვზე ძალადობა ყველა ქვეყანაში ხდება, ამისგან არავინაა დაცული, მაგრამ იქ, ცივილიზებულ ქვეყნებში საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა, მასწავლებლებმა, და რაც მთავარია, უბრალო მოქალაქეებმა იციან, რომ ძალადობა დასჯადია და მსხვერპლს სახელმწიფო იცავს. საზოგადოებრივ მაუწყებელზე დღესაც გადის სოციალური რეკლამა, სადაც მითითებულია ტელეფონი – მოქალაქეებს შეუძლიათ ასეთი შემთხვევების დროს დარეკონ და მათ აუცილებლად დაეხმარებიან. პირველი არხი მთელ საქართველოზე ვრცელდება, მაგრამ როგორც „რუსთავი-2-ის“ დღევანდელი სიუჟეტიდანაც გაირკვა, ჩვენს თანამოქალაქეებს წარმოდგენაც არა აქვთ იმის შესახებ, რომ ძალადობა დასჯადია და თუკი შენს გვერდით ამგვარი რამ ხდება, პოლიციას თუ არა, სახალხო დამცველს მაინც უნდა მიმართო.

ხშირად მიფიქრია და მითქვამს კიდევ, რომ როგორც მეცხრამეტე საუკუნეში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ დადიოდა სოფელ-სოფელ და აარსებდა სასოფლო სკოლებს, სწორედ ისეა სამოქალაქო განათლება შესატანი საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ვინ უნდა გააკეთოს ეს, წარმოდგენა არა მაქვს. მედია? ლაპარაკიც არ ღირს... სამოქალაქო აქტივისტები და მოხალისეები კი ჯერ არ ჩანან. საქართველოში ჯერ ნამდვილად არ დამდგარა 21-ე საუკუნე, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გვისწავლია და ხშირად სწორედ ისე ვიქცევით, როგორც საბჭოთა მასწავლებლები.



# "ვიკილიქსი" ნობელის მშვიდობის ჰაიმის ნომინანტად დასახელდა

ნორვეგიის პარლამენტის წევრმა საიტი „ვიკილიქსი“ მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინა. სნორ ვალენის მტკიცებით, საიდუმლოებების გამოაშკარავებით საიტმა 21-ე საუკუნის სიტყვის თავისუფლების განვითარებაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. მისი თქმით, კორუფციის, ადამიანის უფლებების დარღვევის და კრიმინალური შემთხვევების გამოაშკარავებისთვის, საიტი მშვიდობის დარგში პრემიას იმსახურებს.

ნორვეგიის ნობელის კომიტეტი კანდიდატების ვინაობას 50 წლის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა, თუმცა დასახელებული კანდიდატის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, დამსახელებელს შეუძლია. „ვიკილიქსის“ შესახებ ინფორმაცია სწორედ ვალენმა გაავრცელა.

მემარცხენე სოციალისტური პარტიის წევრმა, 26 წლის სნორ ვალენმა, საიტი ნობელის პრემიაზე განცხადებების მიღების ბოლო დღეს წარადგინა: „ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე დებატების წამოწევა.

„ვიკილიქსს“ უნდა, მთავრობები ხალხის მიმართ პასუხისმგებელი გახადოს, რაც მშვიდობას ემსახურება“, – განაცხადა ვალენმა.

განცხადების წარდგენის შემდეგ პარლამენტარმა საკუთარ ბლოგზე დაწერა, რომ მშვიდობის დარგში 2010 წლის ნობელიანტის, ჩინელი დისიდენტის, ლუ ქსიაბოს მსგავსად, „ვიკილიქსმა“ ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა წინ წასწია.

ნობელის კომიტეტი წელიწადში საშუალოდ 200 კანდიდატს განიხილავს. კრისტიან ჰარპსვიკენი, ოსლოს მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი „ვიკილიქსს“ პრემიისთვის სერიოზულ კანდიდატად არ მიიჩნევს. „1,6 მილიონ დოლარიანი პრემიისთვის საიტი ძლიერი ნომინანტი არ არის. ამის მიზეზია საიტისადმი გამოთქმული დიდი კრიტიკა“, – ამბობს ჰარპსვიკენი.

წესების თანახმად, ნორვეგიის ნობელის კომიტეტი 2011 წლის ლაურეატებს ოქტომბერში გამოაცხადებს.

**ქაბლაზის  
ხაზბიჩასია  
იწყება**

საქართველოში „ოუნესკოს“ წუსხაში არსებული ძეგლების რეაბილიტაცია იწყება. 2011 წლის სარეაბილიტაციო წუსხაში მცხეთის ჯვრის მონასტერი, მესტიის კოშკები, გელათის მონასტერი, სვეტიცხოველი და კიდევ რამდენიმე კულტურული ძეგლი მოხვდა. „ოუნესკოს“ მოთხოვნით შეწყვეტილი სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდება ბაგრატის ტაძარზეც. ტაძრის სრული კონსერვაცია მოხდება და ის იერსახეს შეინარჩუნებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს „ოუნესკოს“ მოთხოვნების შესაბამისად ჩაუტარდება.

**316 დასავსე ბიძელი  
მინიხს**

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია „Amnesty International“ ბრიტანეთის მთავრობას მისი მოქალაქის, აშშ-ს საიდუმლო დოკუმენტების საიტ „ვიკილიქსისთვის“ მინიხებაში ბრალდებულ ბრედლი მენინგის დაცვას სთხოვს. ორგანიზაცია მთავრობას მოუწოდებს მენინგის საქმეში ჩაეროს და მისთვის პატიმრობის მძიმე პირობების გაუმჯობესება მოითხოვოს. მენინგს ბრალად ედება „ვიკილიქსისთვის“ 150 ათასი დოკუმენტის გადაცემა, რისთვისაც მას 50-წლიანი პატიმრობა ემუქრება.



# უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო გრანტის გაცემის წესი შეიცვალა. ახალი წესის მიხედვით, სამართალმცოდნეობის, ბიზნესისა და ეკონომიკის, სამედიცინოს და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტებზე ჩარიცხული სტუდენტები დაფინანსდებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მოიპოვებენ საკმარის ქულებს 100%-

იანი დაფინანსებისთვის. მისივე თქმით, ყველა სხვა შემთხვევაში სტუდენტები გრანტს ვერ მოიპოვებენ. ისინი ჩარიცხებიან, მაგრამ 70, 50 და 30%-იანი დაფინანსება ამ ფაკულტეტებზე არ იქნება გათვალისწინებული. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, დიმიტრი შაშკინის თქმით, გადაწყვეტილება მიზნად ნაკლებად პოპულარული პროფესიების ფინანსურ სტიმულირებას ისახავს.



ფოტო: თბილისი უნივერსიტეტი

„ჩვენს ქვეყანაში კონკრეტულ პროფესიებზე ძალიან დიდი დეფიციტია და ეს არ არის მარტო საქართველოს პრობლემა. ერთადერთი ბერკეტი, რომელიც სახელმწიფოს აქვს პროფესიების პოპულარიზაციისთვის, არის ფინანსური სტიმულირება“, – ამბობს შაშკინი.

## მთავრობის ანტიინფლაციური ღონისძიებების ფარგლებში 10 თებერვლიდან თითოეულ ოჯახს, ელექტროენერჯის 20-ლარიანი, ერთჯერადი ვაუჩერები დაურიგდება. ფინანსთა მინისტრის კახა ბაინდურაშვილის თქმით, ამ პროგრამისთვის, ბიუჯეტში დაახლოებით, 20 მლნ ლარია გათვალისწინებული. „ეს უკვე რაღაც გადადგმული ნაბიჯია. მთავრობის მხრიდან ეს არის სოლიდარობის გამოხატვა იმ პრობლემების მიმართ, რომელიც ხალხს ექმნება“, – განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მთავრობასთან შეხვედრაზე. მისი თქმით, მთავრობა ფიზიკალურად უნდა იყოს, რათა შიდა ფაქტორებით ინფლაციური პროცესები არ გაღრმავდეს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში წლიური ინფლაციის დონემ დეკემბერში 11.2%-ს მიაღწია, რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

„ჩემი გადადგომა ქაოსს გამოიწვევს... მე არ მალელებს, რას ამბობენ ჩემზე, ახლა მხოლოდ ჩემი ქვეყნის ბედი მანუხებს, მხოლოდ ეგვიპტეზე ველავ“. **ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ტელეკომპანია ABC-სთან საუბარში**

### სიტყვები



„იაფი ფასების ეპოქა წარსულს ჩაბარდა“ **პრეზიდენტი სააკაშვილი გაზრდილ ფასებზე**

„რაც დღეს ეგვიპტეში ხდება, საქართველოში 2003 წელს მოხდა“. **დავით ბაქრაძე ეგვიპტეში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე**

„ჩვენს ქვეყანაში ბრეჟნევის უძრაობის ხანაა“ **საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინა ხიდაშელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე**

## "საქართველო ხუსთის წინააღმდეგ"

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ საქმის დასკვნითი ეტაპის განხილვა დაიწყო. ქართული მხარე რუსეთის ფედერაციას ევროპული კონვენციების ყველა მუხლის დარღვევაში, მათ შორის – ეთნიკური ნიშნით დევნაში, არაადამიანურ მოპყრობასა და ბავშვთა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს. სტრასბურგის სასამართლომ უკვე დაკითხა ათი რუსი და ათი ქართველი მონაწილე, მონაწილეთა შორის – საქართველოში მდებარე სასამართლო დამოუკიდებელი ექსპერტებს და პოლიტიკოსებს დაკითხავს.



### ჩისხვები

- 100** დოლარი გახდა ნედლი ნავთობის ფასი
- 32** იქნება თბილისის ახალი კოდი
- 8** მოადგილე ეყოლება ფინანსთა მინისტრს
- 10** მლნ გრივნა გამოყო უკრაინამ ეგვიპტიდან ტურისტების ევაკუაციისთვის

## კი

### ენო, 22 წლის, იურიდიული ფაკულტეტი

მე მქონდა შანსი, წავსულიყავი ქვეყნიდან, მაგრამ არ წავდი. ვფიქრობ, აქაც გამოვივა რაღაც. არა მგონია, ქვეყანაში ისეთ დონეზე იყოს მდგომარეობა, რომ ვერ დავსაქმდე. აქ მირჩევენია. მაინც ჩემი ქვეყანაა.

### ბაკუნა, 18 წლის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

თუ მოინდომებ, ყველაფრის მიღწევა შეიძლება. შეიძლება, წავიდე საზღვარგარეთ, კვალიფიკაცია ავიმაღლო, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები. უცხოეთიდან ჩამოსულს უფრო მეტი გასაქმანი მექნება და კარგ სამსახურსაც ადვილად ვიშოვი.

### დინა 23 წლის, იურიდიული ფაკულტეტი

ქვეყანაში არ არის სახარბიელო სიტუაცია. მაგრამ მაგალითად, მე იურისტი ვარ და ჩემი პროფესია სხვა პროფესიებზე მეტად პერსპექტიულია. სწავლების დონითაც კმაყოფილი ვარ. რაც უნდა მასწავლონ, თვითონ უნდა შევიქმნა მომავალი. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ თვითგანვითარებაზე. უცხოეთში წარმატების ძიება გამოსავალი ნამდვილად არ არის.

### ბარიაშვილი მკვლევარი, 18 წლის

დღევანდელობას თუ გადავხედავთ, იმედს არ ვკარგავ. მე ვიცი, რომ ვცხოვრობ დავით აღმაშენებლის ქვეყანაში. ჩვენ მართლაც გვყავს ისეთი ელიტა, რომელთაც შეიძლება, მიბაძო და ისწავლო მათ ცხოვრებაზე. თუ ყველამ გადაინურა იმედი, არაფერი გვეშველება. ქართული მედიცინა კი განადგურებულია, მაგრამ ახალგაზრდები იმიტომ ვართ, რომ შევცვალოთ ეს მდგომარეობა. ახალგაზრდობა არის ქარი, რომელმაც ნავს მიმართულება უნდა მისცეს.

### ჩაუო, 20 წლის, სამედიცინო უნივერსიტეტი

ჩემი ქვეყანა და სხვაგან ვერ ვიცხოვრებ. სტომატოლოგიურზე ვსწავლობ და მჯერა, რომ შევძლებ წარმატების მიღწევას. მართალია კარგხელფასიანი სამსახურის შოვნა ძნელია, მაგრამ ეს მთავარი არ არის.

### ნესტან ლაბარაძე, საპარტიო უნივერსიტეტი, ჟურნალისტიკის ფაკულტეტი

საკმარისი სამუშაო ადგილებია საქართველოში, იმდენი, რომ, სურვილის შემთხვევაში, ადამიანი დასაქმდეს. მე ჟურნალისტი ვარ და ვფიქრობ, რომ თუ მოვინდომებ, შევძლებ დასაქმებას.

### ანიკო ფარჯანი, 18 წლის, იურიდიული ფაკულტეტი

თუ ჩემს პროფესიაში კვალიფიციური ვიქნები, შევძლებ, თავი დავიკმაყოფილო და მივალნიო წარმატებას. სწავლის



## ზეხსზეხიანი თუ ახა ს

დონე მალალი არ არის, მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ განვითარება შეუძლებელია. უმეტესად ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული და არა გარემოზე.

### ლევან კობახიძე, 22 წლის, იურიდიული ფაკულტეტი

იმიტომ ვარ საქართველოში, რომ მაქვს რაღაცის იმედი. თუ დააკვირდებით, ბევრი რამე გაკეთდა, შეიცვალა. თუნდაც რეფორმები, რაც გააკეთა პრეზიდენტმა, იმის საფუძველს იძლევა, რომ აქ იცხოვრო და იმუშაო კიდევაც.

### გიორგი, 22 წლის, იურისტი

არის რაღაც სასიკეთო ძვრები, რეფორმები მიმდინარეობს, რაც სასარგებლოა. კეთილდღეობა ეგრევე არსად არ მოდის. მთავარია, საკუთარი თავის რეალიზება შევძლო. ნებისმიერი ადამიანისთვის არის პერსპექტივა, რომ საარსებო წყარო ჰქონდეს.





საპროფესიო საბუნებისმეტყველო ცენტრი

# საპროფესიო ცენტრში სსოვხება?

## არა

### სოფო, 25 წლის, მათემატიკოსი

მათემატიკის მასწავლებელი ვარ, სკოლაში ვმუშაობ. მოსწავლეებს სახლშიც ვამზადებ, თუმცა ჩემი ხელფასით კმაყოფილი არ ვარ. ამიტომ მალე გერმანიაში წავალ, ოჯახში ბავშვს უნდა მოვუარო, ცოტა ფულს დავაგროვებ და სპეციალობას შევიცვლი.

### გიორგი ტუხაშვილი, 20 წლის, ფიზიკის ფაკულტეტი

ვხედავ, რომ ყველაფერი უკან-უკან მიდის. კვდება ჩემი პროფესია. ფიზიკის ყველანაირი ინსტიტუტი გააუქმეს და რაც კიდევ არსებობს, იმის გაუქმებასაც აპირებენ. როგორ უნდა შევქმნათ რამე, როცა სწავლებისთვის ნორმალური პირობები არ გვაქვს. ჩვენთან ლაბორატორიაში ძველი დანადგარებია და აღარ მუშაობს.

### კანა, 20 წლის, ინფორმატიკის ფაკულტეტი

არნაირი პერსპექტივა არ არის, ჭაობია რა. ინფორმატიკის ფაკულტეტზე ვარ და თანამედროვე ტექნოლოგიებს წინა საუკუნის კომპიუტერებზე ვსწავლობ. მუშაობა რომ დაიწყო, ან კავკასიის ბიზნესსკოლაში უნდა სწავლობდე ან რომელიმე ძვირადღირებულ უნივერსიტეტში. ან უნდა გყავდეს ისეთი ადამიანი, ვინც დაგეხმარება. თუ გყავს „კრიშა“, მაშინ რაღაცას მიაღწევ.

### სალომე დანელია, მედიცინის ფაკულტეტი

საქართველოში ცხოვრების პერსპექტივას ვერ ვხედავ. ეკონომიკურად ძალიან უჭირს ქვეყანას. დღესდღეობით საქართველოში თვითრეალიზება შეუძლებელია. ჩვენს პროფესიაში რაიმეს რომ მიაღწიო, აუცილებელია საზღვარგარეთ ვისწავლოთ. კარგი განათლების მიღება აქ რთულია. ექიმების ხელფასიც არ არის სახარბიელო.

### ლევან ლოლაკი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ენერგეტიკის ფაკულტეტი

არანაირი პირობა არ მაქვს, რომ წარმატებული ვიყო. ადრე „საქართველოს უნივერსიტეტში“ ვსწავლობდი, მაგრამ გადასახადი ველარ გადავიხადე და „გეპეიში“ გადმოვედი. აქ სწავლა არ არის ისეთი, რომ რამეს მიაღწიო. თუ შენით ისწავლი რამეს, მაინც ვერ შეძლებ კარგი სამსახურის შოვნას. ყველგან მაინც ჩანს ყოფილი. არაფრის იმედი არ მაქვს.

### მიხეილი, 20 წლის, ეკონომიკისა და გიგანის ფაკულტეტი

დიდ ცვლილებებს არ ველი. ცოტა ბუნდოვანია, რა იქნება მომავალში. სწავლის დონე ნორმალურია, თუ ისწავლი, შეძლებ პროფესიონალი გახდე. თუმცა რთულია პროფესიით დასაქმდე. მე მარკეტოლოგი უნდა გავხდე წესით, მაგრამ ამ სპეციალობაში ფართო არჩევანს ვერ ვხედავ. ამიტომ, ალბათ, საბანკო სფეროში წავალ, იქ უფრო მარტივია დასაქმება.

### გიორგი, 17 წლის, ენერგეტიკის ფაკულტეტი

არ მაქვს ისეთი ცხოვრება, რომ რაიმეს იმედი მქონდეს. გეპეიში ვსწავლობ და აქ თვითრეალიზება როგორ უნდა მოვახერხო?! რამეს რომ მივალწიო ფინანსური ხელშეწყობა მჭირდება, მაგრამ არანაირი საშუალება არ მაქვს.

### მარიამ გურგენიშვილი, ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი

მგონი არანაირი პერსპექტივა არ მაქვს. სამსახური არ არის. თუ არის, ყველგან გამოცდილებას ითხოვენ. სასწავლებელში კი იმის საშუალება არ არის, რომ პრაქტიკა გაიარო. სწავლების დონითაც არ ვარ კმაყოფილი.

### დავით ცხოვრავი, ფიზიკის ფაკულტეტი

მე ფიზიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ და ამ პროფესიის არანაირი პერსპექტივა საქართველოში არ არის, არ ვითარდება.



რევოლუსია ეგვიპტეში

# ეგვიპტის სხედი ზამთახი

ავტორიტარი მუბარაქის ნასვლის შემდეგ სცენაზე შეიძლება ნამდვილი დიქტატორები გამოვიდნენ. ეგვიპტე ისტორიულ გზაგასაყარზე დგას.

ლექსო ჩქარეული



მთავრობის მონინალმდეგეები ეგვიპტის დროშას აფრიალებენ, კაირო, 2 თებერვალი 2011

ფოტო აბრ. ღაიბი / REUTERS





@Sharifkoudous მე ტაჰირის მოედანზე ვარ. მუბარაქის მომხრეები მოდიან. ბევრი არიან და საბრძოლოდ განწყობილნი. ორი მხარე ერთმანეთის პირისპირ დგას.

@occupiedcairo ტაჰირზე მუბარაქის მომხრეები მოჰყავთ. ისინი ბევრი არიან, ჩვენ გვინდა ბევრი ხალხი. რაც შეიძლება, მალე. სასწრაფოდ!

@Dima\_Khatib ტაჰირის მოედანზე ხელჩართული ბრძოლაა. ერთმანეთს ქვებს, მეტალის საგნებს ესვრიან. ერთმანეთს არ ინდობენ, მხარდამხარ იბრძვიან. საშინელებაა.

@Nadia ტაჰირის მოედანზე ირგვლივ ცრემლსადენი გაზის კვამლია. რამდენიმე დაჭრილი ჩემი თვალით ვნახე. მათ ქვეები ესროლეს. ერთს თვალში მოხვდა.

@arwasm ჯარმა გახსნა ტაჰირზე ერთ-ერთი გასასვლელი და მუბარაქის მომხრეები შემოუშვა, ვხედავ ზოგიერთებს დანები უელავს.

@randjam ეს აქლემები ვინლა მოიყვანა ამ მოედანზე?

@NadiaE ახლა ვნახე მოზარდი ბიჭი, რომელიც სერიოზულად დაჭრილია. მუბარაქის მომხრეები და მონინაალმდეგეები ერთმანეთისკენ იწევენ. ფრონტის ხაზიდან დაჭრილები მოჰყავთ.

@Sandmonkey მუბარაქმა დაამტკიცა, რომ ყველა ჩვენგანზე ჭკვიანია. აი, ნახავთ, ის არ წავა.

@RamyYaacoub ყველას უთხარით ტაჰირის მოედანთან, კოშარი ელ ტაჰირთან არის სადგური, სადაც დაჭრილები მიჰყავთ. გთხოვთ, გაავრცელოთ ეს ინფორმაცია.

@allawati სროლის ხმა ისმის, ეს უკვე ომია. გამოსავალი არ არის.

@mirzza ვინც ტაჰირის მოედნიდან გამოაღწია, ამბობს, რომ უამრავი დაჭრილია.

@BloggerSeif ტაჰირთან ახლომასლო სახლების აივნებიდან მდულარე წყალს ღვრიან და ავურებს ისვრიან.

გასულ ოთხშაბათს მიკრობლოგ „ტვიტერზე“ ეგვიპტიდან წამში რამდენიმე ასეული შეტყობინება მოდიოდა. ის დღე, ეგვიპტის ისტორიაში განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო – ეგვიპტელები „მილიონიანი მარშისთვის“ ემზადებოდნენ, ერთმანეთს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ სწორედ 2 თებერვალს მოუღებდნენ ბოლოს მოჰამედ ჰოსნი მუბარაქის 30-წლიან მმართველობას.

2 თებერვალს ეგვიპტის პრეზიდენტი მუბარაქი არ გადადგა. პირიქით, მან ოპოზიციას საკუთარი მომხრეები დაუპირისპირა. „ხავერდოვანი რევოლუციის“ ნაცვლად ეგვიპტე სამოქალაქო ომში აღმოჩნდა ჩართული.

„ოთხშაბათს მთელი ღამე ხელჩართული ბრძოლები იყო. ადამიანები ერთმანეთს ქვებს, აგურებს ესვრიან. ერთ დღეში მო-

ედანზე ხალხი განახევრდა, ბევრი მომიტინგე, რომლებიც ეს დღეები ტაჰრირზე იდგა, წავიდა. მათი ადგილი მუბარაქის მხარდამჭერებმა დაიკავეს. აქ ძალიან ცოტა სამხედროა იმისთვის, რომ ვითარება გააკონტროლონ... პროსახელისუფლებო ჯგუფები მიმდებარე ქუჩებთან არიან მობილიზებულნი და ალყაში აქცევენ ოპოზიციონერ მომიტინგეებს, რომლებიც ცდილობენ დატოვონ მოედანი. ისინი მათ მისდევენ, სცემენ და ქვებს ესვრიან“ – გადმოსცემს ბი-ბი-სის კორესპოდენტი ჯონ სიმფსონი.

უკვე ორ კვირაზე მეტია გრძელდება საპროტესტო გამოსვლები კაიროში, ალექსანდრისა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში ერთადერთი მოთხოვნით – გადადგეს მუბარაქი და დასრულდეს მისი მმართველობა.

მსგავსი პროტესტი უჩვეულოა ზოგადად აღმოსავლეთისთვის, კერძოდ კი იმ ქვეყნისათვის, რომელსაც მუბარაქი უკვე 30 წელია მეთაურობს. თანაც, თუ რამდენიმე მსუბუქ დემარშს არ ჩავევლით, შეიძლება ითქვას, რომ ამ დრომდე მუბარაქის რეჟიმს არავითარი პრობლემა არ შექმნია.

იყო ერთი შემთხვევა 2005 წელს, როცა მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მონინაალმდეგე ძირითადი ძალები – პოლიტიკური გაერთიანება „მუსლიმი ძმები“ და ორგანიზაცია „ალ-ქიფაია“ განსაკუთრებით გააქტიურდნენ. მაშინ ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა და მუბარაქის მთავრობამ საარჩევნო კანონში შესაბამისი შესწორებების შეტანის გზით თავისი კანდიდატის კიდევ ერთი ვადით არჩევა მოახერხა. ასე გახდა მუბარაქის მმართველობა მთელი ახლო

## ■ ქვეყანაში, სადაც 30-წლიანი დიქტატურა იყო, დღეს უპრეცედენტო მოვლენები ვითარდება –

ასეულობით დემონსტრანტი ქვეყანაში არსებულ ვითარებას აპროტესტებს და არაფრით ცხრება.



დემონსტრანტი წვავს პრეზიდენტ მუბარაქის ფოტოს, კაირო, 28 იანვარი 2011



აღმოსავლეთის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული და ხანგრძლივი რეჟიმი.

ქვეყანაში, სადაც 30-წლიანი დიქტატურა იყო, დღეს უპრეცედენტო მოვლენები ვითარდება – ასეულობით დემონსტრანტი ქვეყანაში არსებულ ვითარებას აპროტესტებს და არაფრით ცხრება.

ეგვიპტელები სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებს ელიან, რადგან ქვეყანა კორუფციაში, უმუშევრობასა და სიღარიბეშია ჩაფლული. ქვეყნის შიდა პრობლემებს მსოფლიო ფინანსური კრიზისიც დაემატა, რომელიც განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბ ფენას შეეხო. კაიროს ქუჩებში ტრანსპარანტებით, პირველ რიგში, ისინი გამოვიდნენ, ვინც სამსახურში არ დადის. ასეთები კი ეგვიპტეში მილიონობით არიან.

პოლიტიკური კომენტატორები ეგვიპტის მოვლენებს მჭიდროდ უკავშირებენ ტუნისის რევოლუციას, რომელსაც, მათი აზრით, „დომინოს ეფექტი“ ჰქონდა. ტუნისში სახელმწიფო გადატრიალება 2011 წლის 14 იანვარს მოხდა. ტუნისისგან განსხვავებით, სადაც მეტ-ნაკლებად განვითარებული პოლიტიკური სისტემა იყო, ეგვიპტეში ოპოზიცია როგორც ასეთი, არ არსებობს. ამდენად საპროტესტო აქციებში მონაწილე ადამიანები მმართველი გუნდის პოლიტიკის მიმართ პირად დამოკიდებულებას გამოხატავენ და რომელიმე პოლიტიკურ ძალას არ ემხრობიან. ეგვიპტის ოპოზიციას ერთიანი ლიდერი არ ჰყავს, რაც ანალიტიკოსთა აზრით, გაართულებს მომიტინგეთა წარმატებას.

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ რევოლუციური ტალღა, რომელიც ტუნისიდან ეგვიპტესა და იემენში გადავიდა, სხვა ქვეყნებშიც გავრცელდება და მთელ ახლო აღმოსავლეთს მოიცავს. განსხვავებული პროგნოზები კეთდება იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიტანს ეს რევოლუციები. შეიძლება აღმოჩნდეს ისე, რომ მუბარაქის მსგავსი კორუმპირებული რეჟიმები, რომელთაც ცივილური და დასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული ფასადი აქვთ, ისლამურმა ფუნდამენტალისტურმა ძალებმა ჩაანაცვლოს. სხვათაშორის, რეგიონში ეგვიპტის მეზობელი – ირანი, მოვლენების

წნორედ ამგვარი სცენარით განვითარებას ელის. ირანი მუბარაქს პროამერიკელ მმართველს უწოდებს, ქუჩის პროტესტებს მიესალმება. ირანის სასამართლო სისტემის ხელმძღვანელმა სადექ ალი ლარიჯანმა იანვრის დემონსტრაციებს „დასავლეთის მარიონეტებზე ირანული

რევოლუციის სეისმური გავლენა“ უწოდა. ფუნდამენტალისტური ეგვიპტე სრულიად ამოაყირავებს ახლო აღმოსავლეთში არსებულ ძალთა განლაგებას.

დასავლეთი, რომელიც თავდაპირველად მხარს უჭერდა ანტისახელისუფლებო დემონსტრაციებს, როგორც ჩანს, და-

**აბჰიპტის ჯიჩვისის ქონოლობი**



**17 იანვარი:** 50 წლის მამაკაცი პროტესტის ნიშნად ეგვიპტის პარლამენტის წინ თავს ინვაეს. მომავალ დღეებში კიდევ ოთხი ადამიანი იყენებს პროტესტის ამ უკიდურეს ფორმას.

**25 იანვარი:** ტუნისის პრეზიდენტის გაქცევით შთაგონებული ათასობით ეგვიპტელი მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ ქუჩაში გამოდის. „მრისხანების დღეს“ მოქალაქეებსა და პოლიციას შორის პირველი შეტაკება იწყება.

**26 იანვარი:** ხელისუფლების აკრძალვის მიუხედავად, პროტესტი გრძელდება. შეტაკებისას პოლიცია ცრემლსადენ გაზს იყენებს. 500 დემონსტრანტი დააკავეს.

**27 იანვარი:** ეგვიპტური წარმოშობის ცნობილი დიპლომატი და ნობელის ლაურეატი მოჰამედ ელბარადეი კაიროში ბრუნდება. სინაიში პოლიცია აქციის ახალგაზრდა მონაწილეს - შეიჰ ზუვაიდის კლავს.

**28 იანვარი:** ეგვიპტის სხვადასხვა ქალაქში პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად, მინიმუმ, 62 ადამიანი დაიღუპა და ათასამდე დაიჭრა. მუბარაქი ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათს აცხადებს. ღამის განმავლობაში, მუბარაქის ბრძანებით, ქალაქებში ტანკები და ჯარისკაცები შეჰყავთ.

**29 იანვარი:** მუბარაქმა მინისტრთა კაბინეტი დაითხოვა და ახალი დააკომპლექტა. ამ დღეს 33 ადამიანი იღუპება.

**30 იანვარი:** ეგვიპტეში ინტერნეტის მიწოდება წყდება. კანადა, აშშ და სხვა სახელმწიფოები საკუთარი მოქალაქეების ევაკუაციას იწყებენ. სატელევიზიო არხს ალ-ჯაზირას კი ეგვიპტეში წარმომადგენლობის დახურვის ბრძანებას აძლევენ.

**31 იანვარი:** კომენდანტის საათის მიუხედავად, ათასობით ეგვიპტელი ტაჰრირის მოედანზე შეკრებას განაგრძობს. ეგვიპტის არმია აცხადებს, რომ ეგვიპტელების წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს და „გამოხატვის თავისუფლებას“ უზრუნველყოფს.

**1 თებერვალი:** სატელევიზიო გამოსვლაში მუბარაქი სექტემბერში არჩევნების გზით წასვლის პირობას დებს. ამასობაში, მილიონამდე ეგვიპტელი ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციებს განაგრძობს. ალექსანდრიაში წესრიგის დასაცავად ტანკები ჰაერში ცეცხლს ხსნიან. ეგვიპტის ცენტრალური ბანკი და ბირჟა კვლავ დახურულია.

**2 თებერვალი:** მეცხრე დღეს ტაჰრირის მოედანზე გამოსვლები გრძელდება. ეგვიპტელები „მილიონიანი მარშისთვის“ ემზადებიან. ტაჰრირის მოედანზე უპრეცედენტო რაოდენობის ადამიანია შეკრებილი. ამ დღეს ტაჰრირზე მუბარაქის მომხრეები ჩნდებიან და აქციის მონაწილეებს არბევენ. ოპოზიციის წარმომადგენელი მუსტაფა ნაგარი აცხადებს, რომ ოპოზიცია ძალოვნებთან მოლაპარაკებებზე მხოლოდ მუბარაქის გადადგომის შემთხვევაში წავა.

**3 თებერვალი:** მუბარაქის მონიშნულ დეგებს და მომხრეებს შორის დაპირისპირება უკიდურეს ფორმებს იღებს. მუბარაქი გადადგომას არ აპირებს. ვიცი-პრეზიდენტი ომარ სულიმანი მოსახლეობას დაშლას და სექტემბერში არჩევნებში მონაწილეობას ურჩევს.

ფიქრდა იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ავტორიტარული და კორუმპირებული, თუმცა პროგნოზირებადი მუბარაქის გადადგომას. დიდი როლი ამ განწყობების შექმნაში ეგვიპტის მეზობელმა – ისრაელმა შეიტანა, რომელიც სხვებზე მეტი ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ რა ხდება ფარაონების ქვეყანაში. ეგვიპტეში ხელისუფლების შეცვლამ ისრაელს სერიოზული პრობლემები შეიძლება, მოუტანოს.

ისრაელი შიშობს, რომ ეგვიპტურ საზოგადოებაში არსებული ანტიდასავლური

და ანტი-ისრაელური განწყობებიდან გამომდინარე, რევოლუციის შემდეგ კაიროს ხელისუფლებაში რადიკალური ძალები მოვლენ. ამის შემდეგ კი ეგვიპტემ, რომელმაც 1979 წელს არაბული ქვეყნებიდან პირველმა მოაწერა ხელი ისრაელთან სამშვიდობო შეთანხმებას, შესაძლოა, ღაზას სექტორში პალესტინელ ექსტრემისტებს დაუჭიროს მხარი და სინას ნახევარკუნძულის მილიტარიზაციაზე ზრუნვა დაიწყოს. როგორც ისრაელის მედია წერს, ებრაული სახელმწიფო ცდილობს, დაარწმუნოს თავისი დასავლელი პარტნიორები, რომ არ

დაუჭირონ მხარი ეგვიპტურ რევოლუციას. იგივე არგუმენტი აქვს თავად მუბარაქს. არეულობების შემდეგ პირველ ინტერვიუში, რომელიც მუბარაქმა 3 თებერვალს ABC News-ის ნამყვანს კრისტიან ამანპურს მისცა, მან თქვა:

„ყელამდე ვარ ხელისუფლებით, მაგრამ ისლამისტური მოძრაობა „ძმები-მუსლიმები“ პოლიტიკური ვაკუუმით ისარგებლებენ და ხელისუფლებაში მოვლენ,“ – განაცხადა მან და დასძინა, რომ მისი ხელისუფლებიდან წასვლა ეგვიპტეში ქაოსს გამოიწვევს.

## 21-ე საუკუნის ფაქტობრივი



1981 წლის 6 ოქტომბერს კაიროში გამართულ ალლუმზე პრეზიდენტ ანვარ სადათის გვერდით ბევრისთვის უცნობი ვიცე-პრეზიდენტი – მუჰამად ჰოსნი საიდ მუბარაქი იჯდა. ალლუმის დაწყებიდან რამდენიმე წუთში მუსლიმი რადიკალების ტყვიამ პრეზიდენტის სიცოცხლე შეინარა. მის გვერდით მჯდომი ვიცე-პრეზიდენტი ბენზე გადარჩა. იგი მალე გარდაცვლილი პრეზიდენტის ადგილას დანიშნეს. ასე დაიწყო მუბარაქის 30-წლიანი პრეზიდენტობის ხანა.

მას შემდეგ მუბარაქმა, დაახლოებით, ექვსი თავდასხმა გადაიტანა.

1928 წელს კაიროს მახლობლად, მენოფიას პროვინციაში დაბადებული მუბარაქი პირადი

ცხოვრების საჯაროობის წინააღმდეგაა. ნახევრად ბრიტანული სიუზან მუბარაქის მეუღლე და ორი შვილის - გამალის და ალაას მამა - მკაცრი დღის რეჟიმით ცხოვრობს, რომელიც დღის 6 საათზე იწყება. ამაში ცხოვრების ჯანსაღი წესიც ეხმარება: არც ეწევა და არც სასმელს ეტანება.

ეგვიპტეში საპროტესტო აქციების დაწყებიდან რამდენიმე დღეში სიუზანი და გამალი 97-ჩემოდინიანი ბარგიტო ლონდონის აეროპორტში შენიშნეს. თუმცა, ოფიციალური კაირო პრეზიდენტის ოჯახის ქვეყნიდან გაქცევას არ ადასტურებს.

თავშესაფრის პოვნა მუბარაქის ოჯახს ნამდვილად არ გაუჭირდება - ეგვიპტის პირველ ოჯახს საკუთრება მსო-

ფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აქვს. ჯამში, ცოლ-ქმრის ანგარიშზე 59 მილიარდი დოლარი ინახება.

სიუზან მუბარაქს ქველმოქმედება უყვარს, თუმცა, როგორც მედია წერს, საბოლოოდ ფული მაინც მის პირად ანგარიშზე ჯდება. მოდის და ფუფუნების მოყვარულ პირველ ლედის ეგვიპტურმა მედიამ მარია ანტუანეტა უწოდა.

მუბარაქის შვილები - გამალი და ალა - სამყაროს მხოლოდ ლიმუზინის ფანჯრებიდან უყურებენ. 47 წლის გამალი 10 წელია ლონდონში Bank of America-ში მუშაობს და საკუთარი საინვესტიციო კომპანია აქვს.

ყოფილი სამხედრო მოსამსახურე - ჰოსნი მუბარაქი სამხედრო ტაქტიკას პრეზიდენტად გახდომის შემდეგაც იყენებდა. 30 წლის განმავლობაში ქვეყანა, პრაქტიკულად, საგანგებო მდგომარეობაში იმყოფება. აქ ადამიანების უფლებების დარღვევები, უკანონო დაკავებები, სხვადასხვა შეზღუდვა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია.

ხელისუფლება ამგვარ პოლიტიკას ისლამური ტერორიზმის დამარცხებისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს.

გაპრეზიდენტების შემდეგ მუბარაქმა სადათის ისრაელთან მშვიდობიანი ურთიერთობების პოლიტიკა განაგრძო, რითაც დასავლეთის მხარდაჭერა და აშშ-ის ფინანსური ნაკადები მოიპოვა. მუბარაქი ყოველთვის იდეალური მოკავშირე არ ყოფილა, თუმცა ამერიკის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ის ფასდაუდებელია იმის გამო, რომ აშშ-სთან ურთიერთობას და ისრაელში მშვიდობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეგვიპტის მიმდინარე კრიზისი, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავსატეხი გახდეს პრეზიდენტ ბარაკ ობამასთვის, რომელიც საჯაროდ მუბარაქის მხარდაჭერად ითვლება, ფარდის მიღმა კი მას რეფორმებისკენ და ცვლილებებისკენ მოუწოდებს.

82 წლის მუბარაქის ჯანმრთელობა ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური თემა ხდება. წარსულში მუბარაქს ისიც უთქვამს, რომ ეგვიპტეს ბოლო ამოსუნთქვამდე ემსახურებოდა. თუმცა ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენები სულ უფრო საეჭვს ხდის იმის შანსს, რომ მუჰამად ჰოსნი საიდ მუბარაქი სიცოცხლეს პრეზიდენტის სკამზე დაასრულებს.





დემონსტრანტები გაურბიან ცრემლსადენ გაზს, კაირო, 28 იანვარი, 2011

ფოტო: აპრ. ფაიზი / REUTERS

**4 თებერვლისთვის გავრცელებული მონაცემებით, შეტაკების შედეგად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში 300 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 3 ათასამდე დაშავდა.**

1928 წლის 4 მაისს დაბადებულ მუბარაქს, წელს 82 წელი უსრულდება და, შესაბამისად, ძველებური ძალა აღარ მოსდევს, თორემ თავის დროზე კარგი სამხედრო განათლების მეშვეობით, თუ გარეშე მტრის მოგერიებასა და დამარცხებას ვერა, შიდა სიტუაციის კონტროლს ბრწყინვალედ ახერხებდა.

ამჟამინდელი არეულობის დასაშორებინებლადაც მან ნაცად ხერხებს მიმართა და დემონსტრანტთა წინააღმდეგ პოლიციის ძალები და სამხედრო შენაერთები გამოიყვანა. 4 თებერვლისთვის გავრცელებული მონაცემებით, შეტაკების შედეგად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში 300 ადამიანი დაიღუპა და, დაახლოებით, 3 ათასამდე დაშავდა.

29 იანვარს, გამთენიისას, ჰოსნი მუბარაქმა საკუთარ ხალხს მიმართა. მან თქვა, რომ მთავრობა დაითხოვა, რასაც ქუჩა-

ში შეკრებილი დემონსტრანტები სტვენით შეხვდნენ. დემონსტრანტებმა ასევე მძაფრად გააპროტესტეს ცნობა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტად 73 წლის უმარ სულეიმანი – 1993–2000 წლებში ეგვიპტის უშიშროების და სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელი – დაინიშნა.

უმარ სულეიმანზე ეგვიპტეში ლეგენდები დადის. მან საბჭოთა კავშირის დროს ფრუნჯეს სამხედრო აკადემია დაამთავრა და, როგორც ამბობენ, განსაკუთრებული სისასტიკითა და შეუბრალებლობით გამოირჩეოდა. თუ გავითვალისწინებთ ეგვიპტის უშიშროების მუშაობის მეთოდებსა და ქვეყანაში არსებული ტოტალური დასმენისა და თვალთვალის ატმოსფეროს, მაშინ ეს ლეგენდები ძალზე დამაჯერებელი ხდება.

“პირსისხლიანად“ ცნობილი უმარ სულეიმანის დანიშვნამ მომიტინგეთა რიგე-

ბი კიდევ უფრო გაზარდა. 30 იანვარს პრეზიდენტის სანიწაღმდეგო მიტინგს უკვე კაიროს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ეგვიპტელი ხელოვანებიც შეუერთდნენ. საპროტესტო მოძრაობამ ეგვიპტისათვის წარმოუდგენელი მასშტაბები შეიძინა.

იმავე დღეს ტაჰრირზე მუჰამად ელ-ბარადეი გამოჩნდა. ეგვიპტური წარმოშობის ცნობილი დიპლომატისა და ნობელის პრემიის ლაურეატის გამოსვლას ხალხი დიდი ოვაციებით შეეგება. ბარადეის ძალზე მკაცრი ტონი ჰქონდა. მან ხალხს განუცხადა, რომ უკან დახევა უკვე აღარ შეიძლებოდა. მომიტინგეები კი მის სიტყვებს შეეგებნენ შეძახილით: მუბარაქ, მუბარაქ ატ-ტაიარა ფინთიზარაქ! რაც ნიშნავს – მუბარაქ, მუბარაქ, თვითმფრინავი გელოდება!

ამ ეტაპზე ეგვიპტის რევოლუციას ლიდერი არ ჰყავს. ზოგიერთი ანალიტიკოსის

ვარაუდით კი, ასეთი ლიდერი სწორედ ელ-ბარადეი შეიძლება გახდეს, რომელიც მუბარაქის გადადგომის შემდეგ ჩაიბარებს ეგვიპტის სახელმწიფოს. ამის შესახებ განცხადება 28 იანვარს თავად ბარადეიმაც გააკეთა. მან თქვა, რომ მზადაა, ხელისუფლება ჩაიბაროს. მეორე დღესვე ეგვიპტის მართლმსაჯულებამ ბარადეის შინაპატიმრობა მიუსაჯა.

30 იანვარს მუბარაქის ადმინისტრაციის წინააღმდეგობის კომიტეტი შეიქმნა, რომელშიც თავი მოიყარა ყველა ოპოზიციურმა გაერთიანებამ. მათ შორისაა,

ისლამისტური ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები“.

მუჰამად ელ-ბარადეიმ, რომელიც ასევე კომიტეტის წევრია, 30 იანვარს CNN-ს განუცხადა, რომ მას აქვს სახალხო და პოლიტიკური მანდატი, რათა ჩამოაყალიბოს წინააღმდეგობის კომიტეტი ერთიანი ეროვნული მთავრობის დასაკომპლექტებლად. „მე ვარ იმ ხალხის რწმუნებული და წარმომადგენელი, რომელმაც გამართა დღევანდელი დემონსტრაციები და ასევე მაქვს უამრავი სხვა პარტიის რწმუნება ერთიანი ეროვნული მთავრობის შესაქმნელად“, –

განაცხადა მან, – „ვოცნებობ, მალე შემოგვიერთდეს არმიაც, რომელსაც დღესდღეობით ხელისუფლება აკონტროლებს. არმია ეგვიპტელი ხალხის ნაწილია და ჩვენ ახლა ერთიანი ძალებით მოქმედება გვესაჭიროება!“

ელ-ბარადეიმ ასევე გააფრთხილა ამერიკის ადმინისტრაცია, რომ თუკი მუბარაქის მთავრობის მხარდაჭერას გააგრძელებს, მაშინ ეგვიპტის მოსახლეობის ნდობას უნდა გამოემყვიდობოს.

ამერიკის მთავრობა თავიდან ძალიან ფრთხილობდა და სიტუაციაში ღია ჩა-

## "ბუიზი ბუიზი" ჩეჩენეთში



ტუნისელი მოჰამედ ბუაზიზი არასოდეს უჩიოდა ცხოვრებას. 3 წლის იყო, როდესაც მეზობლებმა გულის შეტევით გარდაცვლილი მამა სახლში მოასვენეს. 12 წლისა უკვე ოჯახს არჩენდა - საღამოს ბაზარში ხილს ყიდდა, დღისით - სკოლაში სწავლობდა. 17 წლის მოჰამედმა სწავლა მიატოვა და მთელი დრო ბაზარში ვაჭრობას დაუთმო, რათა უმცროს და-ძმებს კოლეჯში სწავლის საშუალება ჰქონოდათ. სხვა სამსახურის მოძებნას ამაოდ ცდილობდა, ჯარში მსახურებაზე უარი მიიღო.

ერთ დღესაც, ქრთამის გარეშე დარჩენილმა პოლიციელმა 26 წლის მოჰამედის ხილის დახლის კონფისკაცია გადაწყვიტა და ოჯახის გამოსაკვები დღიური 3 დოლარი წაართვა. დახლის გამორთმევის მცდელობის დროს

პოლიციელმა ახალგაზრდას სახეში სილა გაანწა. სასონარკვეთილი ბუაზიზი მინაზე დაეცა და ტირილი დაიწყო.

„ქურდობა უნდა დავინყო? უნდა მოვკვდე?“ - უყვიროდა ბუაზიზი პოლიციელს. შემდეგ ხელი ჰკრა ცარიელ დახლს, ნახევარი ლიტრი ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვია.

ტუნისელი მოჰამედ ბუაზიზი ახალგაზრდა არაბებისთვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

ეგვიპტის ქუჩებში მიმდინარე პროტესტის მონაწილეები სწორედ ბუაზიზის მსგავსად იმედგაცრუებული არაბი ახალგაზრდები არიან: 20-30 წლის ფართომხრებიანი, „Sacramento Kings“-ის და სხვა ინგლისურწარწერებიან მაისურებში გამოწყობილი ბიჭები და გოგონები - მკაცრად ჩაცმული, თუმცა მოდურ მაღალყელიან ჩექმებში, გრძელ სვიტერებში და რეიბანის სტილის სათვალეებში.

25 წლის წინანდელმა არაბულმა ე.წ. „ბუიზი ბუიზმა“ მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი და, ამავე დროს, ყველაზე უმუშევარი - 100 მილიონიანი თაობა წარმოშვა. 80-იან წლებში არაბულ ქვეყნებს მკვეთრ დემოგრაფიულ ზრდასთან გასამკლავებლად არც

გამართული სასკოლო სისტემა გააჩნდა, არც ჯანდაცვის სისტემა და არც რაიმე სხვა მექანიზმი. შედეგად გადაჭედებულმა სასწავლებლებმა ამ ბავშვებს ცარიელი დიპლომები მისცა, რომელთაც არც განათლება უმაგრებდა ზურგს და არც საშუაოს მოსაძებნად საჭირო უნარები.

მაშინ ეს პრობლემად არ აღუქვამთ - ამ ბავშვების მშობლები სტაბილურ სამსახურებში მუშაობდნენ, რაც საშუალო კლასის დონის ცხოვრების საშუალებას იძლეოდა.

შვილებსაც იგივე და უკეთესი მოლოდინები ჰქონდათ.

თუმცა მშობლების უზრუნველყოფილი ცხოვრების სისტემა 80-90-იან წლებში დაიმსხვრა. ამას კერძო სექტორის კრიზისი და ახალი საშუაო ადგილების დეფიციტიც დაემთხვა. საშუაოს არსებობის შემთხვევაშიც კი, ახალგაზრდებს საჭირო უნარები არ გააჩნდათ. ამგვარად, მაღალი მოლოდინებით გაზრდილი მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი თაობა არაბულ სამყაროში თანამედროვე ეკონომიკის რეალობებს შეეჯახა.

დროთა განმავლობაში, ყველა ოჯახსა და ჩაიხანაში პიცის ზომის სატელიტური თეფშები გაჩნდა. არაბმა ახალგაზრდობამ

დაიანახა, რომ სადღაც შორს, მათი თანატოლები უზრუნველყოფილად ცხოვრობდნენ და მეტი თავისუფლებითაც სარგებლობდნენ. შედარების საშუალებამ მათ იმედგაცრუების კიდევ ერთი მიზეზი მისცა.

ეგვიპტეში დღეს მიმდინარე მოვლენებს გარკვეულწილად წინასწარმეტყველებდა Population Action International-ის კვლევა, რომელმაც ახალგაზრდების ბუმის ნეგატიური ასპექტები შეისწავლა. კვლევამ დაადასტურა, რომ 1970-1999 წლებში მსოფლიო კონფლიქტების 80 პროცენტი იმ ქვეყნებში მოხდა, სადაც მოსახლეობის 60 პროცენტს 30 წლამდე ადამიანები წარმოადგენდნენ. ჩრდილოეთ აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ახლა სწორედ ასეთ სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან - აქ რეგიონის მოსახლეობის 60 პროცენტი 30 წელზე ნაკლები ასაკისაა და ამასთან, მსოფლიოში ახალგაზრდა უმუშევარი მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ.

დღეს „ბუიზი-ბუიზის“ გაზრდილი ბავშვები კაიროს ქუჩებში ჰოსნი მუბარაქის გადადგომას და სადავების საკუთარ ხელში აღებას მოითხოვენ.



რევას ერიდებოდა, რადგან, ერთი მხრივ, აშკარად ეშინია, რადგან არ იცის, ვინ ჩაანაცვლებს პრეზიდენტ მუბარაქის ადმინისტრაციას, მეორე მხრივ კი, მუბარაქის ატანაც აღარ შეუძლია.

გასულ კვირას „ტვიტერზე“ ძალიან ბევრი შეტყობინება გაჩნდა, სადაც ეგვიპტელი დემონსტრანტები ამერიკას დემოკრატიული ღირებულებების მიმართ გულგრილობასა და ღალატში ადანაშაულებდნენ.

რამდენიმე დღის წინ ეგვიპტის თითქმის ყველა სატელევიზიო არხი ავრცელებდა შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში მუბარაქის სტუმრობის კადრებს. ძალის ასეთი გარეგნული დემონსტრირების მიუხედავად, მაინც აშკარაა, რომ ეგვიპტის ამჟამინდელ ხელისუფლებას ბევრი რამის გაკონტროლება აღარ ძალუძს. ამას მოწმობს ქვეყნის ორ ციხეში – აბუ-ზაყბალსა და ალ-კატაში მონყობილი უპრეცედენტო ბუნტი და პატიმართა გაქცევის მცდელობა, რომლის დროსაც ალ-ჯაზირას ინფორმაციით, 174 პატიმარი მოკლეს და 203 დაიჭრა. ვრცელდება ცნობები იმის შესახებ, რომ პატიმრები კიდევ რამდენიმე სხვა ციხიდან გაიქცნენ და ქუჩაში მომიტინგეებს შეერივნენ.

მუბარაქის ხელისუფლების დამხობის კიდევ ერთი მცდელობა პარასკევს იყო. 4 თებერვალს ქუჩაში ასი ათასობით ეგვიპტელი გამოვიდა. ამ დღეს მომიტინგეებმა „გადადგომის პარასკევი“ უწოდეს.

როგორც ჩანს, მუბარაქის 30-წლიანი მმართველობის დასრულებას ერთი პარასკევი არ ეყოფა.

ამ დღეს პრეზიდენტი მუბარაქი შარმ-ელ-შეიჰში თავის რეზიდენციაში ჩავიდა და იქიდან აკვირდებოდა მოვლენებს. ის ამბობს, რომ მზადაა ოპოზიციასთან დიალოგისთვის და ახალ პრემიერს – აჰმედ შაფიკს ახალ მითითებებს აძლევს – „დავუბრუნოთ ეგვიპტის ეკონომიკას ძალა“, „მთელი ყურადღება სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს მივაქციოთ, რომლებიც ხალხის საჭიროებებს უასუსობს“. ასეთ დაპირებებს ყველა ლიდერი იძლევა, ვისი ხალხიც ქუჩაშია გამოსული. ■



მოავრობის მხარდამჭერები უპირისპირდებიან მუბარაქის მონინააღმდეგეებს, ტაჰრირის მოედანთან ახლოს, კაირო, 2 თებერვალი

ფოტო: შუაგულ აბუ ჯაბი / REUTERS

**■ მოსახლეობის 60 პროცენტი 30 წელზე ნაკლები ასაკისაა და ამასთან, მსოფლიოში ახალგაზრდა უმუშევარი მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ. დღეს „ბები-ბუმის“ გაზრდილი ბავშვები კაიროს ქუჩებში ჰოსნი მუბარაქის გადადგომას და სადავეების საკუთარ ხელში აღებას მოითხოვენ.**

## საერთაშორისო ჩანაწერი

### ■ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის – დევიდ კამერონის, საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის და გერმანიის კანცლერის – ანგელა მერკელის ერთობლივი განცხადება:




„შემფოთებულნი ვართ ეგვიპტეში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ჩვენ ვაღიარებთ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქის მოდერატორის როლს, რომელსაც ის წლების განმავლობაში ახლო აღმოსავლეთში ასრულებდა. ჩვენ მას ახლაც მოდერატორობისკენ მოვუწოდებთ. აუცილებელია, რომ მის მიერ დაპირებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმები სრულად, დროულად და იმგვარად გატარდეს, რომ ეგვიპტელი ხალხის ნება დააკმაყოფილოს. ეგვიპტელ ხალხს უკმაყოფილების და უკეთესი მომავლის სურვილის ქონის ლეგიტიმური უფლება აქვს. ჩვენ პრეზიდენტ მუბარაქს მოვუწოდებთ ფართოსპექტრული ხელისუფლებაზე და სამართლიან არჩევნებზე დაყრდნობით ტრანსფორმაციის პროცესი უზრუნველყოს“.

### ■ იტალიის და ესპანეთის პრემიერ-მინისტრების – სილვიო ბერლუსკონის და ხოსე ლუის ზაპატეროს – ერთობლივი განცხადება:

„ეგვიპტის დღევანდელი გამოწვევების გადალახვის ძალა მხოლოდ ფართოსპექტრული ხელისუფლების გზით სწრაფ და მონერირებულ ტრანზიციას შესწევს. ტრანზიციის ეს პროცესი დღეს უნდა დაიწყოს“.

### ■ ბარაკ ობამა, აშშ-ს პრეზიდენტი:



„მივმართავ ეგვიპტელ ხალხს, განსაკუთრებით – ახალგაზრდებს: ჩვენ გვესმის თქვენი. მე ღრმად მნამს, რომ მომავალი თქვენს ხელთ არის და შეძლებთ თქვენი შვილებისთვის და შვილიშვილებისთვის უკეთესი მომავალი უზრუნველყოთ. ათასობით წლის განმავლობაში ეგვიპტეს ტრანსფორმაციის არაერთი მომენტი გადაუტანია. ეგვიპტელების ხმა დღეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახლა ერთ-ერთი ასეთი მომენტია. არცერთ სხვა ქვეყნის ლიდერს არ აქვს ეგვიპტის მომავლის განსაზღვრის უფლება. მხოლოდ ეგვიპტელ ხალხს შეუძლია ამის გაკეთება. ერთი რამ ნათელია – ქვეყნის ტრანსფორმაცია აზრიანი, მშვიდობიანი უნდა იყოს და დღესვე დაიწყოს“.

### ■ კეტრინ ეშტონი, ევროკავშირის წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებში:

„ევროკავშირი ეგვიპტეს ორგანიზებული ტრანზიციისკენ მოუწოდებს, რაც არჩევნების, კანონის უზენაესობის, ადამიანთა

უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფის გზით ფართოსპექტრული ხელისუფლების მიერ უნდა განხორციელდეს“.

### ■ პან გი მუნი, გაეროს გენერალური მდივანი:



„მოცემულ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემის უზრუნველყოფა. მოვუწოდებ ყველა მხარეს, დაუყოვნებლივ ჩაერთოს ასეთ დიალოგში და პროცესში. ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ, თუ რას შეიძლება, ნიშნავდეს არასტაბილური ვითარება ახლო აღმოსავლეთში.“

### ■ რეჯებ ტაიპ ერდოღანი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი:

„ბატონო ჰოსნი მუბარაქ, მინდა, ერთი ძალიან გულახდილი რეკომენდაცია მოგცეთ: ერთ დღესაც ჩვენ ყველანი მოვკვდებით და ყველა განგვსჯის იმის მიხედვით, თუ რას მოვიტოვებთ უკან. მოუსმინეთ ამ ადამიანების ხმას, მათ უკიდურესად ადამიანურ მოთხოვნებს. დააკმაყოფილეთ ხალხის მოთხოვნა – მოხდეს ცვლილება“.

### ■ ალექსანდერ სტუბი, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი:

„არაბულ სამყაროში რაღაც ძალიან დიდი, ისტორიული მოვლენა ხდება. ჯინი ბოთლიდან გამოძვრა და არ ვიცი, რამდენად შესწევს ვინმეს უნარი ან უნდა მისი უკან დაბრუნება. მე ზუსტად ვიცი, ეს არ მსურს. ჯერ ცოტა ნაადრევია იმის თქმა, რამდენად გვაქვს ბერლინის კედლის მოვლენასთან საქმე. უპირველესად იმიტომ, რომ ევროპასა და არაბულ სამყაროს შორის და თვით არაბული სამყაროს ქვეყნებს შორის ძალიან დიდი განსხვავებებია. თუმცა ერთი ტენდენცია უკვე გამოიკვეთა: იმ ქვეყნებში სადაც ეკონომიკური პრობლემებია, ადამიანები გრძნობენ, რომ მათი კეთილდღეობისთვის არავინ ზრუნავს და არათანაბარი შესაძლებლობებით სარგებლობენ, ცვლილებები ყველაზე მოსალოდნელია.“

### ■ ტონი ბლერი, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი:



„ცვლილება გარდაუვალია. სხვა საკითხია, თუ რა სახის ცვლილებასთან გვექნება საქმე და როგორ გავუმკლავდებით მას. მნიშვნელოვანია დასავლური სახელმწიფოების ხელისუფლებებმა კომენტარების გარდა კონკრეტულად იფიქრონ თავისი პარტნიორისთვის ცვლილების პროცესში დახმარების განწევაზე. მე აქამდეც მითქვამს, რომ ეს ტრანზიციამი მყოფი რეგიონია. საკითხავია, რა მიმართულებით განიცდის ის ტრანზიციას?“



316 იქნება შაბლი?



მუჰამედ ელ ბარადეი

ხელისუფლების ტრანზიციის დროს ეგვიპტეში, ტრადიციულად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვის დაუჭერს მხარს არმია.

1952 წელს „თავისუფალი ოფიცრების მოძრაობის“ მიერ მეფე ფარუკის დამხობის შემდეგ სამხედროები ქვეყნის მმართველ ელიტად იქცნენ. მომდევნო ორი პრეზიდენტი, გამალ ნასერი და ანვარ სადათი ხელისუფლებაში სწორედ არმიიდან მოვიდნენ. პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქიც ავიაციის გენერალი იყო.

ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მუბარაქმა თანდათან შეამცირა სამხედროების გავლენა პოლიტიკაში. უკმაყოფილების მიუხედავად, სამხედრო ელიტას, ათულობით წლების განმავლობაში, მუბარაქის წინააღმდეგ გადატრიალება არ მოუწყვია, თუმცა ისიც ნათელია, რომ დღეს არც პრეზიდენტის გადასარჩენად მიმართავს რადიკალურ ზომებს. მიუხედავად მობილიზაციისა, ჯარი მხოლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვით შემოიფარგლება და მოსახლეობის დარბევის პროცესში მონაწილეობას თავს მაქსიმალურად არიდებს.

სამხედროებთან კონფრონტაციაში მყოფი პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ირგვლივ არის დაჯგუფებული. ის ქვეყანაში უძლიერეს პარტიას და პოლიტიკურ ჯგუ-

ფს წარმოადგენს. მუბარაქის მიერ სამხედროების გავლენის შემცირება სწორედ ამ პარტიის ძალაუფლების გაზრდის ხარჯზე მოხდა. შესაბამისად, სამხედროებსა და ედუ-ს შორის დაპირისპირება დიდი ხანია არსებობს, თუმცა მთელი მმართველობის პერიოდში მუბარაქი ამ ორი ძალის დაბალანსებას ასწრებდა; ახლა კი, როცა მემკვიდრის დასმის საკითხი მოახლოვდა, დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და როგორც ამბობენ, სწორედ ამ დაპირისპირების შედეგია ის, რაც დღეს კაიროს ქუჩებში ხდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ელიტის ნაწილი განუდგა დღევანდელ პრეზიდენტს და საკუთარი კანდიდატის გაყვანაზე აკეთებს აქცენტს.

რაც შეეხება ოპოზიციაში თავმოყრილ ძალებს, ისინი, ძირითადად, 3 ნაწილად არიან დაყოფილნი. ერთ მხარეს არიან მემარცხენეები, მაგრამ არაბული კულტურიდან თუ ეთნოფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ეს მოძრაობა პოპულარობით არ გამოირჩევა ქვეყნის მოსახლეობაში. მეორე მხარეს არიან სეკულარისტი ლიბერალები, ეს ჯგუფი, ძირითადად, მოსახლეობის ინტელექტუალური ნაწილით არის დაკომპლექტებული და დიდ მხარდაჭერას ფლობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე – საერთაშორისო ასპარეზზე.

ლიბერალ-სეკულარისტებს სათავეში ეგვიპტელი დიპლომატი მუჰამედ ელ ბარადეი უდგას. იგი საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს 1997-2009 წლებში ხელმძღვანელობდა და განუვლი ღვანლისთვის 2005 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიითაც დაჯილდოვდა. შესაბამისად, ბარადეის ავტორიტეტი დიდა და მის მიერ გახმოვანებულ ოპოზიციის მოთხოვნებს საერთაშორისო ასპარეზზე მეტი რეზონანსი აქვს.

ოპოზიციაში მყოფი მესამე და ყველაზე ძლიერი დაჯგუფება არის რელიგიურ კონსერვატიული „მუსლიმთა საძმო“, რომელიც, მათი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, აბსოლუტურად მიუღებელია დასავლეთისთვის, მაგრამ დიდ ავტორიტეტს ფლობს ქვეყნის შიგნით და ასევე, მუსლიმური ქვეყნების ძირითად ნაწილში. 1928 წელს სკოლის მასწავლებლის – ჰასან ალ ბანას – მიერ დაარსებული საძმო უძველესი მუსლიმური რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობაა. 1952 წლის გადატრიალებაში მათაც დიდი წვლილი მიუძღვით, თუმცა მაშინ სამხედროებმა მათი განეიტრალება მოახერხეს. ამის შემდეგ კი, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, იატაკქვეშეთიდან უწევდათ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი უპირისპირდებიან დასავლურ მოდერნიზაციას და ფესვები აქვთ გადგმული მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენებში. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს 88 დელეგატის შეყვანა მოახერხეს პარლამენტში და უძლიერეს ოპოზიციურ დაჯგუფებად იქცნენ. მოძრაობის ცენტრად ალ-აზარის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი ითვლება. ისინი ფლობენ მხარდაჭერას სასულიერო წრეებში ისევე, როგორც არმიის ქვედა ფენებში.

2010 წლის ბოლოს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, მოსახლეობის 59 % სწორედ ფუნდამენტალისტებს უჭერს მხარს და მხოლოდ 27 %-ია ქვეყნის მოდერნიზაციის მომხრე. მათი ხელისუფლებაში მოსვლა პოლიტიკური კურსიდან გადახვევას გამოიწვევს, შესაბამისად, ეწინააღმდეგება აშშ-სა და ისრაელის ინტერესებს. ■



ინტერნეტი და საკარტოვლო

## ინტერნეტი NET-ისა

2011 წელს ქართული ინტერნეტის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. პროვაიდერების პროგნოზით, ერთი წლის განმავლობაში ქართველი ინტერნეტმომხმარებლების რიცხვი ასი პროცენტით გაიზრდება.

### ნათია ახალაშვილი, ეკა ჭითანავა

„ინტერნეტ კაფე, აქ? ჩვენთან? არ ვიცი, არ გამოგია“, – მხრებს იჩეჩავს ბოლნისის ცენტრში შუახნის მამაკაცი.

„არის, არის! როგორ არა! „სტომატოლოგი“ რომ ანერია, აი, იქ არის, – გვეუბნებიან სკოლის მოსწავლეები, რომლებიც შორიდან გვადევნებდნენ თვალს, – ოღონდ სწრაფად წადით, ისეთი ჩქარია, შეიძლება გაგასწროთ!“

ქვემო ქართლის დაბა ბოლნისში მსხვილმა ინტერნეტ პროვაიდერმა „სილქნეტმა“ მაღალი ხარისხის DSL ინტერნეტი ერთი თვის წინ გაიყვანა. მას შემდეგ

ორასმა ოჯახმა უკვე გადაჭიმა სადენები საკუთარ სახლამდე. ნელ-ნელა კომპიუტერებს ვყიდულობთ, – ამბობენ ბოლნისელები და არც ინტერნეტის სიჩქარეს უჩივიან.

ორი თვით ადრე გახსნილ ინტერნეტ-კაფეს კი, რომელიც ინტერნეტს მარნეულიდან გადმოქაჩული სადენებით იღებს, კლიენტი გამოელია. როგორც ჩანს, დაბაში, სადაც სულ 13.800 ადამიანი ცხოვრობს, ინტერნეტზე იმხელა მოთხოვნა ჯერ არაა, რომ მის დასაკმაყოფილებლად ორივე – კაფეც და სახლამდე მიყვანილი ინტერნეტიც – იყოს საჭირო.

ორსართულიანი შენობის ერთ პატარა ოთახში განთავსებული 4 კომპიუტერიდან ერთ-ერთთან თითქმის სულ 27 წლის გიორგი ზის. დროებით უმუშევარი გიორგი ინტერნეტკაფეს „მუდმივი კლიენტია.“ „სახლში კომპიუტერი არ მაქვს, ამიტომ აქ დღეში 2-ჯერ მაინც შემოვდივარ, ძირითადად, „ოდნოებისთვის“, – გვიხსნის გიორგი.

ინტერნეტის თითქმის ერთადერთ ფუნქციას საზღვარგარეთ წასულ ახლობლებთან დაკავშირებაში ხედავენ ის ბოლნისელებიც, ვინც ინტერნეტი შინ გაიყვანა. გლობალურ ქსელთან მიერთებული კომპიუტერი ბოლნისში ჯერაც ისეთი ახალი ხილია, რომ უბანში ზეპირად იციან, რომელ სადარბაზოში, რომელ სართულზე რომელ მეზობელს აქვს ინტერნეტი და რამდენლარიანი პაკეტით სარგებლობს.

ასე მიგვასწავლეს ბოლნისელებმა 59 წლის ნანა გვასალიასთან. ნანას ერთი შვილი გერმანიაში ჰყავს და ბოლნისში ინტერნეტის გაყვანისთანავე კომპიუტერიც იყიდა. ახლა შვილს „სკაიპის“ ვიდეოზარით ელაპარაკება. „ძირითადად, მაგისთვის გავიყვანე ინტერნეტი, – ამბობს გვასალია, – ჰო, კიდევ ილიას ლოცვებს ვუსმენ ხოლმე, და ვინც მოდის, იმასაც ვასმენინებ“.

ნანას მეზობლები ამბობენ, რომ თვეში 15 დოლარი – ეს საკმაოდ დიდი ფასია მაშინ, როცა ზუსტად არ იციან, რაში შეიძლება, გამოიყენონ ინტერნეტი იმაზე მეტად, ვიდრე ამას გვასალიებთან სტუმრობისას აკეთებენ. ამიტომ ურჩევენიათ, ისევ ლიას ოჯახში შეიკრიბონ.

2011 წელს ქართული ინტერნეტის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ორი უმსხვილესი ინტერნეტ-პროვაიდერი საკუთარ გრძელვადიან გეგმად მთელი ქვეყნის ინტერნეტიზაციას ასახელებს. პარალელურად, ხელისუფლება 2012 წლამდე მოსახლეობის კომპიუტერიზაციის ორჯერ გაზრდას აპირებს და სურს, აღმოფხვრას ის უთანასწორობა, რაც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფისას ჩნდება.

„ბოლნისი მესამოცე ქალაქია, სადაც ამ ეტაპზე ინტერნეტ სერვისის მიწოდებას ვახერხებთ. ინტერნეტის DSL ტექნოლოგიით შეყვანას საქართველოს, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტის ცენტრში და შემდეგ ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე გვგეგმავთ. რაც უფრო ფართოდ გამოიყენებადი გახდება ინტერნეტი პატარა დასახლებებში, მით უფრო მეტი ადამიანი შე-

ძლებს იმ სერვისებით სარგებლობას, რაც ინტერნეტს ახლავს თან“, – ამბობს „სილქნეტის“ წარმომადგენელი.

თუმცა, იმ კომფორტისა და შესაძლებლობების შესახებ, რაზეც „სილქნეტში“ საუბრობენ, დღეისთვის საქართველოს მოსახლეობის ნახევარმაც არ იცის. გაეროს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სააგენტოს (ITU) მონაცემებით, 2010 წელს საქართველოში 1.3 მილიონი ინტერნეტმომხმარებელი დაფიქსირდა, რაც ქვეყნის მოსახლეობის 28.3 პროცენტია. ეს მაჩვენებელი პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით აშკარად დაბალია. მაგალითად, აზერბაიჯანში ინტერნეტს მოსახლეობის 44.4 პროცენტი მოიხმარს, ყაზახეთში – 34.3 პროცენტი. რომ აღარაფერი ვთქვათ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, სადაც ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობა მოსახლეობის 50-75 პროცენტია.

## ■ ინტერნეტის თითქმის ერთადერთ ფუნქციას საზღვარგარეთ წასულ ახლობლებთან დაკავშირებაში ხედავენ ის ბოლნისელები, ვინც ინტერნეტი შინ გაიყვანა.

„საქართველო ინტერნეტის მოხმარების თვალსაზრისით, ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევა. იზრდება ცნობადობა და ადამიანებს ინტერნეტით სარგებლობის უნარები უფრო თარღდება. არადა, სულ ათი წლის წინ 20 ათასსაც არ აჭარბებდა იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც ინტერნეტზე მიუწვდებოდა ხელი“, – იხსენებს IT ექსპერტი მამუკა მონავარდისაშვილი, რომელმაც 4

წლის წინ ყველაზე რეიტინგული ქართული საიტი – ვიდეოების გაზიარების ამერიკული სისტემის youtube.com-ის ქართული ანალოგი – myvideo.ge შექმნა.

მონავარდისაშვილი ამბობს, რომ Google Analytics-ის თანახმად, მათ გვერდს ახლა ერთი თვის განმავლობაში მილიონზე მეტი უნიკალური სტუმარი ჰყავს. მომხმარებელი, წინა წლებთან შედარებით, სხვა ქართულ რესურსებსაც მოემატა. უკვე ბევრი ქართული საიტი, რომელთაც დღეში 10 ათასი ადამიანი სტუმრობს. „ეს უკვე საინფორმაციო რესურსია. 10 ათა-

### მოკლედ:

საქართველო, მეკობრული კომპიუტერული პროგრამების გამოყენების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ასობით ქართული ვებგვერდიდან კი მეკობრული ფილმებისა და მუსიკის გადმოწერა თავისუფლად შეიძლება.



### სახილი 2. ინსახნები აშინახანახანაში

კვაყანა	ინსახნასის მომხმარებელი (2000 წელი)	ინსახნასის მომხმარებელი (2010 წელი)	ინსახნაში სახბალობს მთელი მოსახლეობის
საქართველო	20,000	1 300 000	28, 3 %
სომხეთი	30,000	208,200	7.0 %
აზერბაიჯანი	12,000	3,689,000	44,4 %



## მოკლედ

საქართველოში 2010 წლის ოქტომბრიდან კიბერდანაშაულზე გამკაცრებული საკანონმდებლო ნორმები შევიდა ძალაში. თუმცა, შსს-ში ამ დრომდე ვერ აზუსტებენ, როდის ამოქმედდება განყოფილება, რომელიც კიბერდანაშაულს გამოიძიებს.



სი მომხმარებელი ყოველდღიურად – საქართველოს პირობებში, ცოტა ნამდვილად არაა“, – ამბობს მონავარდისაშვილი.

ქართული ინტერნეტის ადრეულ ხანაში, ინტერნეტი სამეცნიერო დაწესებულებებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ასეთი იყო მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტი, რომელიც პარალელურად ინტერნეტ-პროვაიდერი იყო. იქ ინტერნეტს სატელიტური თეფშით იღებდნენ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს აწვდიდნენ, მაგალითად, გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღივ, პირველ და მეორე კორპუსებს.

მაშინდელი სტუდენტი, რომელიც დღეს ონლაინ-ფორუმის აქტიური მომხმარებელია, იხსენებს: „მალღივში ერთ ინტერნეტ ხაზზე 70-მდე კომპიუტერი იყო მიერთებული, არადა, ძალიან დაბალი სიჩქარე ჰქონდა, 64 კბ/წმ-ში, ანუ მთელი ლამის განმავლობაში ინტერნეტიდან რამდენიმე mp3 ფაილის ჩამოწერის მეტს ვერაფერს ახერხებდი“.

თავიდან ინტერნეტის გამოყენება შეზღუდული იყო. საქართველოში რიგით მეორე პროვაიდერ „სანეტს“ ჰქონდა ორი – ელექტრონული ფოსტისა და ინტერნეტის სერვისი. „იმეილი“ – ეს იყო სპეციალური პროგრამა, რომლითაც მომხმარებელს მხოლოდ ფოსტით სარგებლობა შეეძლო. ფასს გაგზავნილი და მიღებული წერილების ზომის მიხედვით ადგენდნენ. 64 კბ-ზე დიდი ფაილის გაგზავნა უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ „ინბოქსი“ მალე ივსებოდა და მის „გასანმენდად“ სანეტის თანამშრომლებს იძახებდნენ.

პირველი ინტერნეტ-პროვაიდერები „ხეთა“ და „გუგლიკომი“ ინტერნეტს სატელიტური თეფშით იღებდნენ, კლიენტს კი ე.წ. dial-up-ით აწვდიდნენ, რისთვისაც მაღალი ხარისხის სატელეფონო ხაზი იყო საჭირო, ამიტომ მხოლოდ თბილისის ცენტრალურ უბნებში ვრცელდებოდა. „იყო უამრავი სატელეფონო

სადგური, სადაც ინტერნეტის დაყენებას არც კი ვცდილობდით – იმდენად ამორტიზებული იყო ინფრასტრუქტურა“, – იხსენებს ილია ჩაჩხუნაშვილი, რომელიც ასევე პიონერ კომპანია „სანეტში“ 1996 წლიდან მუშაობდა.

„არასდროს დამავინყდებია dial-up-ის სანატრელი და ბანალური ხმა“;

„ახლაც მესმის ყურში dial-up-ის ხრიგინი. მაგ დროს ვინმეს ყურმილი რომ აელო შემთხვევით, შეიძლება ის მასალა, რომლის გაგზავნასაც ნახევარი საათი ჭირდებოდა, აღარ გაგზავნილიყო“;

## ერთ ინტერნეტ

### ხაზზე 70-მდე

### კომპიუტერი იყო

### მიერთებული, ძალიან

### დაბალი სიჩქარე

### ჰქონდა, მთელი

### ლამის განმავლობაში

### რამდენიმე mp3

### ფაილის ჩამოწერის

### მეტს ვერაფერს

### ახერხებდი.

„dial-up-ს ძალიან დიდ პრობლემებს უქმნიდა წვიმა, საკომუნიკაციო ჭაში ჩავიდოდა წყალი და ინტერნეტკავშირი წყდებოდა“, – ასე იხსენებენ თავიანთ პირველ ინტერნეტ კავშირს ინტერნეტის პირველი მომხმარებლები.

„ინტერნეტში ყველაფრის მონახვა რომ შეიძლებოდა, ეს თეორიულად ვიცოდი, მაგრამ ჩემს საკურსოს, თუ იმ დროს ძალიან პოპულარულ IRC-ის ჩეთში გაცნობილი ადამიანი დამინერდა და მომანვლიდა, ეს უკვე ჩემთვის ფანტასტიკის სფერო იყო“, – იხსენებს „ლიბერალთან“ საუბარში ონლაინ ფორუმელი CS\_eagle-ი. მისი თქმით, იმ წლებში გაზეთების ჯიხურებში სპეციალური გაზეთი yellowpages იყიდებოდა, რომელშიც ვებმისამართები ეწერა. „ამ გაზეთის ფული სტუდენტებს არ გვქონდა,

სხილი 1. ქვეყნები, სადაც ინტერნეტის ყველაზე მაღალი ხარისხის მსოფლიო საბაზისების 2010 წლის ივნისის მონაცემები

	ქვეყანა	ინტერნეტით სარგებლობის მთლიანი მოსახლეობის	ინტერნეტის მომხმარებელთა ხაზობრივი	ქვეყნის მოსახლეობა
1	ფოლკლენდის კუნძულები	100 %	2 546	2 546
2	ისლანდია	97,6 %	301 600	308 910
3	ნორვეგია	94,8 %	4 431 100	4 676 305
4	შვედეთი	92,5 %	8 397 900	9 074 055
5	გრენლანდია	90,2 %	52 000	57 637
7	სანტა ლუჩია	88,8 %	142 900	160 922
8	ნიდერლანდები	88,6 %	14 872 200	16 783 092
9	ბაჰრეინი	88,0 %	649 300	738 004
10	დანია	86,1 %	4 750 500	5 515 575

# ონლაინ მხითხოვნი



პირველად 1925 წელს გამოსულ ცნობილ ჟურნალ „ნიუ იორკერს“ სრული ტრანსფორმაცია რამდენჯერმე დასჭირდა იმისთვის, რომ პრესის კონკურენტულ ბაზარზე გადარჩენილიყო და რაც მთავარია, ეს ღირსეულად მოეხერხებინა.

თუმცა, არც „ნიუ იორკერი“ და არც მთლიანად მსოფლიო ბეჭდური მედია ისეთი გამოწვევის წინაშე არაფერს დაუყენებია, როგორც ეს ინტერნეტმა მოახერხა. ტელემუნიკაციების დანაწიების ეპოქაში დასმული კითხვა – მოკლავს თუ არა ტელევიზორი გაზეთს? – გაცილებით უფრო მწვავედ მაშინ გაისმა, როცა ინტერნეტმომხმარებელთა რაოდენობამ მილიარდებს გადააჭარბა და ინფორმაციის უპირველესი წყაროც ინტერნეტი გახდა.

„ინფორმაციის მისაღებად ახლა ქსელში ჩართული ლეპტოპის გახსნაა საჭირო. ინტერნეტი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ნებისმიერი ადგილიდან საიტების ულიმიტო რაოდენობით ისარგებლოს და ამ გზით შეუზღუდავი ინფორმაცია მიიღოს. ტრადიციული მედიისთვის კი პრობლემაა, იყოს

ყველგან, სადაც მისი მომხმარებელი და ინფორმაცია მიაწოდოს იმ მოწყობილობაზე, რომელსაც მომხმარებელი იყენებს. თუ ტრადიციული მედია მომხმარებელს არ მიაკითხავს, მას მალე დაკარგავს“, – აღნიშნავს ახალი მედიის ექსპერტი, დევიდ ბრუერი.

როგორ უნდა მიაკითხოვს ტრადიციულმა მედიამ მკითხველს ყველგან, სადაც ის იმყოფება? გამოსავალი ე.წ. კონვერგიულ, ანუ შერწყმულ სარედაქციო სისტემაშია, სადაც ბეჭდური, სამაუწყებლო და ინტერნეტ მედიის ელემენტები ერთიანდება და მომხმარებელი ინფორმაციას სხვადასხვა ფორმატით იღებს.

ასეთი რედაქცია უკვე თითქმის ყველა დიდ მედიაგამოცემას აქვს. იგივე „ნიუ იორკერი“ ინტერნეტ მკითხველს თავს რამდენიმე ფორმით სთავაზობს: ციფრული დამატება (ჟურნალის ბოლო ნომრის ვებ-ვერსია და სრული არქივი); Kindle-ის დამატება (ჟურნალი სპეციალურად Amazon-ის ელექტრონული წიგნისთვის); Nook-ის დამატება (ჟურნალი Barnes & Noble-ის ელექტრონული წიგნისთვის); „ნიუ

იორკერში“ გამოქვეყნებული ნახატების ანიმაცია (მათი ჩამოტვირთვა iTunes-ის ონლაინ მაღაზიიდანაა შესაძლებელი); აუდიოდამატება (ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების აუდიოვერსიები, რომელთა ჩამოტვირთვა Audible-ზე შეიძლება).

საკუთარი შინაარსის ასე დაქუცმაცების და ახლებურად შეფუთვის აუცილებლობას ყველა მედიაგამოცემა გრძნობს იმ ფონზე, როცა დღეს მეცნიერებიც აღიარებენ – ინტერნეტმა ადამიანს კითხვისა და ტექსტის აღქმის ჩვევა შეუცვალა. ფრაზა – „ახლა „ომი და მშვიდობას“ თავიდან ბოლომდე ველარ წავიკითხავ“ – ყველაზე უკეთ გამოხატავს თანამედროვე მკითხველის სათქმელს.

ამიტომაც ასკვნის დევიდ ბრუერი, რომ ინტერნეტმა მკითხველის ახალი ტიპი ჩამოაყალიბა: „თუ აქამდე ადამიანი მედიის საშუალებით მხოლოდ იღებდა ინფორმაციას, დღეს ის შექმნის პროცესშიც მონაწილეობს, კომენტარებს ამატებს, მეგობრებს უზიარებს, ბლოგებს წერს, ანუ უფრო აქტიურია, ვიდრე უბრალოდ მკითხველი“.

გაზეთები გადარჩენისთვის სწორედ ასეთი მკითხველის დაინტერესებას ცდილობენ. ინტერნეტმა მედიის მომხმარებლის მთელი მოდელი შეცვალა.

■ „ტრადიციული მედიისთვის პრობლემაა, იყოს ყველგან, სადაც მისი მომხმარებელია. მაგრამ თუ ტრადიციული მედია მომხმარებელს არ მიაკითხავს, მას მალე დაკარგავს.“

## მოკლედ

ქართული ინტერნეტ-მომხმარებელი ორი სახის სადენიან ინტერნეტს ლეზულობს – DSL ტექნოლოგიას და ოპტიკურ-ბოჭკოვანს. იმ ადგილების უმრავლესობაში, სადაც სადენიანი ინტერნეტი არ არის, გლობალურ ქსელში მოხვედრა CDMA და EV-DO ტექნოლოგიის მეშვეობითაა შესაძლებელი.



მახსოვს, ხელით ვინერდით მისამართებს და მერე ინსტიტუტის კომპიუტერებიდან შევდიოდით“.

„1992 წლიდან მოყოლებული ინტერნეტმა სრულიად ახალი ფანჯარა გახსნა ჩემს სამყაროში. ჩემთვის უცბად გახდა ხელმისაწვდომი ისეთი ინფორმაცია, რის მოძიებასაც საქართველოში ვერ შეძლებდი. მაგალითად, ამერიკის სამედიცინო ასოციაციის გვერდზე სამედიცინო მომსახურების ხარისხის სტანდარტების შესახებ დავინყე კითხვა. ცოტა მოგვიანებით გავიცანი უამრავი უცხოელი კოლეგა Yahoo-ს „ჩეტ რუმებში“. თემატური ონლაინ ჩეთები ჰქონდათ და სხვათა შორის, იქ გავიგე პირველად, რას ნიშნავდა გამოთქმა – „ლოლ“, – ისვენებს ჯანდაცვის ექსპერტი დავით გზირიშვილი.

1990-იანი წლების ბოლოს ინტერნეტ პროვაიდერების რიცხვი გაიზარდა და ფასებიც დაბალანდა. ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი 300 დოლარიდან თვეში 60 ლარამდე დაეცა. თუმცა, ეს მაინც ძვირი იყო ინტერნეტის სიჩქარესთან (ჯერ 64, შემდეგ კი 128 კბტ/წმ) შედარებით.

დღეს სატელეფონო ინტერნეტ კავშირს თითქმის

გაუმჯობესებულმა სერვისმა კლიენტების რიცხვი საგრძნობლად გაზარდა. 2003-დან ინტერნეტი გამოჩნდა ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში. თუმცა, ექსპანსია მაინც ქაოტური და ფრაგმენტული იყო.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რის გამოც ჩვენთან ინტერნეტის მოხმარების მაჩვენებელი ბევრი სხვა, თანაბარი განვითარების მქონე ქვეყნის მონაცემებს ჩამორჩება, ის ომებია, რომლებიც ბოლო წლებში ორ მსხვილ პროვაიდერს – „კავკასუს ონლაინსა“ და „გაერთიანებულ ტელეკომს“ (დღევანდელ „სილქნეტს“) შორის მიმდინარეობდა.

სწორედ ამ დაპირისპირების გამო რამდენიმე წლით დაგვიანდა „კავკასუსის“ ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის – ვარნა-ფოთის 1400 კილომეტრიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის საბოლოო შედეგით – ევროპიდან მონოდებულის, სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტით სარგებლობა.

„ვარნა-ფოთის პროექტის განხორციელებამდე საქართველო რუსეთსა და თურქეთზე იყო დამოკიდებული. სწორედ ეს ქვეყნები აკონტროლებდნენ ჩვენს რეგიონს კავშირგაბმულობის სფეროში. ფასებზეც შე-

თანხმებულნი იყვნენ, საკმაოდ ძვირს გვახდევინებდნენ და ინფორმაციის დინებასაც აკონტროლებდნენ“, – ამბობდა 2009 წელს „ლიბერალთან“ ინტერვიუში ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი და „კავკასუსის“ მაშინდელი მენეჯერი მამია სანადირაძე, რომლის კომპანიაც დაპირისპირების დაწყების მომენტში ინტერნეტ ბაზრის 78 პროცენტს აკონტროლებდა.

ვარნა-ფოთის მაგისტრალის პროექტის დაწყებას დავითხვა ის, რომ „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ მომხმარებლებს ახალი სერვისი – DSL ინტერნეტი შესთავაზა. ორი პროვაიდერის დაუსრულებელი დავაც სწორედ მაშინ დაიწყო.

„ტელეკომის“ საკუთრებაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებული სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შედიოდა, რასაც DSL ინტერნეტის მისაწოდებლად „კავკასუსიც“ იყენებდა. ამიტომ „ტელეკომი“ უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა: ატეესებსა და მინისქვეშა საკომუნიკაციო ქსელების კონტროლი მას საშუალებას აძლევდა, „კავკასუსისთვის“ პროექტები დაეზოკა, მაგალითად, არ მიეცა მისთვის უფლება, მინისქვეშა განეთავსებინა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები.

მომხმარებელი არაერთხელ გახდა ინტერნეტ ბაზარზე არსებული არაჯანსაღი კონკურენციის მსხვერპლი. ვარნა-ფოთის კაბელის შავი ზღვის ფსკერზე დამონტაჟება 2008 წელს კი დასრულდა, მაგრამ მომხმარებელამდე ახალი ინტერნეტის მიყვანის პროცესი გაინელა.



ალარავინ იყენებს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით, ინტერნეტში შესასვლელად „მოდემის ხრიგის“ ახლა საქართველოში სულ 573 ადამიანი ელოდება.

პირველი გარდატეხა ინტერნეტის მიწოდებაში 2003 წლის აგვისტოში მოხდა. თბილისელი აბონენტებისთვის ათზე მეტმა ინტერნეტ პროვაიდერმა ADSL ტექნოლოგიების ჩართვა დაიწყო.

ADSL (იგივე DSL) მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირია, რომელიც სპილენძის სატელეფონო გაყვანილობით მიეწოდება აბონენტს. ის გაცილებით უფრო ჩქარია, ვიდრე ტრადიციული dial-up მოდემები და ინტერნეტით სარგებლობის პარალელურად ტელეფონით საუბრის საშუალებასაც იძლევა.



## ონლაინ-შოპინგი



აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად, ელექტრონული კომერცია საქართველოშიც, ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2010 წელს ინტერნეტით 4 მილიონზე მეტი ოპერაცია განხორციელდა. საქართველოს მოქალაქეებმა კი ამ პერიოდში ონლაინ-შოპინგში 90 მილიონი ლარი დახარჯეს. ბანკის სტატისტიკიდან კარგად ჩანს, თუ როგორ იზრდება ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა რაოდენობა თვიდან თვემდე. თუ 2010 წლის იანვარში ინტერნეტით განხორციელდა 200 ათასი ოპერაცია, უკვე ერთი წლის შემდეგ, 2010 წლის დეკემბერში ამ რიცხვმა 700 ათასს გადააჭარბა.

ინტერნეტში ქართული ონლაინ-მაღაზიების ნახვაც შეგიძლიათ, სადაც ყვაილების, ინტიმური ნივთების, ტექნიკის, პროდუქტების, ტანსაცმლის და შინაური ცხოველების შეძენაც კი შესაძლებელია.

თუმცა, ქართველი მომხმარებელი ონლაინ-შოპინგს მაინც უცხოურ მაღაზიებში არჩევს. ონლაინ ყიდულობენ ყველაფერს, ყველაზე ხშირად ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ამ გზით ბევრი იძენს ტექნიკასა და მანქანის ნაწილებსაც.

საფოსტო მომსახურების გაუმართაობის გამო, ქართულ ბაზარზე შუამავალი – გადამზიდავი კომპანიები მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი კომპანია „ექსპრეს ლაინ სერვისი“ 2010 წლის მარტში შეიქმნა. თავიდან კვირაში 15 ამანათი თუ ჩამოჰქონდათ, დღეს კი ეს რიცხვი უკვე 500-მდე გაიზარდა.

**ეროვნული ბანკის მონაცემების თანახმად, 2010 წელს ინტერნეტით 4 მილიონზე მეტი ოპერაცია განხორციელდა.**

„კავკასუსის“ ინტერნეტის წყვეტა აბონენტებისთვის ყოველდღიურ თავსატეხად იქცა. გარკვეულ ეტაპზე „ომში“ მერიის ზედამხედველობის სამსახურიც ჩაერთო, რომელმაც „კავკასუს ონლაინის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის სადენების ჩაჭრა დაიწყო იმ მოტივით, რომ მათ დამონტაჟებას მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი აპროტესტებდა.

დაპირისპირებას მაშინდელი ეკონომიკის მინისტრი, გიორგი არველაძე ბრიფინგით გამოეხმაურა და ინტერნეტის ხარისხზე ისაუბრა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ხელისუფლების წარმომადგენელმა ინტერნეტ ბაზარზე მდგომარეობას „გაუსაძლისი“ და „აუტანელი“ საჯაროდ უწოდა. არველაძემ მარეგულირებელი კომისიის მუშაობაც გააკრიტიკა და მას ინტერნეტის ხარისხის გაკონტროლება მოსთხოვა.

„გაუსაძლისი და აუტანელი“ მდგომარეობა მანამ გაგრძელდა, ვიდრე „კავკასუსის“ დამფუძნებელმა, მამია სანადირაძემ კუთვნილი წილის მსხვილი პორცია არ გაასხვისა.

სამენარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, 2010 წლის 12 მარტიდან „კავკასუსის“ ახალი მფლობელი ოფშორულ ზონაში – ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსია“.

დღეს ინტერნეტ ბაზარზე „გაერთიანებული ტელეკომის“ ბაზაზე შექმნილი „სილქნეტი“ ლიდერობს. მისი რეალური მეპატრონე კი სამენარმეო რეესტრის ბაზაშიც არ ფიქსირდება – დამფუძნებლების გრაფაში მხოლოდ მენილე კომპანიების სახელებია მითითებული. „სილქნეტის“ ყველაზე დიდი წილის - 90 პროცენტის მფლობელი „ტელეკომია“, მაგრამ რეესტრში არც მისი დამფუძნებლის ვინაობა ჩანს.

მეორე ადგილზე გადანაცვლა ბაზრის ყოფილმა ლიდერმა, „კავკასუს ონლაინმა“ – ახალი მენეჯმენტით.

მხოლოდ კომპანიის წილების თავიდან გადანაწილების შემდეგ მოიპოვა „კავკასუსმა“ მერიისგან უფლება, რომ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების მინისქვეშ ჩასადებად მთელი თბილისი გადაეთხარა.

„ჩვენი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმა – ინტერნეტი ყველა ოჯახში“, – აცხადებს „კავკასუს ონლაინის“ ახალი დირექტორი, გაა ადვიშვილი.

ინტერნეტით მთელი საქართველოს დაფარვას გეგმავს „სილქნეტიც“.

„თანამედროვე ქალაქისთვის მთავარი სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტია“, – აცხადებს „კავკასუსის“ რებრენდინგის პრეზენტაციაზე მისული თბილისის მერი, გიგი უგულავაც და კომპანიის ტრანსფორმაციას ისტორიულ ნაბიჯს უწოდებს.

ინტერნეტი ხელისუფლების ერთ-ერთი დეკლარირებული პრიორიტეტი 2004 წლიდან გახდა. როგორც

## მოკლად

საქართველოში ინტერნეტი ყველაზე ხშირად გართობისა და ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება. Top.ge-ს მონაცემებით, ყველაზე პოპულარული საიტი myvideo.ge-ა. მომდევნო ადგილებზე კი tvali.ge და ავთე.გე არიან.



2004-ში ჟურნალი „ნავიგატორი“ წერდა, 23 ივლისს თბილისის საკრებულომ დადგენილება მიიღო პროექტ „ელექტრონული მთავრობის“ შესახებ. ამ პროექტის განხორციელება წლების დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო. ახლა მზადების პროცესშია და სანახევროდ მუშაობს კიდევ ვებ გვერდი: e-government.ge – რომელმაც, წესით, მალე სახელმწიფო უწყებებსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობა მარტივი და სწრაფი უნდა გახადოს.

თუმცა, ეს ურთიერთობა დღეს არც ისე მარტივი და სწრაფია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას ეხება. დღეს 16-ივე სამინისტროსა და 2 სახელმწიფო მინისტრის აპარატს საკუთარი ვებგვერდი აქვს. თუმცა, მოუქნელი საძიებო სისტემა თითქმის თითოეული მათგანის პრობლემა ისევე, როგორც ვებგვერდზე ატვირთული, ხშირად აბსოლუტურად გამოუსადეგარი და მოძველებული ცნობები. მაგალითად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მისამართზე განყოფილება – „ინტერნეტი“ ბოლოს 2008 წელს განაახლეს. „უფრო დაწვრილებით, ინტერნეტის ისტორიის შესახებ საქართველოში, იხილეთ მომავალ ინფორმაციებში“, – წერია იქვე, თუმცა, მომავალი ინფორმაციები აღარ ჩანს.

2010 წელს ტრანსფორმაცია განიცადა პრეზიდენტის ვებგვერდმაც. განახლებული მისამართის – president.gov.ge-ის შემქმნელი კომპანიის ITDC-ის ანოტაციაში წერია, რომ ვებგვერდი „გამოირჩევა დახვეწილი დიზაინითა და ძირითადი მენიუს ორიგინალური განლაგებით. ვებსაიტი ასევე უპრეცედენტო შანსს აძლევს საქართველოს მოქალაქეებს და არა მარტო მათ, მოიხსონ ვირტუალური ექსკურსია პრეზიდენტის სასახლეში“. ამ ყველაფრის ნახვა პრეზიდენტის ვებმისამართზე დღეს მართლაც შეიძლება, თუმცა ის, რისი ნახვაც აღარავის შეუძლია და რაც, წესით, როგორც საჯარო ინფორმაცია, თითოეული მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, პრეზიდენტის ბრძანებებია. უკვე რამდენიმე თვეა, არც ერთ სამთავრობო გვერდზე აღარ ქვეყნდება, თუ რა ბრძანებებს აწერს ხელს პრეზიდენტი.

ინტერნეტისა და უშუალოდ ელექტრონული მმართველობის მთავარი ხიბლი მოქალაქეებს და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების გამჭვირვალებასა და გაიოლებაშია. ელექტრონული მმართველობა, წესით, იმ ბარიერებს უნდა ხსნიდეს, რაც თითოეულ მოქალაქეს ექმნება ბიუროკრატიულ აპარატთან საქმის დაჭერისას. ეს სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო საინფორმაციო ნაკადის თავისუფლად, დროულად და სრულად გაცემასაც ეხება. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საჯარო

## სოსიაციაში ქსელები:

კვლევითი ორგანიზაცია NIELSEN-ის 2010 წლის მონაცემების მიხედვით, ინტერნეტ მომხმარებლების უმრავლესობა დღეში 4-5 საათს სოციალურ ქსელებში ატარებს.

ყველაზე პოპულარული ქსელი Facebook-ია, მსოფლიოში 500 მილიონამდე აქტიური მომხმარებლით. ამდენი მომხმარებელი არ ჰყავს არც Twitter-ს, MySpace-სა და LinkedIn-ს, მიუხედავად იმისა, რომ Twitter-ი ყოველთვის უფრო დიდ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, მსოფლიოში ყველაზე დიდი პოლიტიკური ძვრების დროს.

Facebook-ის 500 მილიონი მომხმარებლის ნახევარი ქსელში ყოველდღე შედის და ერთი თვის განმავლობაში ონლაინ დაახლოებით 700 მილიარდ წუთს ატარებს.

2010 წელს საქართველოში Facebook-ზე 370 000-მდე ადამიანი იყო განწევრიანებული. ეს რიცხვი უფრო



მეტია, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში მომხმარებელთა საერთო რაოდენობა. ქართველ მომხმარებელთა უმეტესობა Facebook-ს მეგობრებთან და ახლად გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობის, დისკუსიებისა და პირადი ინფორმაციის გაზიარების მიზ-

ნით იყენებს. ბევრი აღიარებს იმასაც, რომ ეს ქსელი მათთვის ინფორმაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს.

მანამდე მსგავსი ფუნქციით საქართველოში odnoklasniki.ru სარგებლობდა. თუმცა, Facebook-ის გამო რუსულმა ქსელმა ბევრი ქართველი მომხმარებელი დაკარგა.

სოციალური ქსელების პოპულარობის გამოყენება ბიზნეს კომპანიებმა საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის დაიწყეს. უკვე ვარაუდობენ, რომ 2011 წელს Twitter-ი საკუთარ სარეკლამო შემოსავლებს გაასამშავებს და 150 მილიონ დოლარამდე გაზრდის.

Twitter-ზე არა, მაგრამ Facebook -ზე რეკლამის განთავსებამ ზოგიერთმა ქართულმა კომპანიამაც დაიწყო. ასე ისინი 100 ათასზე დიდ აუდიტორიაზე გადიან.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ჩვენთან ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება, ქართული ელექტრონული მმართველობა ამ ეტაპზე მხოლოდ საკუთარ სამომხმარებლო სიკეთეებზე აკეთებს აქცენტს.

კარგი მაგალითების სახით ხელისუფლებაში საჯარო რეესტრისა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურებებს ასახელებენ. სამინისტროს ვებგვერდმა მაგალითად, საქმიანობა გაუიოლა მენარმეებს, რომელთაც უკვე შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის დეკლარაციები ელექტრონულ ფორმატში შეავსონ და გადასახადებიც ასე გადაიხადონ. უკვე რამდენიმე წელია, აღარც რეესტრში სიარულია საჭირო. ვთქვათ, ქონების რე-

**„კომპანიები უკვე ხვდებიან, რომ ვებრესურსები ეფექტიანია მათი საქმიანობისთვის და სახელმწიფო განსაკუთრებით, უფრო და უფრო, ხვდება ამას.“**

გისტრაციისთვის, მოქალაქეებს შეუძლიათ, სააგენტოს ვებგვერდზე მხოლოდ ელექტრონული განაცხადი შეავსონ და მომსახურების საფასურიც ელექტრონულად გადაიხადონ. მომავალი წლიდან კი „მოქალაქეთა პორტალი“ ამოქმედდება. ყველა მოქალაქეს საკუთარი პროფილი ექნება, სადაც სისტემა ავტომატურად ასახავს მის სახელზე ყველა

იმ წუთისთვის არსებულ მონაცემს: მაგალითად, მის სახელზე რეგისტრირებულ უძრავ ქონებას, ანდა პატრულის ჯარიმას.

გამოდის, რომ სამომხმარებლო თვალსაზრისით 2011-12 წლები ქართული ინტერნეტისთვის გარდამტეხი იქნება.

„კომპანიები უკვე ხვდებიან, რომ ვებრესურსები ეფექტიანია მათი საქმიანობისთვის და სახელმწიფო განსაკუთრებით, უფრო და უფრო, ხვდება ამას“, – აცხადებს ექსპერტი, მამუკა მონაწილისაშვილი.

საქართველოს პატარა დასახლებებში, ბოლნისის მსგავსად, ჯერ ინტერნეტის მნიშვნელობა და შესაძლებლობები ბოლომდე არ ესმით. თუმცა, გარესამყაროსთან სწრაფ და მყისიერ კომუნიკაციაზე მოთხოვნა უკვე თითქმის ყველგან გაჩნდა. „წავიდა ის დრო, როცა ინტერნეტი რაღაც ტექნოლოგიური საოცრება იყო. ის უკვე ყოველდღიურობის ბუნებრივი ნაწილი გახდა, როგორც, ვთქვათ, ტელევიზორია. „სკაიპი“, „ვებგვერდი“ „იმეილი“ – ეს ტერმინები უკვე ასაკოვანმა თაობამაც გაითავისა“, – დასძენს მონაწილისაშვილი.


იუსტიციის სამინისტროს გათვლებით, ხუთ წელიწადში ინტერნეტის მომხმარებელი ქვეყნის მოსახლეობის 70-80 პროცენტი გახდება. თუმცა, სახელმწიფო



ინტერნეტ-ექსპანსიაში ჩარევას არ აპირებს. „თუ სახელმწიფო ჩაერევა, ამ მიმართულებას მოკლავს. ტექნოლოგიის განვითარების სწრაფ ტემპს, პირველ რიგში, ბიზნესმა უნდა აუწყოს ფეხი“, – აცხადებს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, გიორგი ვაშაძე.

სხვანაირად ფიქრობენ IT ექსპერტები. მათი აზრით, იმ რეგიონებში, სადაც პროვადერებისთვის ინტერნეტის მიწოდება შეიძლება, არამომგებიანი იყოს – ვთქვათ, მაღალმთიან, მოსახლეობისგან თითქმის დაცლილ სოფლებში – სახელმწიფომ პროვადერებთან ერთად უნდა იმუშაოს. სპეციალისტებს შატილი ახსენდებათ – პოტენციურად წარმატებული ტურისტული ცენტრი, სადაც ინტერნეტის გაყვანა ისევ ტურისტული თვალსაზრისით იქნება მომგებიანი.

„კავკასუს ონლაინის“ დირექტორის, გია ადგიშვილის თქმით, კერძო კომპანიისთვის მაღალმთიან რეგიონში შესვლა უდავოდ რისკიანი ნაბიჯია, თუმცა, ასეთი დასახლებების ინტერნეტით დაფარვა „უფრო მორალური საკითხია, ვიდრე კომერციული“.

ონი, ლაგოდეხი, ახმეტა, ხულო, შუახევი, ბაღდადი, ჩხორონყუ, ნალენჯინა, ჩოხატაური, ცყიბული, ცაგერი, ლენტეხი, ყაზბეგი, ნალკა – ეს იმ ქართული დასახლებების მოკლე ჩამონათვალია, სადაც ტერმინები: „სკაიპი“, „ვიდეოზარი“, „იმეილი“, „ვებ-გვერდი“, დღემდე არ გამხდარა მოსახლეობის ლექსიკის ნაწილი. თუმცა, თუ მშვიდობა ქართულ ინტერნეტ ბაზარზე კვლავაც შენარჩუნდება, რამდენიმე წელიწადში არა მხოლოდ ამ ადამიანების ლექსიკა შეიცვლება, არამედ – მილიანად ცხოვრების წესი. 

**მოკლედ**  
საქართველოში ყველაზე იაფი DSL ტექნოლოგიის ინტერნეტი. მინიმალური პაკეტი 10 აშშ დოლარი ღირს. ყველაზე ძვირი კი სატელიტური ინტერნეტის ფასია – თვეში 4 915 აშშ დოლარი.





# "მე ვისავ ბანსახადის ჰატიოსან ბანმხდეებს"

ინტერვიუ საგადასახადო და ბიზნესომბუდსმენტან, გიორგი პერტაიასთან

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ბიზნესომბუდსმენტის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრი წარადგენს და ნიშნავს. ინსტიტუციური მოწყობის ეს მოდელი ხომ არ ქმნის ინტერესთა კონფლიქტს: პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული ადამიანი ბიზნესს სახელისუფლებო ზენოლისგან როგორ დაიცავს?

ბიზნესმენები პრაგმატული ადამიანები არიან. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ბიზნესომბუდსმენტს ვინ დანიშნავს. მთავარია, პრობლემები მოუგვარდეთ.


**შეძლებთ, რომ პრემიერ-მინისტრს ოპონირება გაუწიოთ? ის თქვენი დამსაქმებელია.**

რა თქმა უნდა. ამას აქამდეც ვაკეთებდით. ნ თვის განმავლობაში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ვიყავი კერძო სექტორის ხელშეწყობის საკითხებში. იმ თანამდებობაზე რაიმე წინააღმდეგობა რომ შემხვედროდა, ბიზნესომბუდსმენტად ჩემს დანიშვნას არ დავთანხმდებოდი. მთავრობას მართლაც აქვს სურვილი, ჰყავდეს ბიზნესომბუდსმენი, რომელიც მასთან ბიზნესის პრობლემებს სწორად მიიტანს და რომელსაც ბიზნესი ენდობა.

**თქვენ გენდობათ ბიზნესი?**

იმ ადამიანების უმეტესობა, რომელთაც აქამდე შევხვედრივარ, მენდობა. ვცდილობდი, რომ ყოველთვის ობიექტური ვყოფილიყავი. თუ ბიზნესმენი მართალი იყო, მისი საკითხი ბოლომდე გამიტანია.

კანცელარიის შენობაში დარჩენას არ ვაპირებ. არ მინდა, რომ ჩემთან შესახვედრად ბიზნესმენი მთავრობის შენობაში მოდიოდეს. ეს ჩვენს ურთიერთობაში გარკვეულ ბარიერს ქმნის. პრემიერ-მინისტრს უკვე ვესაუბრე ამ თემაზე და შევთანხმდით: ბიზნესომბუდსმენტის ოფისი ცალკე იქნება. ჩემი პირადი ამბიციაა, რომ ბიზნესომბუდსმენტის აპარატი კიდევ ერთ



ფოტო: თეიმურაზ ჯაფარიძე

**ბიზნესმენები პრაგმატულები არიან. მათთვის მნიშვნელობა არ აქვს, ომბუდსმენტს ვინ დანიშნავს. მთავარია, პრობლემები მოუგვარდეთ.**

ბიუროკრატიულ დანამატად არ ჩამოყალიბდეს. ბევრი თანამშრომლის აყვანას არ ვაპირებ. ბიზნესომბუდსმენტის აპარატი ძალიან პატარა, აქტიური და ეფექტიანი იქნება.

**როგორ ფიქრობთ, მოეწონება მთავრობას ბიზნესომბუდსმენტის აქტიური და ეფექტიანი აპარატი მის წინააღმდეგ რომ იმუშავეს?**

რატომ წინააღმდეგ? ეს არასწორი ფორმულირებაა. მთავრობამ ბიზნესომბუდსმენტის თანამდებობა იმიტომ შემოიღო, რომ ბიზნესის სფეროში არსებული პრობლემები მოგვაროს. არავის წინააღმდეგ მუშაობას არ ვაპირებ. მთავარია, პრობლემების იდენტიფიცირება მოვხადინო და მთავრობას ავუხსნა, რა შედეგები გვაქვს ამა თუ იმ პრობლემის არსებობის

ფონზე და როგორი შედეგები გვექნება პრობლემის მოგვარების შემდეგ. ეკონომიკის „ახალი კურსი“ მთავრობის ინიციატივაა. მთავრობის ყველა წარმომადგენელს გაცნობიერებული აქვს, რომ ქვეყნის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა ბიზნესია და რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესება სჭირდება.

**საგადასახადო და ბიზნესომბუდსმენტის თანამდებობის პარალელურად პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველის პოსტს ისევ შეინარჩუნებთ?**

პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი აღარ ვარ.

**პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე თქვენ ბიზნესომბუდსმენტადც იწოდებოდით. თუმცა ამ თანა-**

მდებობაზე მინცდამინც აქტიური არ იყავით. მით უმეტეს, მცირე და საშუალო ბიზნესთან მიმართებაში. მაშინ თქვენ, ძირითადად მსხვილ ბიზნესს ეხმარებოდით საექსპორტო ბაზრებზე არსებული პრობლემების მოგვარებაში. სამაგიეროდ, თქვენი ყურადღების მიღმა დარჩა სავაჭრო ცენტრ „კილობანის“ მოვაჭრეთა დაკავების ფაქტები...

სავაჭრო ცენტრ „კილობანის“ მოვაჭრეთა დაკავების ოპერაციის ტექნიკურ მხარეზე ვერ ვისაუბრებ. აუცილებლობა რომ არ ყოფილიყო, ეს ოპერაცია არ ჩატარდებოდა. რამდენადაც ვიცი, დანაშაული ყველა დაკავებულმა აღიარა. ისინი კონტრაბანდული საქონლის შემოტანის სქემაში იყვნენ ჩართულნი.

სამსუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც დაცვის თხოვნით ისეთი ადამიანები მომმართავენ, რომელთაც იციან, რომ კანონი დაარღვიეს და დანაშაული ჩაიდინეს. დამნაშავეებს ვერ დავიცავ. მე ვიცავ გადასახადის პატიოსანს გადამხდელებს. პირიქით, მინდა მონიტორინგი გავუწიო იმას, რომ კონტრაბანდის შემომტანი კანონის მიხედვით დაისაჯოს. თუ დამნაშავე არ დაისჯება, მაშინ პატიოსანი გადამხდელი ბიზნესს დაკარგავს. კანონის მიმართ პრივილეგირებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები არ უნდა არსებობდნენ. ბიზნესომბუდსმენის მთავარი მოვალეობაა, რომ ქვეყანაში კონკურენტუნარიანი გარემო არსებობდეს.

**მოდით, განვმარტოთ: რა არის თქვენი უფლება-მოვალეობები?**

ჩემი მოვალეობაა გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვა. მაქვს უფლება, ნებისმიერი სამთავრობო ორგანოდან გამოვითხოვო გადასახადების გადახდასთან და გადამხდელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია. უფლება მაქვს, გადასახადების გადამხდელთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ გავცე. ანგარიშვალდებული ვარ პარლამენტის წინაშე და ანგარიში ყოველწლიურად უნდა წარვადგინო.

**რა იქნება თქვენი მთავარი პრიორიტეტი ამ თანამდებობაზე მუშაობისას?**

ბიზნესისთვის მთავარ პრობლემად ისევ საგადასახადო სფერო რჩება. მინდა, რომ მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში საგადასახადო კოდექსის ძირეულ ცვლილებებს მოვრჩეთ და განმარტებები ისე ჩამოვაყალიბოთ, რომ საგადასახადო კოდექსი ორგანიზაციის ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს და ბიზნესს გრძელვადიანი დაგეგმარების საშუალება მიეცეთ.

**როგორია თქვენი სტრატეგია: დაელოდებით საჩივრების შემოსვლას, თუ იმუშავებთ იმაზე, რომ დარღვევები თვითონაც აღმოაჩინოთ?**

იმისთვის, რომ ბიზნესსექტორის პრობლემები გამოვავლინო, ნებისმიერ წყაროს გამოვიყენებ. გვექნება ვებგვერდი და ცხელი ხაზი. ჩავატარებთ კვლევებს. განვიხილავთ ბიზნესსაცოციაციებიდან და აუდიტორთა საბჭოდან მიღებულ წინადადებებს. თუ არის პრობლემა, რომელსაც ბევრი ადამიანი ადასტურებს, საჩივრის შემოსვლას არ დაველოდები.

**ამჟამად რა შემთხვევებზე მუშაობთ?**

ყოველდღიურად, დაახლოებით, 5-6 ბიზნესმენს ვხვდები. კონკრეტული ბიზნესმენების პრობლემებზე ვერ ვისაუბრებ. შესაძლოა, მათ პარტნიორებთან მოლაპარაკება ჰქონდეთ და სულ არ აწყობდეთ

**TI-ს განცხადება**  
**ბიზნესომბუდსმენის შესახებ**

ფონდი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ბიზნესომბუდსმენის თანამდებობის შემოღებასა და ამ თანამდებობაზე გიორგი პერტაიას დანიშვნასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს. „საგადასახადო ომბუდსმენის მთავრობასთან ახლო კავშირი შეიძლება, დამპროკოლებელი ფაქტორი გახდეს ბიზნეს საზოგადოების ინტერესების დასაცავად. ასევე, მისი ოფისის მდებარეობა (სახელმწიფო კანცელარიის შენობა) შემაფერხებელი ფაქტორი იქნება იმისთვის, რომ სახელმწიფოსთან დავის მქონე მენარმეებმა დახმარებისთვის ომბუდსმენს მიმართონ,“ – ნათქვამია განცხადებაში.

იმის აფიშირება, რომ ახლა პრობლემები აქვთ.

**რა არის ის მთავარი პრობლემა, რომელიც ბიზნესს ამ ეტაპზე ყველაზე მეტად აწუხებს?**

ძალიან ბევრ ბიზნესმენს აქვს განცდა, რომ გადასახადები უსამართლოდ დააკისრეს. ეს პრობლემა, ძირითადად, ძველ საგადასახადო კოდექსს უკავშირდება.

**ხომ არ ფიქრობთ, რომ ბიზნესს უფლება-დაცვით სფეროში უფრო სჭირდება თქვენი დახმარება? დაეხმარებით თუ არა იმ ბიზნესმენებს, რომლებსაც პრობლემები კერძო საკუთრების დაცვის მხრივ, ან ლიცენზიის აღებისას შეექმნება?**

რა თქმა უნდა, საგადასახადო და ბიზნესომბუდსმენი მხოლოდ საგადასახადო პრობლემებით არ იქნება დაკავებული. ბიზნესმენებს შეუძლიათ მომმართონ ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებასთან ურთიერთობაში შეექმნებათ.

**1 თებერვლიდან აიკრძალა საქართველოს სახმელეთო საზღვრებზე ვაჭრობისა და ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის ხელითა და სამგზავრო ავტოტრანსპორტით შემოტანა. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს აკრძალვა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს იმ წვრილ მოვაჭრეებს, რომელთაც დიდი სატვირთო მანქანების დაქირავება არ შეუძლიათ. როგორ შეაფასებთ ფინანსთა სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას?**

ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზანი კონტრაბანდის აღკვეთა და საქართველოს ტერიტორიაზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებაა. შავი საქონლის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი ეფექტიანი საშუალება სახმელეთო საზღვრის მკაცრი გაკონტროლებაა. ბიზნესკომპანიებში შესვლას და საქონლის იქ შემომტენას სჯობს, კონტროლი საზღვარზე გავამკაცროთ. მცირე მოვაჭრეს აქვს შესაძლებლობა, კონტინენტის მცირე ნაწილი იქირავოს. გარწმუნებთ, ამაში ძალიან დიდი ფასის გადახდა არაა საჭირო. ■

ესაუბრა მანანა ვარდიავილი.



## დევნილები

# ბამოსახლება სხანდახების დახლვით

საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნით, 2011 წლის იანვარში დევნილთა გამოსახლების პროცესი ხარვეზებით ჩატარდა

### მაია ნიკლაური

Amnesty International-მა და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესმა კომისარიატმა 2010 წლის იანვარში დევნილების დროებითი თავშესაფრებიდან გამოსახლების პროცესის შეფასება გამოაქვეყნეს.

„ზოგიერთ ობიექტზე ხელისუფლებამ ვერ მოახერხა დევნილების წინასწარ გაფრთხილება და ამ ადამიანების უფლებების უზრუნველყოფა, მათი გამოსახლების ფინანსური მხარდაჭერა და პროცესის სრული, შეუფერხებელი დაკვირვება“, – წერია Amnesty International-ის დასკვნაში.

Amnesty International-ი სინანულს გამოთქვამს, რომ 2010 წლის ოქტომბერში საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სტანდარტული საოპერაციო პროცედურები სრულად არ შესრულდა.

ამ ხელშეკრულების მიხედვით, ხელისუფლების წარმომადგენლები გამოსახლებამდე რამდენიმე დღით ადრე დევნილების ოჯახებში უნდა მისულიყვნენ და ეცნობებინათ მათი გამოსახლების თარიღი, ასევე ალტერნატიული საცხოვრებლის მდებარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები.

გარდა ამისა, Amnesty International-ის დასკვნაში სტანდარტული საოპერაციო პროცედურების სხვა მუხლების დარღვევაზეცაა საუბარი:


„ხელისუფლებამ ყველა ოჯახისათვის ფინანსური დახმარების მიცემა მათ გამოსახლებამდე ვერ უზრუნველყო. სტანდარტული საოპერაციო პროცედურების 6.9.1 მუხლის მიხედვით, გამოსახლება არ უნდა განხორციელდეს, თუ ყველა ადამიანი, ვინც ფინანსური დახმარების მოლოდინშია, ფიზიკურად არ მიიღებდა თანხას 10 სამუშაო დღის განმავლობაში“.

Amnesty International-ი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების მიერ დევნილებისათვის შეთავაზებული ალტერნატიული საცხოვრებლები საერთოდ არ შესაბამეობა ადეკვატური საცხოვრებლის სტანდარტებს.

ორგანიზაცია ყურადღებას სახალხო დამცველის ანგარიშზე ამახვილებს.

„ოჯახი, რომელიც ცხოვრობს ფოცხო-ენერში მედიკამენტების საყიდლად უნდა გადავიდეს დასახლება ჯვარში, რადგან აფთიაქი ფოცხო-ენერში არ არსებობს.“

სოფელ აბაშისპირში, ბავშვებმა ფეხით დაახლოებით ორი კილომეტრი უნდა იარონ,



განხორციელების მუდმივმოქმედ საბჭოსთან გამართეს. დასკვნა კი 3 თებერვალს გაავრცელეს. გაეროს ცნობით, აგვისტოსთან შედარებით, იანვარში გამოსახლების პროცესი გაუმჯობესდა.


„იმ ფარგლებში, რამდენადაც გაეროს ჰქონდა დაკვირვების შესაძლებლობა, არ მომხდარა საერთაშორისო სამართლის ან საერთაშორისო სტანდარტების არსებითი დარღვევა“, – წერია გაეროს დასკვნაში.

გაეროს წარმომადგენლობაში ფიქრობენ, რომ არცერთი დევნილი არ დარჩენილა ფინანსური დახმარებისა და თავშესაფრის გარეშე. თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებს არ ჰქონდათ პროცესზე სრულყოფილი დაკვირვების საშუალება.

გაეროს წარმომადგენლობაში ფიქრობენ, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესი „სტანდარტული სამოქმედო პროცედურების“ შესაბამისად მიმდინარეობდა, თუმცა, აღნიშნავენ, რომ იყო ხარვეზებიც.

„ეს ეხება კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ დაბრკოლებას. გარკვეული დავა ოჯახების შემადგენლობასა და მათ დაყოფასთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს ფინანსური დახმარების გამოთვლაზე, კვლავ ღია რჩება“, – წერია გაეროს დასკვნაში.

გაეროს დასკვნაში წერია, რომ გამოსახლებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნა დევნილებს. მათ დატოვეს ნაცნობი, შეჩვეული გარემო, დაკარგეს სამუშაო, ან სხვა შემოსავლის წყარო. გაერო დევნილთა სამინისტროს უკვე განსახლებული დევნილების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს.

გაეროც და Amnesty International-იც სამინისტროს მოუწოდებენ, დამკვირვებლებისთვის პროცესის გამჭვირვალობა უზრუნველყოს. 

რადგან სოფელში სკოლა არ არის. სოფელ თორსა-დღვებში და აბაშისპირში პრობლემა სასმელი წყლით მომარაგება“, – წერია სახალხო დამცველის ანგარიშში.

Amnesty International-ს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გამოეხმაურა. მათი განცხადებით, ორგანიზაციის დასკვნა ცალმხრივია და Amnesty International-ს არ მიუმართავს სამინისტროსთვის ინფორმაციის მისაღებად.

„იმედს ვიტოვებთ, რომ მსგავსი სამწუხარო ფაქტი აღარ განმეორდება და ორგანიზაცია გააგრძელებს ჩვეულ ნაყოფიერ თანამშრომლობას სამინისტროსთან“, – წერია ოფიციალურ განცხადებაში.

სამინისტროსთან ითანამშრომლა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა. შეხვედრა 2 თებერვალს სამოქმედო გეგმის

ვიდეომეთვალყურეობა

# შსს-ს თვანი აფთიაქი

წამლების ყიდვა-გაყიდვის პროცესს ვიდეოთვალი დააფიქსირებს.

## ნინო რობაქიძე

აფთიაქების ასოციაციაში ოცდაათამდე მცირე და საშუალო აფთიაქი გაერთიანებული. მათი უმრავლესობის მოგება წელიწადში 5000-6000 ლარს არ აღემატება. ამ აფთიაქებს მალე ან წამლების ფასის მნიშვნელოვნად გაზრდა, ან საკუთარი ბიზნესის შეჩერება მოუწევთ.

საქმე ის არის, რომ ჯანდაცვის მინისტრის №397 ბრძანებით 1 თებერვლიდან აფთიაქების მეგატრონებმა ვიდეომეთვალყურეობისთვის საჭირო ტექნიკა უნდა შეიძინონ და დაამონტაჟონ. მინისტრის ბრძანებაში მითითებული ტექნიკა კი თითო აფთიაქს დაახლოებით 7000-დან 8500 ლარამდე დაუჯდება. ამ თანხას ემატება საფასური კომპიუტერის შესაძენად, რომელიც აუცილებელია ვიდეომეთვალყურეობის განხორციელებისთვის და შსს-ს მოთხოვნისამებრ, მონაცემების გლობალურ ქსელში განთავსებისთვის.

► „კამერის გარჩევადობა: 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA)“

► „ჩანანერის გარჩევადობა: არანაკლებ 3 მეგაპიქსელი (2048X1536 QXGA). არანაკლებ 5 კადრი წამში. დღე-ღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანანერი უნდა იძლეოდეს ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას“;

► „დაფარვის ზონა: შესაძლებელი უნდა იყოს აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების შენობის ძირითადი და სათადარიგო შესასვლელების 20 მეტრიანი რადიუსის ფართობის თვალთვალი“.

სათვალთვალო კამერების მახასიათებლები დეტალურადაა განერილი საქართველოს შს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებაში. ივანე მერაბიშვილის ეს ბრძანება აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ადგი-



ფოტო თემო ბარბაქაძე

ლებზე და მათ პერიმეტრზე კამერების დამონტაჟებას ეხება.

ჯანდაცვის მინისტრმა აფთიაქებში ვიდეომეთვალყურეობის უზრუნველყოფა სწორედ შსს მინისტრის ამ ბრძანების შესაბამისად დააკანონა.

„თუ ჩემს აფთიაქს მთელი წლის მოგების გადახდა სათვალთვალო კამერებში მოუწევს, მე იძულებული ვიქნები, მედიკამენტებზე ფასი გაზარდო. აბა, ისე, გამოდის, რომ მთელი წელი ტყუილად უნდა ვამუშაო აფთიაქი,“ – განმარტავს ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე მდებარე მცირე აფთიაქის მფლობელი.

ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე თინა ტურძილაძე მინისტრის ბრძანებაში სხვა პრობლემებსაც ხედავს. ის „სათანადო სააფთიაქო

პრაქტიკის შესახებ“ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ფარმაცევტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ მომზადებულ გაიდლაინს იხსენებს. ამ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ფარმაცევტული სერვისი ფარმაცევტის და პაციენტის კონფიდენციალური საუბრის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ტურძილაძე ამბობს, რომ საქართველოში კონფიდენციალობა განსაკუთრებულად აქტუალურია, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ექიმთან მისვლის საშუალება და თვითმკურნალობას მიმართავს. „ასეთ დროს პაციენტი რჩევას აფთიაქის ფარმაცევტს ეკითხება, თუ აქ მათი თვალთვალი დაიწყება, ისინი მოერიდებიან სააფთიაქო კონსულტაციასაც და დარჩე-



ბიან პროფესიული პატრონაჟის გარეშე. ვიდუთვალთვალთ პაციენტისა ჯანდაცვის სპეციალისტთან ურთიერთობის დროს დაუშვებელია“.

ჯანდაცვის ექსპერტთა კლუბმა, 18 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, მინისტრის ბრძანება გააპროტესტა. ჯანდაცვის სამინისტროს ახლად დადგენილი წესის შეცვლის მოთხოვნით მიმართეს წერილი და საშუალო აფთიაქების მფლობელებმაც.

კითხვაზე, დამონტაჟდა თუ არა პირველ თებერვალს აფთიაქში ვიდუთვალთ, როგორც ეს ახლა კანონითაა გათვალისწინებული, საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთი აფთიაქის ფარმაცევტი და კონსულტანტები იბნევიან: „ალარ არის სავალდებულო, მეპატრონემ გვითხრა, თუ ვინმე მოვა, მე დამირეკეთო“; „კანონი შეიცვალა და ალარ ვაყენებთ კამერებს“.

თუმცა, სინამდვილეში ჯანდაცვის მინისტრის №397 ბრძანება ისევ ძალაშია - მეპატრონეები ისევ ვალდებული არიან, საკუთარი აფთიაქები სპეციალური ტექნიკით აღჭურვონ.

„მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა განგვიმარტა, რომ მომავალი 6 თვის განმავლობაში ვერავინ მოგვთხოვს კამერების დამონტაჟებას. ამ დროში კი იქნებ გამოჩნდნენ კომპანიები, რომლებიც უფრო იაფად შემოიტანენ საჭირო ტექნიკას. იქნებ განვადებების ორგანიზებაც მოხერხდეს“, - ამბობს დამოუკიდებელი აფთიაქების ასოციაციის პრეზიდენტი, ზვიად პაბუური. მისი განმარტებით, ირაკლი გიორგობიანის ეს წინადადება „ჯენტლმენური შეთანხმებაა“ და დოკუმენტის სახე არ აქვს.

„შევთანხმდით, რომ ხუთ თვეში ისევ შევხვდებით. მანამდე კი მინისტრის მოადგილის პირობა გვაქვს, რომ კამერების დაუმონტაჟებლობის გამო არავინ შეგვანუხებს“, - ამბობს ზვიად პაბუური.

გამოდის, ივლისამდე მცირე აფთიაქების უმრავლესობამ არჩევანი უნდა გააკეთოს - ან სათვალთვალ ტექნიკის შესაძენი თანხა დააგროვოს, ან ფარმაცევტული ბიზნესი საერთოდ დატოვოს. **■**



შარდენის მიდამოები იმის მაგალითია, თუ როგორ იქმნება ქუჩის ქაოსი გარემოს კომერციალიზაციის გამო

## ქაოსი ქუჩაში

რა უშლის ხელს თბილისის თავისი უნიკალური ხიბლის შენარჩუნებაში?

### დანიელ ნიჩი

უშინაარსოდ განლაგებული მაღალი ნიშნები, საგზაო ნიშნები, სანახევროდ ჩამოღებული ინსტალაციები – ბევრისთვის ეს ყველაფერი ქუჩაში ფეხით სიარულისას დისკომფორტის მიზეზი ხდება.

ამ ფენომენს სპეციალური სახელიც აქვს – „ქუჩის ქაოსი“ (Street Clutter) და მას ქუჩის ზედმეტი და არასაჭირო აღჭურვილობები (მაგალითად, ჯიხურები და ტრაფარეტები) ქმნის, გამგლებებსა და სასწრაფო დახმარების მანქანებს კი გადაადგილება სწორედ მათ გამო უჭირთ. ამიტომ ისინი ხშირად იძულებული ხდებიან, შემოვლითი გზებით გადალახონ ქუჩებში ხელოვნურად წარმოქმნილი ბარიერები.

ცხადია, თითოეულ ამ აღჭურვილობას თავისი დანიშნულება აქვს და მოქალაქეებს საჭირო მომსახურებას, კომფორტსა და ინფორმაციას სთავაზობს. თუმცა, როცა სივრცე მთლიანად ამ ნივთებითაა გადატვირთული,

ქუჩის იმ კონკრეტულ მონაკვეთზე გავლა შეიძლება საშიშიც კი გახდეს.

მაინც როგორ შეიძლება, აზარალოს ურბანული სივრცე „ქუჩის ქაოსმა“?

ესთეტიკური კუთხით, არეული და გადატვირთული ქუჩა ქალაქს ქაოტურ იერსახეს უქმნის. როცა ფეხით მოსიარულეთა გზა სწორი და მკაფიოდ გამოყოფილი არ არის, როცა სხვადასხვა ფუნქციის მქონე სივრცეები ერთმანეთშია არეული, სეირნობის და ურთიერთობების სურვილი ბევრ ფეხით მოსიარულეს უჭრება.

გამართლება ქუჩის ქაოსს არც ტურიზმის თვალსაზრისით აქვს. უგემოვნოდ ჩადგმული ურბანული აღჭურვილობები და სარეკლამო ბილბორდები ტურისტს ყურადღებას უფანტავს და ხელს უშლის, ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობები სრულყოფილად აღიქვას.

თბილისის ცენტრში ურბანული აღჭურვილობა გემოვნებითაა შერჩეუ-





რიგი ბანკის ფილიალთან რუსთაველის გამზირზე



საბურთალოს და პეკინის ქუჩების კუთხეში მდებარე მაღაზიები მთლიანად კვტავენ ტროტუარს და გამვლელებს მანქანის სავალ ნაწილზე გადასვლა უწყევთ

ფოტო: ნაიჯელა ბობიაძე

ლი, პერიფერიულ რაიონებში კი ეს საგნები უგემოვნოდ განლაგებული და მოძველებულია, რაც ადგილობრივი მოსახლეობის თვალში საკუთარი ქალაქის იმიჯს ამდაბლებს; მით უფრო, თუ ამ პრობლემას დასუფთავება და გზის შეკეთებაც ემატება.

თუმცა „ქუჩის ქაოსის“ რამდენიმე მაგალითი თბილისის ცენტრშიც შეიძლება ვნახოთ, მაგალითად, ასეთია რუსთაველის გამზირზე, ტროტუარზე ამოზრდილი ბანკის ფილიალი, რომელიც მთელ გზას ბლოკავს.

ქუჩის ქაოსი ქალაქის ზედმეტი კომერციალიზაციის ნიშანიც შეიძლება იყოს. თუკი ისეთ უფასო ურბანულ ინსტალაციებს, როგორც სკვერებში ჩადგმული დასასვენებელი სკამებია, პატარა მაღაზიით, ანდა ღია კაფით ჩაანაცვლებენ, ამ სივრცეს ავტომატურად გამოეთიშებიან ადამიანები, რომელთაც ან არ სურთ, ანდა ვერ შესწვდებიან კაფეში ვიზიტს.

ურბანული დაგეგმარებისას, ეს შეიძლება, სპეციალური გათვლაც იყოს იმ ადამიანების ჩამოსაშორებლად, რომლებიც თავიანთი არსებობითაც კი აფრთხობენ მდიდარ კლიენტებსა და ტურისტებს. ამ ხერხს ზუსტად ამ მიზნით, ხშირად იყენებენ ბევრ ევროპულ

ქალაქში, თბილისში კი მსგავსი ტენდენცია მხოლოდ რამდენიმე უბანში, მაგალითად, შარდენის ქუჩაზე და ქალაქის განაპირას შექმნილ ცენტრებში შეინიშნება, სადაც მთელი საჯარო სივრცე რესტორნებს აქვს ათვისებული.

ქუჩის ქაოსი სახიფათო ხდება მაშინ, როცა ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე

მოხვედრა სასწრაფო დახმარების მანქანასა და სახანძრო სამაშველო სამსახურს არ შეუძლია, ანდა მაშინ, როცა, ჩახერგილი ტროტუარის გამო, ფეხით გამვლელები იძულებულნი არიან, სამანქანო გზაზე გადავიდნენ. ამ დროს ქალაქის იერსახე უკვე მეორეხარისხოვანი პრობლემა ხდება. ეს ასეა საბურთალოზე, ჭაბუკიანისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც მაღაზიებს მთლიანად გადაკეტილი აქვთ ტროტუარი და გამვლელები საფრთხეში იგდებენ თავს იმით, რომ იძულებულნი არიან, გზა მანქანის სავალ ნაწილზე განაგრძონ.

თბილისში ფეხით სეირნობისას სხვა საფრთხეებსაც უნდა ერიდოთ. ხის კუნძუბი, სანახევროდ გადაჭრილი ბოძები და საგზაო ნიშნები – ისინი შეიძლება ოდნავ სცდებოდნენ მიწის ზედაპირს, მაგრამ ფეხის წამოკვრისთვის მაინც საკმარისია. ამას ემატება მიწისქვეშა კომუნიკაციების თავლია ჭები და საგზაო სამუშაოებიც, რომელთაც ხშირად უსაფრთხოების ზომების დაცვის გარეშე ანარმოებენ, თუმცა ეს ყველაფერი უკვე ქუჩის ქაოსის ცნებას სცდება.

თბილისის მერიამ ქუჩის ქაოსის შემცირება 2010 წლის ზაფხულში გარე-



მეტროსადგურ „სამედიცინო ინსტიტუტთან“ ეს ტროტუარი ადრე მხოლოდ გამვლელებს ეკუთვნოდათ, ახლა კი მანქანების სადგომია

**■ ქუჩის ქაოსი სახიფათოა, როცა ერთ მონაკვეთზე მოხვედრა სასწრაფო დახმარების მანქანასა და სახანძრო სამსახურს არ შეუძლია, ანდა როცა, ჩახერგილი ტროტუარის გამო, გამვლელები იძულებულნი არიან, სამანქანო გზაზე გადავიდნენ.**



## სპეციალური შეთავაზება



გამოიწერეთ  
ჟურნალი „ლიბერალი“  
თითქმის ნახევარ ფასად!

წლიური ხელმოწერა  
მხოლოდ 55 ლარი!

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,  
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“  
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი  
ყოველ ორშაბათს  
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი  
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: [subscribe@liberali.ge](mailto:subscribe@liberali.ge)

ვაჭრობის აკრძალვით სცადა. მაშინ 4 ათასამდე გარემოვაჭრე იძულებული გახდა, ოფიციალურად გახსნილი ბაზრის ტერიტორიაზე გადასულიყო. თუმცა ქალაქში მათ მიერ გათავისუფლებული ადგილები ბევრგან ავტოსადგომად გადაკეთდა. ქართველ მძღოლებს უყვართ, როცა მანქანებს ყველგან აჩერებენ, თუნდაც გარშემო უამრავი ლეგალური ავტოსადგომი იყოს. კანონის გამკაცრების ნაცვლად კი ცოტა ხნის წინ ტროტუარებზე გაჩერება დაკანონდა და გზა, რომელიც ფეხით მოსიარულეებს ეკუთვნოდა, ახლა მანქანებისთვის მოიხაზა.

ევროპელისთვის ეს ყველაფერი ოდნავ უცნაური სანახავია. მაშინ როცა ევროპის ქალაქებსა და მეზობელ თურქეთშიც ცდილობენ ცენტრალურ უბნებსა და დასახლებულ რაიონებში

მოსპობა კატეგორიულ მოთხოვნას წარმოადგენდა.

ქაოსი ქუჩაში – ევროპაში ეს პრობლემა ე.წ. ბარიერებისგან თავისუფალი ქალაქის შექმნასაც აფერხებს, რაც ევროკავშირის რამდენიმე დირექტივაშია ხაზგასმული. იდეა ასეთია – საჯარო სივრცე თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც ქმედუნარიანი, ისე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის. ამაში შედის გზის გათავისუფლებაც იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ინვალიდის ეტლით დადიან.

საქართველოსთვის მსგავსი მიზნების დასახვა ჯერ კიდევ ფუფუნებაა. აქ ქუჩის ქაოსი, პირველ რიგში, უსაფრთხოების კუთხით უნდა განვიხილოთ. სიტუაციის გამოსწორებაც აქედან უნდა დაიწყო. თუმცა ყურადღების

**■ ავტომანქანების გაჩერება ტროტუარებზე უნდა აკრძალოს, სანაგვე ურნები და ავტობუსების გაჩერებები ყურადღებით უნდა განლაგდეს. სპეციალური ინსტრუქციების მიხედვით უნდა გაანაწილონ ქალაქში ქუჩის კაფეები და ჯიხურებიც.**

ავტომობილების რიცხვი შეამცირონ, შთაბეჭდილება რჩება, რომ თბილისი აბსოლუტურად სანაწილდემო მიმართულებით ვითარდება.

გამოდის, რომ ქუჩის ქაოსი ევროპა-სა და საქართველოში ერთმანეთისგან განსხვავებულია. ევროპული ქალაქების მთავარი პრობლემა უკიდურესი კომერციალიზაციაა, შემოფოთებას კი ყველაზე მეტად უბნების იერსახე იწვევს, რომელსაც არაესთეტიკური საგზაო ნიშნებისა და ინფორმაციის სიჭარბე ამახინჯებს.

ამიტომ, როცა ევროპაში სავაჭრო ცენტრებსა და ტროტუარებს თავიდან აგეგმარებენ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ქუჩის ქაოსი აირიდონ თავიდან. მაგალითად, ვენაში მსხვილი სავაჭრო უბნის ხელახლა დაგეგმარებისას გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც ქუჩის ქაოსის

გამახვილება საჭირო ესთეტიკაზეც, რადგან ეს გავლენას ახდენს ქალაქის იმიჯზე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე – ტურისტების თვალში.

ავტომანქანების გაჩერება ტროტუარებზე უნდა აკრძალოს, ქალაქისთვის საჭირო ალტურვილობა კი, როგორებიცაა სანაგვე ურნები და ავტობუსების გაჩერებები, დიდი ყურადღებით უნდა განლაგდეს. სპეციალური ინსტრუქციების მიხედვით უნდა გაანაწილონ ქალაქში ქუჩის კაფეები და ჯიხურებიც.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანია, თბილისში უხვად დარჩეს არაკომერციული ურთიერთობებისთვის საჭირო სივრცე, რომელიც ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება. თბილისი ამ გზით შეინარჩუნებს თავის უნიკალურ იერსახესა და ატმოსფეროს – იმას, რაც ამ ქალაქის მთავარი ხიბლია. **■**



შრომის ბაზარი

# უმუშევრობით ბაღალნი

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 17 პროცენტს არ სცდება. თუმცა, დამოუკიდებელი კვლევების მიხედვით, ქართველების 71% თავს უმუშევრად თვლის.

დიანა ჩაჩუა

ვებგვერდი jobs.ge პოპულარული ქართული საიტების პირველ ოცეულშია. ამ მისამართზე დღეში 5-9 ათასი ადამიანი შედის. საიტმა, რომელიც ვაკანსიებს მთელი საქართველოს მასშტაბით 1998 წლიდან აქვეყნებს, ერთი კვირის წინ საკუთარი რეკორდი მოხსნა – 25 იანვარს jobs.ge 29 ათასმა ადამიანმა გახსნა. 27 წლის ანა კუკავა მათ შორის ერთ-ერთი იყო.

ნახევარ წელიწადზე მეტია, განათლებით დიპლომატი ანა ინტერნეტთან დაჯდომისთანავე პირველ რიგში ორ საიტზე შედის – საკუთარ ფოსტაზე და jobs.ge-ზე.

ანა უმუშევარია.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, უმუშევარია ყველა, ვინც 15 წელს გადაცდენილია, შრომისუნარიანია, მუშაობის დაწყება ბოლო 4 კვირის განმავლობაში სცადა, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატი ანამ ხუთი წლის წინ დაამთავრა. მაგისტრის დიპლომის მისაღებად ევროპაში გაემგზავრა, რისთვისაც სტიპენდია რთული ტესტირების გავლით მოიპოვა. უკან დამოუკიდებელი ცხოვრების ორწლიანი გამოცდილებითა და ცოდნით დაბრუნდა. დარწმუნებული იყო, რომ ორი დიპლომი და ევროპაში მიღებული განათლება წარმატებული კარიერის დაწყებაში დაეხმარებოდა.

საკუთარი CV-ს შედგენასა და სასურველ უწყებებში გაგზავნას ერთუზიანობით შეუდგა. თუმცა, რვა თვის განმავლობაში სხვადასხვა კომპანიიდან მიღებულმა ათობით უარმა სასო-



ელეონორა ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, თბილისი 2011

ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი



წარკვეთაში ჩააგდო.

ახლა jobs.ge-ზე ახალი ვაკანსიების დათვლიერება უკვე ჩვევად აქვს ქცეული, CV-საც კომპანიებში მაინც აგზავნის, მაგრამ ფოსტით მიღებული თითოეული უარის შემდეგ სულ უფრო მეტად უჭირს სტრესთან გამკლავება.

„თითქოს, ჩემს ირგვლივ მოჯადოებული წრეა, რომლის გარღვევაც ჩემს ძალებს აღემატება. დადებით პასუხს უკვე აღარც ველი. ყველაზე მეტად ის მაშინებს, რომ დრო ჩემს წინააღმდეგ მოქმედებს. რაც უფრო მემატება ასაკი, მით უფრო წამგებანია CV-ში არც ერთი სტაბილური სამსახური არ მენეროს“, – ამბობს ანა.

ვიდრე სამსახურს ელის, ამ პროცესთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი ალიზიანებს: ძველი ნაცნობების შეფასება, რომ აბა, რა ეგონა, სინამდვილეში უცხოური დიპლომი „დიდი არაფერია“; ნათესავების, მეზობლებისა და ახლობლების „წუხილი“ იმის შესახებ, რომ უსამართლობაა, სამსახურს „ასეთი ჭკვიანი გოგო“ ვერ შოულობდეს. ალიზიანებს იმ ადამიანებზე დაკვირვებაც, ვისაც გაუმართლა და სამსახური აქვს – „მათ სულ საკუთარ თავს ვადარებ და ზუსტად ვიცი, ამ საქმის გაკეთება მეც შემიძლია, შეიძლება, გაცილებით უკეთაც, უბრალოდ შანსს არ მაძლევენ“.

როგორც აღმოჩნდა, საქართველოში და დანარჩენ მსოფლიოშიც ეკონომიკური კრიზისი ყველაზე მეტად ახალგაზრდებს შეეხო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მსოფლიოში ახალგაზრდების უმუშევრობის დონესთან დაკავშირებით ახლახან მორიგი ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოში 15-24 წლამდე 81 მილიონი უმუშევარი ახალგაზრდაა.

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში 17 პროცენტს არ სცდება. ეს დაახლოებით 335 ათას უმუშევარ მოქალაქეს უდრის. თუმცა, უმუშევრის სტატუსით სინამდვილეში გაცილებით მეტი ადამიანი იტანჯება.

საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2010 წლის კვლევაში წერია, რომ რესპონდენტთა 65 პროცენტისთვის სამუშაო ადგილები ნომერ პირველი სახელმწიფო პრობლემაა. ეს თემა მათთვის თავისი მნიშვნელობით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხსაც უსწრებს. დასაქმებულად თავი არ მიაჩნია გამოკითხული მოსახლეობის 71 პროცენტს.

ეს შეუსაბამობა უმუშევრობის არც ისე მწვავე ოფიციალურ სტატისტიკასა (17%) და კვლევის გაცილებით უფრო დამაფიქრებელ შედეგებს (71%)

შორის იმით აიხსნება, რომ ტერმინ „დასაქმებას“ კანონი და ადამიანები სხვადასხვაგვარად განმარტავენ.

ალიარებული დეფინიციის მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ყველა, ვინც გამოკითხვამდე 7 დღის განმავლობაში თუნდაც 1 საათით მსახურობდა ფულადი ან ნატურალური ანაზღაურების მისაღებად, მათ შორის – თვითდასაქმებულებიც, რომლებიც შრომის ბაზარზე უმრავლესობას წარმოადგენენ. ამიტომ ეს ადამიანები – ტაქსის მძღოლები, რეპეტიტორები, საცალო მოვაჭრეები – უმუშევრობის ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩებიან. თვითონ კი, მინიმალური და არასტაბილური საარსებო შემოსავლის გამო, მიიჩნევენ, რომ რეალურად სამსახური არ აქვთ.

2008 წელი – ეს ის პერიოდი, რომელსაც სხვადასხვა კვლევის მონაწილე მოქალაქეები დასაქმების თვალსაზრისით წყალგამყოფად მიიჩნევენ. უმრავლესობა ფიქრობს, რომ 2008 წლის იანვართან შედარებით ქვეყანაში დასაქმების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. თუმცა საქართველოში უმუშევრობის პრობლემა გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1990-იან წლებში დადგა დღის წესრიგში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, წარმოებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების დახურვამ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მცდელობამ, სამუშაო ძალის არაკვალიფიციურობამ, ახალი ტექნოლოგიების

არარსებობამ და ომებმა უმუშევრების დიდი მასა წარმოშვა.

ეს პროფესიით კიბერნეტიკოსმა გურამ სალუქვაძემ საკუთარ თავზე 1995 წელს გამოსცადა. სამეცნიერო დაწესებულებაში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ, 8 თვეში ზედიზედ ორი გულის შეტევა გადაიტანა.

2004 წლიდან უმუშევართა რიგებს



**■ 2005 წლის კვლევაში ნათქვამია, რომ ადამიანებს, რომლებიც ერთი წელი ვერ შოულობენ სამუშაოს, სტრესთან გასამკლავებლად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდებათ, ვიდრე მეუღლის დაკარგვის შემთხვევაში.**

უმუშევართა კიდევ ერთი დიდი ტალღა შეემატა – შევარდნაძის მმართველობის დროს, სახელმწიფო უწყებებში და განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები ვარდების რევოლუციის შემდეგ მასობრივად გაუშვეს სამსახურებიდან იმ მოტივით, რომ ისინი არ ფლობდნენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც კორუფციისა და ნეპოტიზმისგან თავისუფალ სამუშაო გარემოში იყო საჭირო.

40 წელს გადაცილებულ ადამიანებს ცხოვრების თავიდან დაწყება სრულიად ახალ რეალობაში მოუხდათ. ფსიქოლოგიური წნეხის გარდა, სამსახურის ძიების პროცესი ბაზრის ახალმა მოთხოვნებმა და უნარებმა მათთვის კიდევ უფრო გაართულა. სახელმწიფო ამ ადამიანებს არც სპეციალური დაზღვევის შემოღებით დახმარებია, ეს მაშინ, როცა ბევრ დასავლურ ქვეყანაში უმუშევრობის დაზღვევა მიღებული პრაქტიკაა.

ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია 1990-იანი წლებიდან საქართველოში უმუშევრობის ერთ-ერთ ყველაზე ცოცხალ ბარომეტრად იქცა. აქ უკვე ათ წელზე მეტია, ერთჯერადი სამუშაოს პოვნის იმედით იკრიბებიან ადამიანები, რომელთაც სამსახური დაკარგეს, ან თბილისში რაიონებიდან ჩამოვიდნენ. ბევრს პროფესიის შეცვლა მოუხდა – ზოგმა ელექტრობა ისწავლა, ზოგმა ლებვა, ზოგმაც სანტექნიკა.

შუახნის გაიოზ გორდელაძე ზამთრის დღეებში სახლიდან გარიჟრაჟზე გამოდის, როცა გარეთ ჯერ კიდევ ბნელა. გლდანთან ელიავამდე მისასვლელად 40 წუთი სჭირდება – ჯერ ავტობუსს მიჰყვება, შემდეგ დიდუბისკენ მიმავალ „მარშუტკას“. „სამსახურში“ უკვე ხედებიან ტრაფარეტმომარჯვებული კოლეგები. მუყაოს ფურცლებზე დიდი და საგანგებოდ გამოყვანილი ასოებით წერია: „ციკლოკა“, „ელექტრიკი“, „მშენებელი“.

ერთჯერადი სამსახურის მაძიებლები 3-4 კაციან ჯგუფებად დგანან. ხშირად კვირები გადის ისე, რომ ერთი კლიენტიც არ ჩანს. სიღარიბის

ზღვარს მიღმა დარჩენილი ოჯახის სარჩენად, განათლებით ენერგეტიკოს გაიოზს, რომელიც ელიავაზე ელექტრიკოსის ტრაფარეტით დგას, სხვა გზა მაინც არ აქვს.

„2008-მდე უფრო იყო საქმე. ბოლო 2-3 წელია, საერთოდ აღარაა სამუშაო. ეს თქვენ გგონიათ, რომ მშენებლობები მიმდინარეობს. გაიხედეთ ირგვლივ, ყველაფერი გაჩერებულია. 2008-2009 წლებში კიდევ არა უშავდა. 2010 წელს საერთოდ გაჩერდა ყველაფერი. თუ რაიმე შენდება, ყველას თავის ხალხი ჰყავს,“ – ამბობს გაიოზ გორდელაძე.

2005 წელს Gallup-ის მიერ ჩატარებულ კვლევაში ნათქვამია, რომ ადამიანებს, რომლებიც, მინიმუმ, ერთი წელი ვერ პოულობენ სამუშაოს, სტრესულ მდგომარეობასთან გასა-

### 30 წელი უმუშევრობა

უმუშევრობის დონის აბსოლუტური სიზუსტით დადგენას ცდომილებების დიდი რისკიც ართულებს, რადგან სამუშაო ძალაში ჩართვა და სამუშაო ძალიდან გამოთიშვა ხშირი მოვლენებია. მაგალითად, ითვლება, რომ უმუშევართა საკმაოდ დიდ ნაწილს ახალგაზრდები წარმოადგენენ, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. ამასთან, ცალკე კატეგორიაა ფრიქციული, ანუ ფარული უმუშევრობა – როდესაც ადამიანი არასრული სამუშაო დროით არის დასაქმებული ან დასაქმებულია და პარალელურად აქტიურად ეძებს სამუშაოს.

თვითდასაქმებულების უმრავლესობა სოფლის მეურნეობით არის დაკავებული, სადაც ეკონომიკური ზრდა სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად შეინიშნება. ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ეკონომიკური ზრდის 80 პროცენტი იმ დარგებზე მოდის, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 20 პროცენტს არ აღემატება.

მკლავებლად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდებათ, ვიდრე მეუღლის დაკარგვის შემთხვევაში.

ამ მოსაზრებას ექიმებიც იზიარებენ და ამბობენ, რომ უმუშევრებს დეპრესიული მდგომარეობა, პასიურობა, ემოციური არამდგრადობა, რეალობიდან გაქცევის სურვილი, მარტოობის, უსამართლობის, უსუსურობის განცდა და სხვა მრავალი სიმპტომი ახასიათებთ. ასეთი სტრესული ფონი გავლენას ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც ახდენს, პირველ რიგში – გულზე.

ეკონომისტების, პაოლა ჯულიანოს და ანტონიო სპილიმბერგოს 2009 წლის კვლევაში ნათქვამია, რომ ადამიანებს, რომლებმაც უმუშევრობა 18-25 წლის პერიოდში გამოცდადეს, შემდგომში ნაკლებად სჯერათ ინდივიდუალური მცდელობების, უთანასწორობის შეგრძნება იპყრობთ და ნაკლებად აქვთ საჯარო ინსტიტუტებისადმი ნდობაც.

პოპულარული ქართული საიტების რეიტინგი, რომელიც ვებგვერდ top.ge-ზე ქვეყნდება, გვაჩვენებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ყველაზე ხშირად მოიხმარენ სამსახურების საძიებო საიტს jobs.ge, ასევე ხშირად შედიან myvideo.ge-ზე – სხვადასხვა ტელეარხისა თუ ვიდეოს სანახავად, forum.ge-ზე – ონლაინ დისკუსიებში ჩასართავად, allmovies.ge-ზე – ფილმებისა და მუსიკის გადასაწერად, magtfun.ge-ზე – უფასო ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად, saqme.ge-ზე – გაყიდვებისა და დასაქმების შესახებ განცხადებების წასაკითხად და adjarabet.com-ზე – ონლაინ ტოტალიზატორში ფსონების დასადებად. ხშირად ამ ადამიანებისთვის ტოტალიზატორი თავის რჩენის ერთადერთი საშუალებაა.

სამსახურის რვათვიანი ამოოქვნი შემდეგ ანა კუკავა ამბობს, რომ ნელ-ნელა თავის ძველ მეგობრებსაც ჩამოშორდა. ის ახლა მთელ დროს ონლაინ ფორუმებზე ატარებს. „გამთენიისას ვიძინებ. 3-4 საათზე ვიღვიძებ, რა აზრი აქვს, როდის ავდგები, მაინც არსად ვარ წასასვლელი“. ■

# ტუნისი, ებვიზტა და საქაჩთველო



მარკ მალენი



დემონსტრანტები სკანდირებენ ანტისამთავრობო სლოგანებს, ალექსანდრია, 3 თებერვალი, 2011

ფოტო: დელან მარტინსონ / REUTERS

დაახლოებით ერთი კვირის წინ, რადიო „თავისუფლების“ ვებსაიტზე გაანოდიას წერილი გამოქვეყნდა. ნოდია სვამს კითხვას, თუ რატომ იყო საქართველო ჩუმად ტუნისის რევოლუციის მოვლენებზე. ტუნისი დიქტატორული სახელმწიფო იყო, რომელიც ოპოზიციას სასტიკად ეპყრობოდა, მაგრამ ამავე დროს, რეგიონში მასზე უარე-

სებიც არსებობენ. რამდენიმე დღიანი დემონსტრაციების შემდეგ ქვეყნის ლიდერი გაიქცა. ახლა იგივე ხდება ეგვიპტეში და საქართველო კვლავ ხმას არ იღებს.

აშკარაა, რომ საქართველოს სხვა ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები 2007 წლის დემონსტრაციებამდე უფრო მეტად მოსწონდა. 2007 წლის შემდეგ

კი, ქუჩის დრამების ყურება მას ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებს. არაბული დემონსტრაციებისგან საქართველოს ოპოზიცია უფრო მეტ ინსპირაციას მიიღებს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ ნამდვილ მიტინგებს საყოველთაო მხარდაჭერა სჭირდება, აქაურ ოპოზიციას კი ეს არ აქვს. ოპოზიციის ის ჯგუფები, რომლებიც ხალხის ქუჩაში



გამოყვანაზე კვლავ ოცნებობენ, ვერაფერს მოახერხებენ, რადგან ისინი საკმარისად პოპულარულები არ არიან.

ამავე დროს, საქართველოს მთავრობა უფრო მეტად დაუახლოვდა დიქტატორულ რეჟიმებს: განსაკუთრებით, ლუკაშენკოს და ასევე, სერჟ სარქისიანსაც. თურქეთს „ყველა მეზობელთან მეგობრობის“ პოლიტიკა აქვს და ამის წყალობით ბევრი რეგიონული უთანხმოება მოაგვარა. თუ საქართველოს საგარეო ურთიერთობის მაღალი დემოკრატიული სტანდარტი იქნება, რეგიონის გეოგრაფიას თუ მივიღებთ მხედველობაში, შესაძლოა, მარტოც დარჩეს. ამავდროულად, საქართველოს საგარეო ურთიერთობები მაინც უჩვეულოდ პერსონალიზებული და პირად ურთიერთობებზე დამყარებულია. აშკარად გაყალბებული არჩევნების შემდეგ, ლუკაშენკოსთან დარეკვა შეიძლება ისე აღიქმებოდეს, როგორც მეგობრობის გაღრმავება.

ბოლო დროის მოვლენებმა, განსაკუთრებით ეგვიპტეში მომხდარმა, საერთაშორისო ფარისევლობა ყველაზე უკეთ წარმოაჩინა. ეგვიპტის პრეზიდენტი ბოლო 30 წლის განმავლობაში არჩევნებს აყალბებდა და ოპოზიციას ჩაგრაჟდა (ხშირად სასტიკი მეთოდებით). იგი ამას აკეთებდა ყოველწლიური 2 მილიარდიანი ამერიკული სამხედრო მხარდაჭერის ფონზე. დღეს ეგვიპტე-

დაუჭერდა, გარდა იმათი, ვისაც ფულს უხდის ან მასთან დაახლოებულია. მასობრივი და დიდწილად, მშვიდობიანი დემონსტრაციების შემდეგ, მუბარაქმა თავისი ბანდიტები ხალხისთვის ზიანის მისაყენებლად გააგზავნა. ამით მოქალაქეებისთვის დემონსტრაციებში მონაწილეობის რისკები გაიზარდა. ხალხი ასეთ რამეებს იმასხოვრებს ხოლმე.

საქართველო საქმეს იმით ირთულებს, რომ მსოფლიოს გამუდმებით მოუწოდებს რუსეთის დაგმობისკენ. საღამო არ გავა, რომ მთავრობის მიერ კონტროლირებადმა ახალი ამბების გამოშვებებმა არ გვაუწყონ, თუ როგორ ბოროტებებს სჩადის რუსეთი და როგორი უსამართლო და საშიშია მისი საქციელი. ბევრ ქართველს სჯერა, რომ რასაც რუსეთი თავის მოქალაქეებს უკეთებს, უსამართლო და უკანონოა. ასევე სჯერათ, რომ დანარჩენ მსოფლიოს აკისრია მორალური ვალდებულება, რომ არა მხოლოდ დაგმოს ეს დარღვევები, არამედ შესაბამისი კონტრ ნაბიჯებიც გადადგას. მაშინაც კი, თუ ეს ნაბიჯები მათ ინტერესებში არ შედის.

გაკვეთილი, რომელსაც ახლა ვსწავლობთ, ის არის, რომ ხანგრძლივი მშვიდობის ან უბრალოდ ურთიერთობების დამყარებაც კი დიქტატორულ რეჟიმებთან დიდი ხანი არ გრძელდება. ავტოკრატიული რეჟიმები ემყარება ერთ ადამიანს და თუ ეს ადამიანი

გრამ გრძელვადიან პერსპექტივაში - ქვეყნისთვის წამგებიანია.

ამ მსჯელობას ასევე მივყავართ კითხვამდე, თუ რამდენ ხანს უნდა მართავდეს ერთი ლიდერი სახელმწიფოს. მუბარაქი ოცდაათი წლის მანძილზე მართავდა. ყველა ეგვიპტელს სურს, რომ ის წავიდეს, მაგრამ თვითონ წასვლაზე არ ფიქრობს. მან ქვეყანა ისე მოაწყო, რომ უსაფრთხოება დაფუძნებულია ძლიერ ძალოვან უწყებებზე, პროტესტის ჩახშობასა და კორუფციაზე. როდესაც ავტოკრატი ასეთ სისტემას აწყობს, შედეგად მას სისტემისგან თავის დაღწევა უჭირს. კორუმპირებულ დამნაშავეებს, რომლებიც მმართველს ხელისუფლების შენარჩუნებაში ეხმარებიან, არ სურთ დიქტატორის გადადგომა (მაშინაც კი, როდესაც თავად მას წასვლა უნდა), რადგან საკუთარი თავის, ოჯახის და ფულის უსაფრთხოებაზე ფიქრობენ. რობერტ მუგაბე წლების წინ გადადგებოდა, მის შინაგან საქმეთა მინისტრს და სამხედროებს რომ უფლება მიეცათ. და რამდენია ეს ზედმეტად დიდი დრო? 30 წელი ნამდვილად ძალიან ბევრია. ოცი? თუ დაინტერესებული მკითხველი მოძებნის, თუ ვინ იყვნენ 20 წელზე მეტ ხანს თავიანთი სახელმწიფოების სათავეში, კარგ კომპანიას ნამდვილად არ წააწყდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ლიმიტი 10 წელია, და ასეა პირდაპირი საარ-

**■ აშკარაა, რომ საქართველოს სხვა ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები 2007 წლის დემონსტრაციებამდე უფრო მეტად მოსწონდა. 2007 წლის შემდეგ კი, ქუჩის დრამების ყურება მას ნაკლებ სიამოვნებას ანიჭებს.**

ლი ხალხი მუბარაქის სიძულელით არის გაერთიანებული. მუბარაქს მხარს არავინ უჭერს. ზოგიერთი ეგვიპტელი შეიძლება, მომავალ გართულებებზე ნერვიულობს და ამიტომ არ იღებს მონაწილეობას მიტინგებში. როგორც 2003 წლის დემონსტრაციების დროს, ეგვიპტეში დღეს ისეთი მოქალაქე არ არსებობს, რომელიც მუბარაქს მხარს

მოკვდება, ჩამოაგდებენ ან პენსიაზე გავა, მასთან ურთიერთობები ( და ეს „მას“ ძირითადად მამაკაცია ხოლმე) დასრულდება. ასე რომ, დიქტატორებთან ურთიერთობა თავისი არსით მოკლევადიანია. ასეთი ურთიერთობის დამყარება შესაძლოა რომელიმე სახელმწიფოს ლიდერისთვის, გარკვეულ შემთხვევებში, მომგებიანიც იყოს, მა-

ჩვენო სისტემის მქონე საპრეზიდენტო რესპუბლიკების უმრავლესობაში.

მოდით, ვიყოთ მადლობელი, რომ საქართველო არ არის იმ არეულობაში, რაშიც 2003 წელს იყო. თანავე გრძნობთ ეგვიპტელ ხალხს და დარწმუნებული ვიყოთ, რომ საკმარისად ვისწავლეთ ეგვიპტის შეცდომებზე და იმათ ქმედებებზე, ვინც რეჟიმს მხარს უჭერს. ■

# ჩახომ სჭიხდება ჩეფოხმა ქახთუი ხონსაჩხვახიზმს



კონსერვატორებს ის კი არ უნდა ალელვებდეთ, თუ როგორ „არღვევენ“ ლიბერალები ტრადიციებსა და ადათ-წესებს, არამედ ის, თუ როგორ შეინარჩუნონ და დაიცვან ეს ტრადიციები.

გიორგი ცხადაია

ქართული კონსერვატიზმის მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჯერ კიდევ იმას ცდილობს, როგორ შეინარჩუნოს ქართულ იდენტობაზე ყოვლისმომცველი ბატონობა. ამის უკუშედეგები კი სხვა არაფერია, თუ არა რადიკალური, აგრესიული ლიბერალიზმი.

კონსერვატორები ამბობენ, რადგან დაიბადე ქართველად, ესე იგი, უნდა გქონდეს წინასწარგანსაზღვრული თვისებები: იყო მართლმადიდებელი, პატივს სცემდე და იცავდე უკლებლივ ყველა ქართულ ტრადიციას, უნდა აღიარებდე ქართული კულტურის უპირატესობას ყველა სხვა კულტურაზე და ა.შ. ნორმალური რეაქციაა, გაგიჩნდეს სურვილი, ხელაღებით უარყო ყველაფერი, რასაც კონსერვატორი ტრადიციონალისტები ჩაგძახებენ და თავად კონსერვატორები „პროგრესის მტრებად“ აღიქვა. ეს კი მეორე უკიდურესობაა.

იმისთვის, რომ შუალედური პოზიცია გაჩნდეს, აუცილებლად უნდა გადავხედოთ ქართული ტრადიციონალიზმის კონცეფციას და მისი თანმიმდევრული და რაციონალური ჩამოყალიბება დავინყოთ.

რას და ვის მოსაზრებებს გამოხატავს კონსერვატიზმი? რას გულისხმობს ეს ტერმინი? კონსერვატორები მხარს უჭერენ გაბატონებულ წყობილებას და სტატუს კვოს. კარგი იქნება, თუ დროებით დავივინყებთ კონსერვატიზმის ეკონომიკურ მხარეს და იმას, რომ დასავლეთში ყველაზე ხშირად კონსერვატორები ეკონომიკური მემარჯვენეები

არიან, და მხოლოდ კულტურულ განზომილებაზე ვისაუბრებთ. კულტურული კონსერვატიზმი გამოხატავს საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებსა და ტრადიციებს.

იმისთვის, რომ ადამიანებმა შეგნებულად აირჩიონ ის, თუ რომელ ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდნენ: ლიბერალებს (ვისაც ცვლილებები უნდა), თუ კონსერვატორებს, ორივე იდეოლოგიამ პოზიციონირება ისე უნდა შეძლოს, რომ მეორის ლეგიტიმურობა აღიაროს. დღევანდელი ქართველი ლიბერალები კონსერვატორების ლირებულებების ლეგიტიმურობას არ აღიარებენ, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ეს ლირებულებები ზოგჯერ რეპრესიულია. თავის მხრივ, ქართველი კონსერვატორები ლიბერალებს გარყვნილ და ამორალურ ადამიანებად თვლიან. ორივე ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაბადებიდან და „ბუნებრივად“ ან ერთი იდეოლოგიის გამზიარებელი უნდა იყო, ან – მეორის... თავისუფალი არჩევანი არ გაქვს.

ამის საწინააღმდეგოდ, ქართულ კონსერვატიზმს სჭირდება, რომ რადიკალურ და აგრესიულ ლიბერალიზმთან ურთიერთობები დაარეგულიროს. კონსერვატიული ლირებულებები უნდა გავიგოთ, არა როგორც ადამიანებისთვის დაბადებით მინიჭებული (ხშირად, ღვთაებრივი) თვისებები, არამედ როგორც შეგნებული არჩევნის შედეგი. ვინც მსგავს არჩევანს აკეთებს და ტრადიციული ლირებულებების შენარჩუნებას ცდილობს, მხარს უჭერს საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებს

და ამავე დროს უშვებს იმას, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც ეს ნორმები არ მოსწონს.

წარმოდგინეთ ქართველი კონსერვატორი, რომელსაც მოსწონს და აფასებს ქართულ კულტურას, ტრადიციებს, ოჯახის და ნათესაობის ღირებულებებს და ა.შ. მაგრამ ამავე დროს, აღიარებს თავის მეზობლად ლიბერალური შეხედულებების მქონე ადამიანების არსებობას. განსხვავებული შეხედულებების და მენტალიტეტის ადამიანები შეძლებენ ერთმანეთთან თანასწორუფლებიანი და სოლიდარული ურთიერთობების დამყარებას, თუ ერთმანეთის კრიტიკის ნაცვლად, აქცენტს პოზიტიურ ლირებულებებზე გააკეთებენ.

კონსერვატორებს ის კი არ უნდა ალელვებდეთ, თუ როგორ „არღვევენ“ ლიბერალები მათ ტრადიციებს და ადათ-წესებს, არამედ ის, თუ როგორ შეინარჩუნონ და დაიცვან ეს ტრადიციები. ნამდვილი კონსერვატორი პატივს სცემს ყველას თავისუფალ არჩევანს და ცდილობს, საკუთარი იდენტობა სხვა მრავალ იდენტობას შორის ღირსეულად გამოხატოს.

ლიბერალებმა, თავის მხრივ, უნდა აღიარონ, რომ კონსერვატორულად განწყობილი ადამიანები არ არიან „პროგრესის მტრები“. კონსერვატორებს სურთ იმ იდენტობის შენარჩუნება, რომელიც მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომფორტს ანიჭებთ. ადამიანი მორალური არსებაა, მას გარკვეული ლირებულებების ჩარჩოში

არსებობა სჭირდება. ის, რომ ადამიანების რაღაც ნაწილი იმ ღირებულებებს ირჩევს, რომელიც მას აღზრდის გზით გადაეცა და რომელიც გარემოსთან ურთიერთობას უადვილებს, სრულიად ბუნებრივია.

ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის ურთიერთობებმა არ უნდა გადაფაროს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე მსჯელობა. სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში ხშირად აქცენტი „ტრადიციებზე“, რელიგიურ შეხედულებებზე, „ეროვნულობაზე“ კეთდება და ადამიანების დაყოფაც კულტურული ნიშნით ხდება. თუ „ლიბერალი“ ხარ და გაბატონებული კულტურული ნორმები არ მოგწონს, მაშინ აუცილებლად „პროდასავლური“ ხელისუფლების მხარდამჭერი უნდა იყო და ლიბერტარიანულ ეკონომიკურ დოქტრინას უნდა უჭერდე მხარს.

სინამდვილეში, კულტურულ საკითხებზე ლიბერალური შეხედულებების ქონა იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის მემარჯვენე პრინციპებს იზიარებდე. პირიქით, მაგალითად, ამერიკაში „ლიბერალი“ ტრადიციულად ისეთ ადამიანს გულისხმობს, ვინც კულტურული ღირებულებების თვალსაზრისით ლიბერალია და ამავდროულად, მემარცხენე ან მემარცხენეცენტრისტულ პოზიციას იზიარებს. ამის საპირისპიროდ, საქართველოში „ლიბერალს“ როდესაც ახსენებენ, ადამიანების უმრავლესობას ხელისუფლება და მისი ლიბერტარიანული აპოლოგეტები ახსენდება.

ლიბერალებსა და კონსერვატორებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვაგანაც ერევათ ხოლმე ერთმანეთში კულტურული და სოციალურ-ეკონომიკუ-


რი პოზიციები. ამერიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც კონსერვატორ მუშებს მემარჯვენე „რესპუბლიკური პარტიის“ კანდიდატისთვის მხოლოდ იმიტომ მიუციათ ხმა, რომ „რესპუბლიკელებს“ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებზე უფრო მეტად ტრადიციული შეხედულება აქვთ. ასეთ შემთხვევაში, მუშებმა გადანყვიტეს, რომ თავიანთი უშუალო ეკონომიკური ინტერესები, რომელსაც „დემოკრატიული პარტია“ გამოხატავდა, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კულტურული ფასეულობები.

საქართველოში არსებობენ ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური უმცი-

რესობების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეულ ჯგუფებს ეხმარებიან საკუთარი იდენტობის გამოხატვასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციაში. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ გაბატონებული კულტურა, მაგალითად, გეების არსებობის ლეგიტიმურობას საერთოდ არ ცნობს, სექსუალურ უმცირესობებსაც გარემოზე რადიკალური შეხედულება უყალიბდებათ და საკუთარი ჯგუფური იდენტობის განცდა უმძაფრდებათ. ასეთ შემთხვევაში, სექსუალური უმცირესობის წევრმა შესაძლოა თავის უშუალო ეკონომიკური ინტერესის გამოხატველ პოლიტიკურ ძალაზე უარი თქვას მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძალა კონსერვატორულია. და მართალიც იქნება.

ის, რომ გაბატონებული ქართული კონსერვატიზმი უმცირესობებს ადამიანებად არ მიიჩნევს (ბექდური და ელექტრონული მედიიდან ამის უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება), მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ კონსერვატიზმი საკუთარ თავში დარწმუნებული არ არის. კონსერვატორებს ჰგონიათ, რომ სხვისი აღიარებით საკუთარ იდენტობას დაკარგავენ, ეს კი ძალიან დიდი მორალური და მსოფლმხედველობრივი სისუსტეა.

უმცირესობების საკითხებზე პროგრესულად მოაზროვნე კონსერვატორი ქართულ საჯარო სივრცეში ჯერ არ გამოჩენილა. ადრე თუ გვიან, კონსერვატიზმს ამ პრობლემის მოგვარება სერიოზულად მოუწევს. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიბრუნებენ კონსერვატორები საკუთარი თავის რწმენას, მორალურ ავტორიტეტს და საზოგადოების არაკონსერვატორ ნაწილსაც თავისუფლად განვითარების მეტ შესაძლებლობას მისცემენ. **■**



**ქართველი ლიბერალები კონსერვატორების ღირებულებების ლეგიტიმურობას არ აღიარებენ, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ეს ღირებულებები ზოგჯერ რეპრესიულია. თავის მხრივ, ქართველი კონსერვატორები ლიბერალებს გარყვნილ და ამორალურ ადამიანებად თვლიან.**



# სიჩუმი ბოხოტება - სად ხიან დევნილები?



ნინია კაკაბაძე

მასხოვს, 2008 წლის ომის შემდეგ, ე.წ. კულუარული ჭორი გავიგე, რომ ტელევიზიებს, საინფორმაციო გამოშვებების პროდიუსერებს აეკრძალათ რამდენიმე სიტყვის ხმარება, რაც მოსახლეობის ცნობიერებაზე თუ განწყობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა. მათ შორის იყო სიტყვა „დევნილი“. კულუარული ჭორების უაპელაციოდ მიღება არ მიყვარს, რაოდენ რეალისტურადაც უნდა გამოიყურებოდეს ის და მასხოვს, ასე გადავამოწმე: რამდენიმე დღის განმავლობაში თვალს ვადევნებდი საინფორმაციო გამოშვებებს. სიტყვა „დევნილი“ აღარსად ისმოდა. ის ან სხვადასხვა პოზიტიური მუხტის მქონე სიტყვით იყო ჩანაცვლებული ან, უბრალოდ, გაუქმებული.

ეს „მითითება ზემოდან“, როგორც ჩანს, გაუქმდა. დღეს, თუკი „რუსთავი 2“-ის ან „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებგვერდზე, განყოფილებაში „ძებნა“ ჩასვამთ სიტყვას „დევნილი“, შედეგს მიიღებთ. საინტერესო სწორედ ეს შედეგია.

„რეგიონებში დევნილების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება“ – ვინ ინატრებს ამაზე უკეთეს ამბავს? საზოგადოებრივ არხზე, ამგვარი სიუჟეტების ქრონომეტრაჟი, როგორც წესი, არ აღემატება 1 წუთსა და 30 წამს. ამ უკანასკნელი მოვლენებისადმი მიძღვნილ რეპორტაჟებში გაკვრით არის მოხსენიებული, რომ იძულებით გადაადგილებული პირები უარს აცხადებენ რეგიონებში გადასვლაზე. ფინალი ყველგან ერთია, სიუჟეტი ყოველთვის კობა სუბელიანის ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს

ტროს რომელიმე თანამშრომლის საუბრით სრულდება: „დევნილებს ეძლევათ გარემონტებული, ალტერნატიული ფართი საკუთრებაში...“

ამგვარ რეპორტაჟებში აქცენტი კეთდება ოპოზიციურ პარტიებზე, რომელნიც ჟურნალისტთა თქმით, დევნილების თემით სპეკულირებენ. რეპორტაჟში: „დევნილები საპროტესტო აქციას მართავენ“, ინტერვიუს კახა კუკავასა და რამდენიმე ოპოზიციონერი პოლიტიკოსისგან იღებენ.

■ დევნილების დღევანდელი მდგომარეობის მივიწყება და ეკრანიდან გაქრობა არანაკლები დანაშაულია, ვიდრე ოპტიმისტურად მოწოდებული ინფორმაცია – „დევნილებს ეძლევათ გარემონტებული, ალტერნატიული ფართი საკუთრებაში...“

კომიკურია „კურიერის“ 21 იანვრის რეპორტაჟი, სადაც ნაჩვენებია, ვაჟაფშაველას 24 ნომრიდან დევნილების გამოსახლება სრული ჰარმონიის პირობებში. როგორ სათუთად ულაგებენ ბარგს სატვირთო მანქანებში, სინყნარე და სიმშვიდეა, არავინ არაფერს აპროტესტებს... მაგრამ უმადურები მაინც გამოჩნდნენ: „ოპოზიციური

პარტიების ლიდერებმა კი განსახლების პროგრამა კვლავ პარლამენტის წინ გააპროტესტეს. ისინი მოითხოვენ, შეწყდეს დევნილთა რეგიონებში გადაყვანა და სამინისტრომ მათ უკეთესი საცხოვრებელი პირობები შესთავაზოს“. არ გეგონოთ, დევნილები აპროტესტებენ რამეს, მხოლოდ ლაშა ჩხარტიშვილი და რამდენიმე ოპოზიციონერი.

როდესაც ამ რეპორტაჟებს ვუყურებ, მეცინება, ნახვის შემდეგ კი ვბრაზობ ჟურნალისტების და მათი ხელმძღვანელების კონფორმიზმსა და არაკეთილსინდისიერებაზე, როდესაც საკუთარი მაღალი ხელფასი, სხვა ადამიანის უბედურებაზე მაღლა დგას.

რატომ არიან ეს ადამიანები უბედურები? ეს ჟურნალისტებს არ აინტერესებთ, არცერთი ნაციონალური არხი არ დაინტერესებულა, როგორ და სად დასახლდნენ დევნილები, რა მდგომარეობაა მათთან. ამ ადგილებში მხოლოდ მაშინ ჩადიან, როდესაც დევნილებს მინისტრი სუბელიანი სურსათსანოვავით ან რაიმე „სიურპრიზით“ ჩაკითხავს. მხოლოდ ბარაქა, ხვავი და შენება ჩანს ეკრანზე.

არცერთი ნაციონალური არხის ჟურნალისტი არ მისულა იმ ადამიანებთან, რომელნიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინ უკვე 4 თვეა კარვებში ცხოვრობენ. არავის აინტერესებს, რას ითხოვენ ისინი. ხმაურიანი გამოსახლებების შემდეგ ნაციონალურმა არხებმა კიდევ ერთხელ დაივიწყეს დევნილების არსებობის შესახებ და დაავიწყეს საქართველოს მოსახლეობას.

ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟ-



ფოტო: მანა შალაღარი

ში“ ფოცხო-ენერიდან კარგად ჩანს ქართული მედია-აბსურდი. „კურიერი-ში“ ჯერ ვრცელი სიუჟეტი გადის დიდ ბრიტანეთში ინფლაციის შესახებ, შემდეგ მოჰყვება სტუდენტული დასახლებიდან გამოსახლების რამდენიმე კადრი, რომელსაც ასრულებს კობა სუბელიანის დინჯი, მშვიდი და ჰარმონიული სინქრონი დევნილების კეთილმონყოფის შესახებ. ის, რაც „კვირის რეპორტაჟში“ ვნახე – ფოცხოში მაცხოვრებელ დევნილთა ნაამბობი, რომელიც მათ ყოველდღიურ არსებობას აღწერს, სრულიად ტრაგიკულია. ერთი პატარა სინანული უნდა გამოვთქვა. თუკი „კურიერი“ და „მომბე“ მუდმივად კომუნისტური ეპოქისათვის დამახასიათებელი სოცრეალისტური სტილით მოგვითხრობს დევნილების ყოფაზე, კრიტიკულად განწყობილი არხები თუ ჟურნალისტები კიდევ უფრო ამძიმებენ, ისედაც მძიმე მდგომარეობას.

მაგალითად, „კვირის რეპორტაჟის“ სიუჟეტში, ნანა ლეჟავას სენტიმენტებით გაჯერებული კარდსმილმა ტექსტი (მაგალითად: „ლიკა ჯერ 4 თვისაა და არ იცის, ავად რომ გახდება, მას ნამალს ვერ უყვიდან“) არადამაჯერებლობას მატებს ასახულ სურათს და მაყურებელს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ თუკი ერთი მხარე სამოთხის წარმოჩინებას ცდილობს, მეორე მხარე გარდაუვალ ჯოჯოხეთს გვაჩვენებს. ფოცხოში მაცხოვრებელთა ყოფას დამძიმება და სენტიმენტალიზაცია არ სჭირდება, გვაჩვენეთ მშრალი სინამდვილე, მისი ნამდვილი მოქმედი პირების და დოკუმენტური კადრების მეშვეობით. ავტორის შეფასება თუ თვალსაზრისი კი განვაცალკევოთ ფაქტისგან. ნუ გავასაღებთ ფაქტად, რომ 4 წლის ლიკას ავადმყოფობის შემთხვევაში ნამალი არ ექნება, რადგან დანამდვილებით არ ვიცით, ექნება თუ არა. მძიმე სინამდვილეს არც გაფერადება სჭირ-

დება და არც გაშავებულობა, მას თავისი ფერები აქვს. დევნილების დღევანდელი მდგომარეობის მივინყება და ეკრანიდან გაქრობა არანაკლები დანაშაულია, ვიდრე ოპტიმისტურად მონოდებული ინფორმაცია – „დევნილებს ეძლევათ გარემონტებული, ალტერნატიული ფართი საკუთრებაში...“ დავინტერესდით, როგორ და რა ტიპის ტრავმები მიიღეს მათ კიდევ ერთი გამოსახლების და გადასახლების დროს? რამდენად შესაძლებელია მათი რეაბილიტაცია და ახალ გარემოში ადაპტაცია? როგორ აისახება ეს მოხუცებსა და ბავშვებზე? საქართველოში დევნილები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი სოციალური ჯგუფია, რომელთა პრობლემების მიჩქმალვა ჟურნალისტების მხრიდან, არა ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე რუსული ჯარის მიერ მათი სახლებიდან გამოყრა ან ქართული სახელმწიფოს მიერ მათი ხელმეორედ განდევნა. ■

# 2011 წლის სამი მთავარი ხომჯიუხეხი თამაში



ნიკო ნერგაძე

## PLANTS VS ZOMBIES 2

**როდის გამოვა:** ზუსტად არავინ იცის. წესით, წელს უნდა გამოვიდეს.



**რატომ ველით:** „მცენარეები ზომბების წინააღმდეგ“ ეგრეთ წოდებულ casual games-ის კატეგორიას განეკუთვნება. ის განსაკუთრებულ დროს, ჩართულობას და მძლავრ კომპიუტერს არ მოითხოვს, ოფისის კომპიუტერზეც მშვენივრად ქაჩავს. როგორც წესი, მხოლოდ მალსით ითამაშება და მასებზე გათვლილი. თუმცა, ამ ჟანრის საუკეთესო მაგალითები ნარკოტიკივითაა – იწყებ და ვეღარ ჩერდები. (რამდენი სამუშაო საათი მოუკლავს მარტო Zuma-ს და Bejeweled-ს!). სწორედ ასეთი იყო პირველი Plants Vs Zombies. თამაშის არსი სათაურიდანაც ჩანს – ზომბები მოდიან და მათი შეჩერება მხოლოდ ნაირ-ნაირ მცენარეებს შეუძლიათ, რომლებსაც მოთამაშე რგავს. თამაშის იდეა ორიგინალური არ ყოფილა, თუმცა სხვებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ ყველა ელემენტი სრულყოფილად იყო დახვეწილი. ამასთან, გადასარევი იუმორით იყო გაკეთებული – მცენარეებიც და ზომბებიც სასაცილონი იყვნენ. კიდევ უკეთესი იყო ის, რომ თამაშს მრავალი სხვადასხვა ვარიანტი მოჰყვებოდა და ეს ერთი „მცენარეები ზომბების წინააღმდეგ“ კარგად რამდენიმე თვეს გასიამოვნებდა. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშის გაგრძელების

შესახებ ბევრი არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ ის როდესმე გამოვა (სავარაუდოდ, სწორედ წელს), მაინც ველით.

## PORTAL 2

**როდის გამოვა:** 18 აპრილს.  
**რატომ ველით:** Portal 2007 წელს გამოვიდა და მას შემდეგ კომპიუტერული თამაშების კლასიკა გახდა. პრინციპი მარტივია – მოთამაშე უნდა ამოხსნას ზრდადი სირთულის ამოცანები სატელეპორტაციო ხელსაწყოს მეშვეობით, რომელიც ორ სიბრტყეს შორის პორტალს ქმნის. ასე დაწერილი ბევრი არაფერი ჩანს, მაგრამ უკიდურესად საინტერესო და ჩამთრევი თამაშია. „პორტალს“ კარგად აგებული, შავი იუმორით გაჯერებული სიუჟეტი ჰქონდა, რის გამოც უამრავმა გავლენიანმა კრიტიკოსმა თუ პუბლიკაციამ პერსონალური კომპიუტერის ყველა დროის საუკეთესო თამაშად გამოაცხადა. Portal 2-ის შესახებ ისაა ცნობილი,



რომ თამაშის პრინციპი დიდწილად პირველის გამეორებაა, რამდენიმე მნიშვნელოვანი დამატებით და გაუმჯობესებით. სიუჟეტი კი პირველი „პორტალის“ ამბებიდან 100 წლის შემდეგ ვითარდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თამაშის ავტორი კომპანია Valve სუსტ და „ისე-რა“ პროდუქტს უბრალოდ არასოდეს უშვებს. მეორე „პორტალს“ ოთხი წელი ამზადებდნენ და წესით, კარგი უნდა გამოსვლოდათ.

## DUKE NUKEM FOREVER

**როდის გამოვა:** 3 მარტს.



**რატომ ველით:** შორეულ 1997 წელს მეგობარმა კომპიუტერთან დამიძახა და სრულიად შეშლილი სახით წარმომიდგინა წუნუნახევრიანი ვიდეო, რომელსაც ინტერნეტის იმდროინდელი სიჩქარის გათვალისწინებით საათზე მეტ ხანს წერდა. ეს ვიდეო იყო დემონსტრაცია კომპიუტერული თამაშისა, რომელიც ყოვლად საოცარი და ყველაზე გასაგებელი უნდა ყოფილიყო – Duke Nukem Forever – მაშინ უკიდურესად პოპულარული გმირის, დიუკ ნიუკემის თავგადასავლების გაგრძელება. პირველი დიუკი განსხვავებული იყო იმით, რომ საკუთარ თავს სერიოზულად არ აღიქვამდა, უცხოპლანეტელების ჟლეტას იუმორით უყურებდა და კარგად ხუმრობდა. დიუკ ნიუკემ ჭორევერ იმ შორეულ 1997 წელს არ გამოსულა – მომავალ წელს იქნებო, თქვეს. მას შემდეგ კიდევ რამდენჯერმე გადაიძო. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე. ახალ დიუკ ნიუკემზე რამდენიმე სხვადასხვა კომპანია წლების განმავლობაში მუშაობდა. ბოლოს კი ცხადი გახდა, რომ ეს თამაში ვერასოდეს იხილავდა დღის შუქს. მერე კი სრულიად მოულოდნელად განაცხადეს, თითქმის მზადაა და რამდენიმე თვეში გამოვაო. ჰოდა, ასე – როგორც ჩანს, მაინცდამაინც კარგი ვერ იქნება, მაგრამ 13 წელია, ველოდებით...



**რაკორტაჟი ფოცხოენარიდან  
 დასმარების მოლოდინში**

ზუგდიდიდან 30 კილომეტრში მდინარე ენგურის ხეობაში გზას ფოცხო-ენერის დასახლებამდე მივყავართ. აფხაზეთის საზღვრის სიახლოვეს ტყეებით დაფარულ თოვლიან მთებში ოთხსართულიანი კორპუსები დგას. ადრე აქ რუსი სამხედროები ცხოვრობდნენ, თუმცა აფხაზეთის ომის შემდეგ ფოცხო-ენერის დასახლებაში დევნილები დასახლდნენ.



**არაბულ სამყაროში  
 დომინოს პრინციპი  
 ამოქმედდა**

**ნინო ნატროშვილი**  
 სოციალურ ქსელებში საპროტესტო მონოდებები ამჯერად სხვა არაბული ქვეყნების ხელისუფლების მისამართით ჩნდება. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ დომინოს პრინციპი შესაძლოა კიდევ 5 სახელმწიფოში ამოქმედდეს. საპროტესტო ტალღის მთავარი იარაღი კვლავაც Facebook და Twitter-ია.



**გივი ვაღურის ბლოგი  
 ტრილოგიები**

მაგრამ წავიდა დრო უზრუნველი, უშფოთველი, ადაპტირებული და ჯიჯრულ-კონფორმისტული, „დინამო“-ს ძახილი „ზვიადი“-ს ძახილმა ჩაანაცვლა, სავსე სუფრები – ცარიელმა დახლებმა, წითელ დროშაიანი აღლუმები – ავტომატების კაკანმა, ცეკას მდივანი – პრეზიდენტმა, შევარდნაძე – შევარდნაძემ, დადგა უამი თავისუფლებისა და ყვავილობისა, მცდელობა სტაბილურობისა და აღმშენებლობისა, ომისა და მშვიდობისა, რკინის კაცების მტვრევისა და შუშის კაცების ჭვრეტისა და მოიტანა ერთპიროვნული გადანყვეტილებები და ფსევდოატლანტიკური ინტეგრაცია, რუსულის გათიშვა და ინგლისურის ჩათიშვა, ვირტუალური სანახაობა და სუბლიმირებული ლიბიდო და ამ ყველაფრის მიუხედავად, პოსტსაბჭოთა საქართველოს 20-წლიან ეპოქალურ პერიოდს უცვლელ ატრიბუტიკად გასდევს სოციალური ქცევის ფერადი ზოლები, რომელიც გამოითქმის მსგავსად ფილმის სათაურისა – „ჭამე, ილოცე, გიყვარდეს“.

**ბასა ჯანიკაშვილის ბლოგი  
 გამოგონილი ინტერვიუ  
 ჰოსნი საიდ მუბარაკთან**

ბასა ჯანიკაშვილი – ბატონო ჰოსნი, ამჟამად სად იმყოფებით?  
 ჰოსნი მუბარაქი – პირველ რიგში მინდა მოვიკითხო ჩემი საყვარელი სომეხი ხალხი...  
 ბ.ჯ. – ქართველი, ქართველი ხალხი, მე საქართველოდან გირეკავთ.  
 ჰ.მ. – დიას, რა მნიშვნელობა აქვს? მინდა გულითადი მოკითხვა გადასცეთ თქვენს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, მე მასთან დიდი მეგობრობა მაკავშირებს.  
 ბ.ჯ. – მიხეილ სააკაშვილს. ახლა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.  
 ჰ.მ. – რა მნიშვნელობა აქვს?  
 ბ.ჯ. – პრინციპში გეთანხმებით. და მაინც, თქვენზე ამბობენ ქვეყანა დატოვა და იემენში გაემგზავრაო.  
 ჰ.მ. – არც ამას აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ სომხეთის მოსახლეობას სწორი და ობიექტური ინფორმაცია გავაცნო. სწორედ ამიტომ დავთანხმდი თქვენთან ინტერვიუს.



# ჭიქი და მენსაღუი მანათობი



როგორ შევქმნათ საგამოფენო არტ-სივრცე ისე, რომ ნამუშევრები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ.

დავით ბუხრიკიძე

90-იანი წლების რთულად მოსანელე-ბელმა დრომ პირობითი, მაგრამ ერთ დროს მოდური სათაურით: „ზამთარი გადასატანია“, მსახვრალი კვალი დამიტოვა. დღესაც მგონია, რომ თბილისური გამოფენები ზამთარში ტოლსტოის ბედნიერი ოჯახებივით ერთმანეთს ჰგვანან: ნასვამი და ძირითადად, დეპრესიული ავტორები, არტთან დამეგობრებული, ჩათბუნებული და ნაკლებად პრეტენზიულ პუბლიკა და ყოფით თემებზე მოსაუბრე მხატვართა ნაცნობ-მეგობრები. თვალსაჩინო განსხვავება ისაა, რომ სინათლის გამორთვის არ გეშინიათ და გამოფენის გახსნაზე აშკარად უკეთეს ღვინოს გასინჯავთ. შესაბამისად, მარადიულობაზე (მინიმუმ, ჯაკომეტიზე ან მარსელ დუშანზე) საბაასოდ საღერღელიც აგეშლებათ.

ეს გაცვეთილი ლირიკაა. ახლა უფრო კონკრეტულად:


გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე არტ-გალერია „9“ მხატვრების, მოქანდაკეებისა და ფოტოგრაფების გამოფენაზე 10 თებერვლამდე გეპატიჟებათ. მიუხედავად იმისა, რომ სათაური – „მეტაფიზიკური ობიექტი“ - საკმაოდ პრეტენზიულად ჟღერს, კურატორი და გამოფენის მონაწილე იური ბერიშვილი ამბობს, რომ „რეალურად ამ კონცეფციაში უფრო ირონია იგულისხმება და სერიოზული თემებით ხელოვანთა დაინტერესება მხოლოდ ირონიული თვითრეფლექსიით არის შესაძლებელი“.

მაგალითად, კედელზე გამოკრულ

კონცეფციაში წერია: „ეს პირველი და ბოლო (!!!) მცდელობაა, როცა არტ-პროცესის მეტრები და სანტიმეტრები მეტაფიზიკური ობიექტის ძებნაში სხვა ირეალურ სამყაროში იკარგებიან. ისინი შეიძლება, ტელეეკრანებზეც ვიპოვოთ, ახალი ეპოქით აღფრთოვანებულები. მათ შეიძლება, ფიზიკური სამყაროს ანდერგრაუნდშიც შეხვდეთ. ეს უკვე დამოკიდებულია მონაწილე არტ-მოსამსახურის კუთრ წონაზე“... თუ ბევრი რამ ვერ გაიგეთ, შეგიძლიათ პირდაპირ ნამუშევრებს მიაკითხოთ, იქნებ ისინი უკეთ ახსნიან „მეტაფიზიკური ობიექტების“ მნიშვნელობას.

საგამოფენო სივრცე ჭრელი და წარმოუდგენლად განსხვავებული ნამუშევრებითაა „დასახლებული“. მაგალითად, ერთ დარბაზშია მოქცეული უშანგი ხუმარაშვილის აბსტრაქტული ფერწერა: „უსასრულო“ და „მონოლეთი“, სადაც მხოლოდ ფერი დომინირებს. ერთ შემთხვევაში, მწვანე და ნაცრისფერი, მეორეგან – ყავისფერის ათასგვარი გრადაცია, რაც ცხადია, მონოლეთის უდაბნოსთან ასოცირდება. გვერდით გიორგი დოლიძის საკმაოდ დიდი ზომის ფოტონამუშევარი, „მენტალური ნათურა“, რომელიც „სამეზობლოსაგან“, ანუ ილიკო ზაუტაშვილის მკრთალი და დახვეწილი გრაფიკისაგან: „ლანდშაფტის კვლევა, ფრაგმენტები: 1, 2, 3, 4, 5“ სრულიად განსხვავდება.

კიდევ უფრო უცნაურია „მეტაფი-



ზიკურ ობიექტებს“ შორის მოქცეული, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ირონიული და გალერეის სივრცისათვის ლამის გიგანტური, 3-მეტრიანი ფერწერული ნამუშევარი. ლიტერატურული სათაურით, „სიტყვათა აუტანელი სინატიფე“. როკო ირემაშვილი (რომლის შემოქმედებას სამწუხაროდ, არ ვიცნობ) ანგელოზის ფრთებიანი სუმიოსტების შერკინებას ვარდისფერ ფონზე, გაზსადენის მილისა და ფანჯრების ფონზე ხატავს. სურვილის შემთხვევაში შესაძლოა, აღმოაჩინოთ ირონიული გადაძახილი XVIII საუკუნის ფრანგულ ფერწერასთან (მაგალითად, ბუშე ან ფრაგონარი) ან სულაც რუბენსის მსუყე ანგელოზებთან. ეს თქვენს ფანტაზიაზეა დამოკიდებული.



„სიტყვათა აუტანელი სინატიფე“, ავტორი როკო ირემაშვილი

■ მიუხედავად იმისა, რომ სათაური – „მეტაფიზიკური ობიექტი“ – საკმაოდ პრეტენზიულად ჟღერს, კურატორი იური ბერიშვილი ამბობს, რომ „რეალურად ამ კონცეფციაში უფრო ირონია იგულისხმება და სერიოზული თემებით ხელოვანთა დაინტერესება მხოლოდ ამგვარი თვითრეფლექსიით არის შესაძლებელი“.



„ქრისტინე ეკლის გვირგვინით“, ავტორი მამუკა ლეკვაშვილი

ფოტოგრაფი: ლევან მარჯალიანი



საკმაოდ კარგი ფერმწერი ვახო ბულაძე გამოფენაზე რატომღაც და-მსხვრეული ლურჯი შუშის სამელნის-გან შექმნილი „პირველი მერცხლითა“ წარმოდგენილი, ხოლო გამოფენის ორ-განიზატორი, იური ბერიშვილი – ზე-თის საღებავით შექმნილ „სავარძელს“ და მსუბუქ და პრეტენზიულ იმპრე-სიონისტულ შთაბეჭდილებას გვიზი-ა-

რებს ნამუშევარში „ბრძენი და კატა“. გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და პროვოკაციულია პოეტისა და ფილო-სოფოსის მამუკა ლეკიაშვილის „ამო-რ-ძალის ძუძუ“, რომელიც ჯარისკაცის ჩაფხუტის თავზე მიხატული წითე-ლი რგოლით ეროტიკული შინაარსის ირონიას აღძრავს. პოპ-არტის და-გვიანებულ, მაგრამ ასევე ირონიულ

გამოძახილს ჰგავს მისივე ნამუშევარი „ქრისტინე“, რომელიც სპილენძის მა-სალითა და ეკლის გვირგვინის იმიტა-ციით (გვირგვინი ნაძვის ხის მანათო-ბელი ნათურებისგანაა გაკეთებული) უფრო ლირიკულ დაცინვას წააგავს, ვიდრე კრიტიკული შინაარსის აღსარე-ბას.

ცალკე საუბრის თემაა სკულპტო-რისა და არქიტექტორის, დავით მო-ნავარდისაშვილის ორი ნამუშევარი – „ჯვარი“ და „სკამი“ სერიიდან „ჩანაცვ-ლება“. დიდი ზომის ლურსმნებისაგან გაკეთებული ჯვარი სამსჯავლისა და ეკლიანი გვირგვინის სიმბოლურ და-ტვირთვას იძენს. მეორე ნამუშევარიც ლურსმნებისაგან არის შესრულებული: სკამზე მჯდომ მამაკაცს ცალ ხელში ჩაქუჩი უჭირავს და მეორეში ლურს-მანი, რაც ავტორის თვითიდენტიფიკა-ციას უფრო ჰგავს.

და ბოლოს, ფოტოგრაფთა ამქრის შესახებ: ნათელა გრიგალაშვილი, ლევან ხერხეულიძე და გურამ ნიბა-ხაშვილი მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობენ მედიაში, თუმცა აქტიურ სა-გამოფენო ცხოვრებაშიც არიან „შემჩ-ნეულნი“. გამოფენაზე წარმოდგენილ, გურამ ნიბახაშვილის ერთადერთ კონ-ცეფტუალურ ნამუშევარს – ხის ყუთ-ში „გამოკეტილ“ ფიგურებს, სრულიად ენიღაღმდებება კონკრეტული შინაარ-სითა და განწყობით ნათელა გრიგა-ლაშვილის „სოფლის ცხოვრება“, რო-მელიც შავ-თეთრი ფოტოს ლირიზმს ავტორის გულწრფელი და აღმსარე-ბლური ინტონაცია ემატება. ლევან ხერხეულიძე კი სერიაში „მარნეულის ცხოველთა ბაზარი“ კინემატოგრა-ფიულ ხედვას და დინამიკას მიმართა-ვს. კადრის გამომსახველობა თან ზე-დმინენით ზუსტი და რეალურია, თან განზოგადებული.

შესაძლოა, საგამოფენო სივრცე – „მეტაფიზიკური ობიექტი“ შინაარსით მართლაც ჭრელია და დაულაგებელი, მაგრამ ეს მოუხელთებლის მონესრი-გების, ანუ მენტალური მანათობლე-ბის დროებითი ციაგის მცდელობაა. დროებითი კი მცირე კვალს მანაც ტოვებს. ■



„ლურსმანაშვილი“, ავტორი დავით მონავარდისაშვილი

# ვისას ვეყვანხვან



გიო ახვლედიანი

არსებობს ასეთი მაგიური სიტყვათშეთანხმება – „იანვრის სატრანსფერო ფანჯარა.“ საკლებო ფეხბურთი რომ პოლიტიკური სპორტი იყოს დღევანდელ ევროპაში, ეს სიტყვათშეთანხმება, ალბათ, მთლად პოლიტიკური ყაიდისა იქნებოდა.

ისე კი თითქოს ჩვეულებრივი ამბავია: იანვრის განმავლობაში კლუბებს ერთმანეთთან ვაჭრობა და ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვა შეუძლიათ. ეს საქმე განსაკუთრებით აქტიურია ინგლისში, თორემ ევროპაში შუა სეზონში ფეხბურთელის გაყიდვა დიდად არ უყვართ.

აქ კი ისე გამოდის, რომ შეიძლება ოთხშაბათს ერთ გუნდში თამაშობდე და კვირას კი ამავე გუნდის წინააღმდეგ მოგინიოს თამაშმა, რახან ტრანსფერი გაჩაჩხულა.

სწორედ ასე მოუვიდა ფერნანდო ტორესს, რომელიც, როგორც იქნა, გადავიდა „ლივერპულიდან“ „ჩელსიში.“

დიდად ხმაურიანი საქმე იყო, შიდაინგლისური ბაზრისთვის მთლად სარეკორდო – 50 მილიონი გირვანქა. ანუ, აბრამოვიჩი არ ყიდულობდა, არ ყიდულობდა და ბოლოს კი ისე იყიდა, რომ... გასაკვირიც არაა. დღევანდელი ფეხბურთი ასეთია, თუ გამუდმებით არ ყიდულობ, მაღლა გაჩერება გაგიჭირდება. მაღლა კი არა, სადაც ხარ, იქ გაჩერებაც ძნელია.

ჰოდა, აი „ჩელსიც“ ხომ ჩამოვარდა იშკილებიდან და გაძლიერება სჭირდებოდა. ტორესზე უკეთესს კი აბა ვის მიიყვანდნენ.

ტორესი ღმერთივით იყო „ლივერპულში“ და როგორც მამამისი ხოსე გვამცნობს, „ჩელსიში“ ფულის გამო არ გადასულა, არამედ ტიტულების მოსაგებად; რახანლა დაატყო, რომ

„ლივერპულის“ დღევანდელი მდგომარეობა დიდ გამარჯვებებზე ძნელად აოცნებებდა კაცს.

საერთოდ, როცა ერთი გუნდიდან მეორეში გადადიხარ და შენი ძველი გუნდის გულშემატკივრები გაღმერთებენ, სიფრთხილეა საჭირო, რადგან ერთი დღეც მოვა და მათ წინაშე თამაში მოგიწევს. ჰოდა, თუ უნამუსოდ გა-



ფერნანდო ტორესი

დახვედი, შურისძიებაც არ დააყოვნებს. ამიტომ, როცა მიდიხარ, კაცობა უნდა შეინარჩუნო და ერთთავად იძახო, ფულის გულისთვის არ მივდივარ, უბრალოდ, ასე გამოვიდაო.

ვნახოთ, მომავალში როგორ მოიხსენიებენ ტორესს „ლივერპულის“ ფანები. ეს კლუბი ახლა კი ჩავარდნილია, მაგრამ დიადი კლუბია და ფანობაც ყველასგან განსხვავებული ჰყავს. მათი გულის მოგება იოლია, მათი პატივისცემის

დაკარგვა კი – კიდევ უფრო იოლი.

მოკლედ, ტორესი წავიდა, „ლივერპულმა“ კი 50 მილიონი მიიღო. ოღონდაც, რახან თავდამსხმელი სჭირდებოდა, „ნიუკასლისკენ“ გაიხედა და ინგლისის ყველაზე პერსპექტიულ მეგოლედ ცნობილი ენდი კეროლის გადმობირება გადაწყვიტა. ეს საქმე გამოვიდა. „ნიუკასლმა“ კეროლი კი გაყიდა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა, არ გვინდოდა გაყიდვა და არ დაიშალაო. „ნიუკასლი“ „ლივერპულის“ სიდიადეს ვერ შესწვდება, მაგრამ მისი განსაკუთრებულობა ყველასთვის ცნობილია. ასევე ცნობილია მისი ფანების დიდი გული. თუმცა, კეროლი მაინც გაყიდეს, 35 მილიონი ხუმრობა ხომ არ არის.

ამასობაში კიდევ „ლივერპულს“ სხვა თავდამსხმელიც შემოემატა, „აიაქსის“ ლუის სუარესი, რომლის გამოც მთელ ორ თვეს ვაჭრობდა ჰოლანდიელებთან. ეს ყოველივე სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეებში მოკვარახჭინდა. მშვენიერი ვაჭრობაა, გაყიდე ერთი და მის ნაცვლად იყიდე ორი.

რა თქმა უნდა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გაყიდე, მაგრამ ცუდი ბიჭები არ მოგიყვანია.

საერთოდ, ის საქმე რაც „ლივერპულის“ ახალმა მენეჯერმა კენი დალგლიშმა მოახერხა ამ ვაჭრობაში, წამგებიანი არ არის. იმ ტორესს მაინც გაქცევაზე ეჭირა თვალი. დაახლოებით ისეა, როგორც ძველ პიესაში: ვისაც ვუყვარვარ, მომყვით!

სხვა საქმეა, რომ „ჩელსი“ გაძლიერდა და ახალი ძალით შეუტევეს ლიდერებს, კვლავაც ჩემპიონობა მინდაო. ტორესიც ხომ თითქოს ამიტომ გადავიდა იქა, მსოფლიოს ჩემპიონი ვარ და საკლებო ტიტულები კი არა მაქვსო. ■

# Play me, I'm yours!



კაბა თოლორდავა

ბირმინგემი, ლონდონი, სიდნეი, ბარსელონა, ცინცინატი, ბრისტოლი, სან პაოლო, ბელფასტი, სან ხოსე, ნიუ იორკი... 2008 წლიდან დაწყებული ამ და მსოფლიოს კიდევ სხვა ქალაქების სხვადასხვა უბანში ფერად-ფერადი პიანინოები გაჩნდა. პირდაპირ ქუჩებში. ყოველ მათგანს ერთი და იგივე წარწერა აქვს – დაუკარი, მე შენი ვარ! თავიდან არავინ იცოდა, საიდან გაჩნდნენ ეს პიანინოები, მაგრამ ბევრის გარკვევაც არ დაუწყიათ, ინსტრუმენტები იმდენად მომზობლავდ გამოიყურებოდნენ, რომ ჯერ ერთი გამვლელი მიუჯდა რომელიღაც ქალაქში, რომელიღაც ქუჩაზე, რომელიღაც პიანინოს და რაღაც თემა დაუკრა. სხვა გამვლელები შეჩერდნენ, მოუსმინეს და ტაში დაუკრეს, მერე კი წავიდა და დაიწყო! უზარმაზარი ქალაქების მცხოვრებნი იმ პიანინოებთან უნიშნავდნენ ერთმანეთს შეხვედრებს, ვიღაცებს ერთმანეთი იქ შეუყვარდათ და დაქორწინდნენ კიდევ, ვიღაც დამლაგებელმა ქალმა, რომელსაც იმის ფული არ ჰქონდა, რომ ქალიშვილისთვის პიანინო ყიდა, პირველად მისი დაკრული სწორედ ამ „ქუჩის“ პიანინოზე მოისმინა. ნიუ იორკში ასობით მუსიკოსი აწყობდა იმპროვიზირებულ კონცერტებს გამვლელებისთვის და ეს უკანასკნელნიც ხელიდან არ უშვებდნენ შანსს, ერთხელ მაინც რომ მისხდომოდნენ ინსტრუმენტს და რამე, თუნდაც ძალიან მარტივი თემა შეესრულებინათ ან ვინმე ნაცნობისათვის ან სულაც სრულიად უცნობი ადამიანებისათვის; თვით მაიკლ ბლუმბერგმა, ნიუ იორკის მერმაც კი არ ითაკილა ქუჩაში გასვლა და დაკვრა, ისევე, როგორც ალიზა ქიზმა, რომელმაც ლამის მთელი კონცერტი დაუკრა ქუჩაში მდგარ ერთ-ერთ პიანინოზე. არიან ისეთებიც, ვინც დეტალურად შეისწავლა თავის ქალაქში განლაგებული პიანინოების რუკა



(მაგალითისთვის, ნიუ იორკში 60 პიანინო დაიდგა) და მიზნად დაისახა ყოველ მათგანზე ერთი თემა მაინც შეესრულებინა. 2011 წელს პიანინოები გაჩნდნენ ადელაიდაში, ოსტინში და ჟენევაში; მსოფლიოს დანარჩენი ქალაქები რიგში დგებიან.

ყველაფერი ზემოთ თქმული არ დამსიზმრებია. ეს ნამდვილად ხდება და ამ პროექტსაც თავისი ავტორი ჰყავს, ვინმე ლუქ ჯერამი, ინგლისელი არტისტი, ძალიან საინტერესო არტ-პროექტების ავტორი და ადამიანი, რომლის სახელიც და გვარიც დღეს ყველას პირზე აკერია, რადგანაც ყველას მიაჩნია, რომ ქუჩის პიანინოების პროექტმა ახალი ხიბლი შესძინა ისედაც ხიბლიან ქალაქებს და იქაურ ადამიანებს დიდი სიხარული მოუტანა. „ქალაქებში პიანინოები იმიტომ დავაყენე, რომ ადამიანებმა ერთმანეთთან ისაუბრონ და გამოაცოცხლონ საზოგადოებრივი ადგილები... ეს პიანინოები ნებისმიერ გამვლელს ინვესტ მასში ჩაზუბებული ნიჭის და ხალისის გამოსაშლავნებლად. გარკვეული თვალსაზრისით, ისინი YouTube-ის ფუნქციას ასრულებენ...“ – თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში ჯერამმა და, როგორც ჩანს, მილიონობით ადამიანმა ეს პირდაპირ გაიგო, რადგანაც YouTube-ი სავსეა ქუჩის პიანინოებზე დაკრული სპონტანური კონცერ-

ტების ვიდეოებით, ხოლო სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი საიტი [www.streetpianos.com](http://www.streetpianos.com) გაძეგვილია მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილი წერილებით, სადაც ადამიანები ჰყვებიან, თუ რა გადახდათ პიანინოებთან „შეხვედრისას.“ ალბათ, საინტერესოა ისიც, რომ იგივე ნიუ იორკში ვანდალიზმის მხოლოდ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა. დანარჩენი, თუ შეიძლება, თქვენ თვითონ ნაკითხეთ პროექტის საიტზე.

კარგი, ახლა შეგიძლიათ შემეკითხოთ, თუ რატომ მოგყვები ყველაფერი ეს „ქალაქში მოხატიალე კაცის ჩანაწერებში.“ მიზეზი სამია, პირველი – კიდევ ერთხელ რომ შეგახსენოთ, თუ რას ვგულისხმობ ამ რუბრიკაში ჩემ მიერ წამდაუნუმ გამოკრებული ფრაზით, – „ქალაქისადმი შეეშინებოდა თი მიდგომა,“ მეორე – კიდევ ერთხელ შეგახსენო ქალაქის მესვეურებს, თუ როგორ ააშესაძლებელი ქალაქისადმი შეეშინებოდა თი მიდგომით ადამიანებისათვის სიხარულის მინიჭება და მესამე – პრინციპში, ყველაზე მთავარი, რადგანაც ქუჩის პიანინოების პროექტი „გტურნეს“ აგრძელებს მსოფლიოს გარშემო, იქნებ საქართველოში ვიღაც-ვიღაცებს ჭკუაში დაუჯდეთ პროექტის თბილისში ჩამოტანა?! სულ მალე ხომ გაზაფხული მოდის.





თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი

გორი, ქარელი, ხაშური

ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია

ურეკი, ქობულეთი, ბათუმი

ფოთი, სენაკი, ზუბდიდი

**FM 105.5**

**FM 103.0**

**FM 104.5**

**FM 101.0**

**FM 101.9**



**WWW.LIBERALI.GE**

